

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ე ტ ი მ ო ლ ო გ ი უ რ ი
ქ ი ე ბ ა ნ ი



თბილისი
„მეცნიერება“
1988

კრებულში შესულ წერილებში წარმოდგენილია ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზი ქართული, ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენების ლექსიკური მასალისა; შესაბამისად, ცალკეულ გამოკვლევებში განხილულია ენათა ნათესაობის, დიაქრონული ფონოლოგიისა და მორფოლოგიის, ფორმისა და სემანტიკის ისტორიული ცვალების არაერთი მნიშვნელოვანი საკაზხა.

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა : ა. არაბული (მღვანე),
გ. თოფურია, ქ. ლომთათიძე (მთ. რედაქტორი),
მ. სუხიშვილი, მ. ჭაბაშვილი

რეცენზენტები: პროფესორები ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე
თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე .

ჰ. ლომთათიძე

სონანტთან კომპლექსური მულერი ხეშულის გამკვეთრება და ზოგიერთი საკუთარი სახელის წარმოგავლობის საკითხი ქართულში*

ენებში არსებობს სხვადასხვა შესაძლებლობა ფონეტიკური ცვლილებისა (თვით ენის ფონოლოგიურ ბუნებასთან დაკავშირებით). ესა თუ ის ფონეტიკური ცვლილება შესაძლოა გარკვეულს ენაში (გარკვეულს პერიოდში) თანამიმდევრულად იქნეს განხორციელებული. შესაძლოა მას სხვადასხვა შემაკავებელი მომენტები გადაეღობოს წინ და მხოლოდ ცალკეულ ფაქტებში იჩინოს თავი. ამ შემთხვევაში სხვადასხვა გარემოებები (ხელშემწყობი თუ ხელშემშლელი) მოქმედებს ხოლმე, მაგ., გამოყენების სფეროს ნაირგვარობა, სემანტიკური მოტივაციის მოშლა და მისთ.

ერთ-ერთი ასეთი არასაყოველთაოდ განხორციელებული პროცესი არის ქართულში სონანტთა მეზობლობაში (სონანტთან კომპლექსში) მულერი ხეშულის გამკვეთრება.

სონანტთან უშუალო მეზობლობის შედეგია, რომ „რამდეწ“-მა მოგვცა დიალექტური ნაირსახეობა „რამტენი“ („რამტენეთი“), „ცინდალ“-მა — „ცინტალი“, ზენგი („დაზერგნილი, დაზეპილი წიადაგი“) ქართულში იძლევა „ზენკი“¹ — სახეობას, „მურდალი“² იქცა „მურტალ“-ად, შალდამი შეიცვალა ჟალტამად³ და სხვ.⁴

* წაითხულ იქნა მოხსენებად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLIV სამეცნიერო სესიაზე 1986 წ. 13 ივლისს. იხ. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1986.

¹ ქართული დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლები: ა. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბ., 1981 გვ 212.

² შდრ. სპარსული *سار* [მორდარ]—1. мертвечина, падаль; труп; 2. нечистый, поганый, осквернённый. Персидско-русский словарь. Составил проф Миллер Б. В. М., 1953.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VI, 1960.

⁴ შესაძლოა, აქ განხილული კონტრასტული ბუნების დისიმილაციური ტენდენციის საფუძველზე ფონეტიკური საგანადა მივიღოთ მკვეთარი სახე-

აქ მოქმედებს დისიმილაციის თავისებური სახეობა — კომპლექსში შემავალ ორ ერთგვაროვანი სახმოსიმებისეული თვისობრიობის მქონე ბგერათაგან ერთ-ერთს აკლდება ეს სახეობა და ეცვლება ბუნება: მჟღერი მჟღერთან კომპლექსში (მკიდრო მეზობლობაში) მკვეთრდება; ფშვინვიერი ფშვინვიერთან კომპლექსში მკვეთრდება⁵. ასევე მკვეთრი მკვეთრთან კომპლექსში ფშვინვიერდება. ამავე დროს მტკიცედ ტარდება შემდეგი კანონზომიერება: ჩვეულებრივ მეტი დიაობის (ხმიერობის) მქონე ბგერა უცვლელი რჩება, დისიმილაცია მოსდის (მკვეთრდება) კომპლექსში შემავალ ნაკლები დიაობის (ხმიერობის) მქონე ბგერას, კერძოდ, ხშულსშდრ. ცინდალი>ცინტალ-; სთავს>დიალ. სთავს, წისქვილი>წისკვილი და მისთ.).

შესაძლოა ამა თუ იმ ბგერათმომდევრობისას მეტი გასაქანი ჰქონდეს აღნიშნული დისიმილაციის პროცესში რეგრესულ და პროგრესულ მიმართულებას, მაგრამ რაკი პროცესის განხორციელებისთვის მთავარია მეტ-ნაკლები დიაობის პრინციპი, იგი პროგრესული მიმართულებისაც შეიძლება იყოს და რეგრესულიცაც.

ზემოთ აღწერილი ფონეტიკური პროცესი სპეციფიკურია იბერიულ-კავკასიური ფონოლოგიური სისტემისათვის, რაც შეპირობებულია ხშულთა სამეულებრივი სისტემით და, კერძოდ, მასში მკვეთრი კორელატის არსებობით.

მხოლოდ ამის ნიადაგზე შეგვიძლია ავხსნათ ბნევა და პნევა და მის მსგავს ფუძეებში მომხდარი ცვლილება, რაც შემდეგ მათ ერთგვარ სემანტიკურ სხვაობასაც ქმნის.

ბები, კერძოდ, ამით უნდა აიხსნებოდეს (ი)მიტომ მიზეზობრივი კავშირის მიღება *რს მეზობლად თ-საგან (იმიტომ რომ—*იმიტომ—იმიტომ).

ეგებ ამ რიგისავე ფაქტი იყოს მეგრ. ონტუ „უკილია“. ამოსავლად აქ *ნთ (*ნთ) სახეობა უნდა ევიარაუდოთ, შდრ. ქართ. ანთია (მეგრულის შესაბამისი ფორმა *უ-ნთია) და სხვ.

ამავე ტენდენციის საფუძველზე ხომ არ აიხსნება პარალელური ვარიანტები ყინ-ყვის||ყინწვის-ის სახელწოდებაში. ვახუშტი ბატონიშვილი მას იქნობს ყინციის სახეობით (ქ. ც. 344,13-17; 662,16). ადგილობრივად მოსახლეობა ჩვეულებრივ ყინციის-ს ამბობს. გამკვეთრებას, შესაძლოა, თავიკლურმა ყ მკვეთრმაც შეუწყუბელი.

5 შედეგი სხვაე შეიძლება მივიღოთ. შეიძლება ამავე დისიმილაციის ნიადაგზე ფშვინვიერ-ფშვინვიერის კომპლექსში ერთ-ერთი წევრი გამჟღერდეს, მაგრამ ეს სახეობა ცვლილებისა ძალზე იშვიათია.

ამ სემანტიკურ სხვაობასთან დაკავშირებით, მაგ., ვკითხულობთ:
„ი-ბნეე-ა — ირევა, აზრები ი-პნ-ეე-ა — ფანტიკა
ეფანტება, თავგზა ებნეეა იყრება, იფანტება, ცვივა.
და შესაბამისად — ა-ბნ-ეე-ს — ა-პნ-ეე-ს.

ამ ფორმათა ურთიერთშერევა ამჟამადაც შეინიშნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მნიშვნელობა, რომელიც ახლა ძირითადია ი-ბნ-ეე-ა ფორმისთვის, წარმოშობით მეორეულია, გადატანითია. ამიტომაც ამ ფორმათა ხმარება ერთმანეთის ნაცვლად სავსებით გასაგებია. იმავდროულად აშკარაა მათ შორის სემანტიკური სხვაობის დამყარების ტენდენცია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ არევის, აზრების დაფანტვის მნიშვნელობით ი-პნ-ეე-ა არასდროს გამოიყენება, ი-ბნ-ეე-ა ფორმას კი ორივე მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, უპირატესად კი მაინც ის, რომელიც ზემოთაა წარმოდგენილი“⁶.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, დღესაც კი დიალექტურ მეტყველებლაში მნიშვნელობის მხრივაც მათ შორის სრულ იდენტურობას ვაწყდებით. იმავე აზრების დაბნევა-დაფანტვის გაგებით ვურულ დიალექტში დადასტურებულია გამოთქმა „დ ე ი პ ნ ა ა ი კ ა ც ი ბ რ ი ნ ჯ ი ვ ი თ“⁷. აქ ერთგვარად ბ რ ი ნ ჯ თ ა ნ შედარებამ შეუწყო ხელო პ ნ ე ე ა სახეობის გამოყენებასო, შეიძლებოდა გვეფიქრა, მაგრამ ამით მაინც არ უნდა აიხსნებოდეს ეს მოვლენა. როგორც მიუთითებენ, დიალექტებში ეს ვარიანტები საერთოდ მონაცვლეობენ⁸.

ჩვეულებრივ კი, მართლაც, ფონეტიკური ვარიანტი განსხვავებული ნიუანსით გამოიყენება.

ზემოთ დახასიათებულ ფონეტიკურ პროცესთან დაკავშირებით საყურადღებო უნდა იყოს -გან თანდებულის გ თანხმოვნის ცვლილების საკითხი ქართული ენის დიალექტებში. ასე, მაგალითად, თიანური „სხვაჯური“ სავსებით მართებულად მითითებულია, მოკლანარეობს „სხვა-გან-ური“-დან⁹. ასევე ხევსურული (გაბ.) „მზე ცხრაკნით ამუჯდებისა“¹⁰ და მისთ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ რიგის შემთხვევებით არ ამოიწურება -გან თანდებულის კ ვარიანტიანი სახეობის არსებობა მთის დიალექტებში (ხევსურულში, ფშაურში...).

6 ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაქულტატიური გრამატიკის საკითხები. თბ., 1985, გვ. 27-28.

7 ს. ულენტი, გურული კილო გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1936, გვ. 48.

8 ო. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური, იკე, ტ. IV, 1953, გვ. 283.

9 ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 600.

10 ა. ლ. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 54-55.

კ თანხმობიანი სახეობა ამ თანდებულისა ინტერვოკალურ პოზიციაშიც დასტურდება (შდრ. ცხრა-კან...). ამიტომ, თითქოს ასეთ შეუფერებელ პოზიციაში კ სახეობის გავრცელება შეიძლება მართლაც -კენ თანდებულთან (რომელიც ხშირად კ-მდე ცვდება) ანალოგიამ გამოიწვია. როგორც ფიქრობენ კიდევ¹¹, ოლონდ, ჩენი აზრით, ანალოგიას გასაქანი სწორედ უკვე პოზიციურ (გნ>კნ) ვარიანტში წარმოქმნილმა კ სახეობამ მისცა.

ამ მხრივ ყოველი დიალექტის ვითარება თავის საკუთარი კანონზომიერების გარკვევას მოითხოვს.

მთის დიალექტებში -გან თანდებულის კ-იანი სახეობის გაბატონებისთვის -კენ თანდებულთან ანალოგია ადვილი დასაშვებია ამ თანდებულის მთის კილოებში ფართო გავრცელებულობის გამო, მაგრამ ამავე მიზეზით გაგვიჭირდება ავხსნათ გურულში -გან თანდებულის -კან სახეობა, „სოკან“ („სხვაგან“) სიტყვაში დადასტურებული.

აქ უკვე სხვა კანონზომიერება უნდა მოქმედებდეს. გურულში -კენ თანდებული საერთოდ არ უნდა იყოს დამახასიათებელი. მართალია ისტორიული დიალექტოლოგია ჩვენში იმ დონეზე არ დგას (და სათანადო მასალის უქონლობის გამო ვერც ვერასოდეს დადგება), რომ გურულისთვის -კენ თანდებულის არსებობა გამოვრიცხოთ. დღეს, რა თქმა უნდა, იგი გვხვდება გურულის მეტყველებაში, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს გურულის ნიშანდობლივ ფაქტად არ ჩაითვლება. გურულისთვის არ არის ბუნებრივი გამოთქმა „საითკენ მიდიხარ?“ იგი რჩეობს „სეით მიხვალ?“ და მისთ.

„ქართულ დიალექტოლოგიაში“ გამოქვეყნებულ გურულ ტექსტებში -კენ თანდებული გვხვდება ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში: „შინისკენ გასწია“ (გვ. 433), „გიეშურა სახლისკენ“ (გვ. 432). „გეიქცა იმგენისკენ“ (გვ. 423) და ორ მეტად კოლორიტულ გამოთქმაში — „გოგოვ, გუგუნავასკენ გადიკივლეეე!.. გოგოვ, შალიკაშვილისკენ გადიკივლეეე!..“ (გვ. 426).

ამათგან პირველი სამი საერთოდ არ არის გურული დიალექტისთვის დამახასიათებელი სასაუბრო მეტყველების ფაქტი.

ძალზე საყურადღებოა ბოლო მაგალითები. თავადის სასახლეში ქალბატონს ძმა მოუყვდა და შესაცხადებლად მოურავმა მოახლე გოგოს უბრძანა, ჩვეულებისამებრ კვილით შეატყობინე ხალხსო — თავადიშვილებს გუგუნავას და შალიკაშვილს და, მართლაც, იმათკენ უნდა გადაეკივლა. აქ თითქოს ძალზე ბუნებრივიც არის -კენ თანდებული, მაგრამ, ვფიქრობთ, არც აქ იგი გურული დიალექტის კუთვნი-

¹¹ გ. ცოცანიძე, ფშური დიალექტი, თბ., 1978, გვ. 38.

ლება არ უნდა ყოფილიყო. და რომ მართლაც ეს ასეა, ამას წინ წამდღვარებული ტექსტის ბუნებრივი მეტყველება ავლენს. წინ კი ვკითხულობთ: „... გამევიდა მოურავი და გოგოს უბძანა: ქალბატონს ძმამ შეუჟტა და ყოლი კედრით (sic! ქ. ლ.) გადიკივლეო“. აი, ეს „კედრით“ არის გურულისათვის „კენ“ თანდებულის სანაცვლო, სწორედ ასეც უნდა თქმულიყო: „შალიკაშვილის კედრით / კედაროზე...“, „გუგუნავს კედრით / კედაროზე...“

ამ ფაქტის ანალიზი ნათელს ხდის, რომ ყველა სიტყვა და ფორმა, რომელიც დიალექტურ მეტყველებაში შეიძლება დავადანტუროთ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ დიალექტის ორგანულ კუთვნილებად მისი მიჩნევის აუცილებლობას. განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაეწიოს ამ რიგის ფაქტებს დიალექტოლოგიური ატლასის შედგენასას, მის მონაცემთა ისტორიული ღირებულების შესაფასებლად.

ზემოთ აღნიშნულის გამო გურული დიალექტის „სოკან“ არ მოხერხდება „კენ“ თანდებულთან ანალოგიით აიხსნას. აქ გარკვეულ წილად „გ“-ს „კ“-დ ქცევაში როლს უნდა თამაშობდეს ს ბგერის შორეული მეზობლობაც.

ასეთი ცვლილების მეორე შემთხვევაც გვაქვს იმავე გურულში (და სხვა დასავლურ დიალექტებში). ალაგ სიტყვიდან (მის ადგილ სიტყვასთან კონტამინაციით) არის წარმოქმნილი რთული შენათსზი ერსალიკაჲ (=ერთ ალაგას, ერთ ადგილას). აქედან ს შეზრდილი სალიკა[ა]/სალიკე სახეობაცაა დამოუკიდებლად გავრცელებული¹².

სონანტა მეზობლობაში მოქმედი ფონეტიკური კანონზომიერების — ხშულთა გამკვეთრების — საფუძველზე უნდა იხსნებოდეს ზოგ საკუთარ სახელში (პიროვნებისა თუ გვარ-სახელთა ფუძეებში) მკვეთრი ხშულის არსებობა მოსალოდნელი მეღერის ადგილას.

თორ-ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიას და საერთოდ სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხებს საყურადღებო გამოკვლევა მიუძღვნა დ. ბერძენიშვილმა. იგი ვრცლად მიმოიხილავს ჯავახეთში მიწისმფლობელობისა და მიწათმფლობელთა ისტორიას და ერთგან ასკვნის: „სწორედ ეს ადგილობრივი მფლობელები უნდა იყვნენ აღნიშნულნი იმ მცირერიცხოვან წარწერებში, რომლებიც ადრეფეოდალური ხანიდან შემორჩა ჯავახეთში: ესენია: ვინმე სამხარაჲ ხანდოს საყდრის კედელზე და ბასილი აკნელი სოფ. აგანაში. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერები VI—VII სს. განეკუთვნება,

¹² ქ. ლ. მ. თ. თ. ძე, „ერთი“ რიცხვითი სახელის ისტორიისათვის ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში, ივე, XIII, 1962, გვ. 73; ალ. კ. ი. ნ. კ. ა. რ. ე. ლ. ი. ცახე, ალე, სტარი, სერი||სერვა... სიტყვათა ეტიმოლოგიისათვის. ივე, XXV, 1986, გვ. 134.

ხოლო სიტყვა „აკნელი“, შესაძლოა ბასილის სადაურობაზე მიუთითებდეს და გულისხმობდეს სოფ. აგანას“-ო¹³.

ავტორის მიგნება აკნელის აგანა-სთან კავშირის შესახებ სავსებით სარწმუნო ჩანს, ოღონდ ავტორი ასეთი ცვლილების ასახსნელად უშვებს * „აკანა“-ს არსებობას და ანალოგიისათვის მოიშეკლიებს სოფ. გოგოას იდენტიფიკაციის შესაძლებლობას სოფ. გოკიასთან.

„გოგია (გოკია)“-ს საკითხი თავისებურია, რამდენადაც ჩვენ წინ არის ორი სრულიად იდენტური თანხმონის შემცველი ფუძე, და თან არაა გამორიცხული მოგვიანებით სხვა ენობრივი ჩარევაც. რაც შეეხება „აკანა“-ს დაშვებას ამ რეგიონში, ავტორის მიერვე შოპოვებული მასალის მიხედვით ამ სახეობის გეოგრაფიული პუნქტი არა ჩანს. ჩვენ მიერ ზემოთ ნაჩვენები ფონეტიკური კანონზომიერების მიხედვით კი სწორედ „აგანა“-საგან (ფუძის წარმოებისას ხმონის რედუქციის შედეგად) უნდა წარმოქმნილიყო „აკნელი“ (*აგნელი).

ავტორის მიერ ფიქსირებული ეს ფაქტი კი ძალზე საყურადღებოა აღნიშნული ფონეტიკური პროცესის ისტორიის თვალსაზრისით, რამდენადაც იგი ადრეფეოდალურ ხანაში დასტურდება.

ამავე კონტექსტში ჩვენს ყურადღებას იქცევს საკუთარი სახელი ცოტნე (კერძოდ, ცნობილი ისტორიული პირის ცოტნე ღაღიანის სახელი).

ცოტნე საკუთარ სახელს ნ. მარი თვლის ცოტა (—ცო+ტან) სახელისაგან მომდინარედ. მსგავსივე აზრი არის ალ. კინჭარაულის მიერ ფრთხილად გამოთქმული. ავტორი სვამს კითხვას, ხომ არ არის ეს სახელი ნაწარმოები „ცოტა“ სიტყვის კნინობითი ფორმის საფუძველზეო: ცოტნე < ცოტინეა < ცოტინაა? ¹⁴

გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ იგი არ წარმოადგენს „ცოტა“ სახელის ფუძიდან ნაწარმოებ კნინობითის ფორმას, მაშინ ე ხმოვანი მიცემითი ბრუნვის ფორმაში „ცოტნე“-ს არ შერჩებოდა.

-ე ამ ფორმაში უთუოდ მაწარმოებელია, რომელიც მ- — ე კონფიქსური წარმოების ნაშთი უნდა იყოს და თვით სიტყვა აღნიშნული ფონეტიკური ცვლილების ნიადაგზე სონანტის მეზობლად მელერი „დ“-ს გამკვეთრებით უნდა წარმოქმნილიყო ცოდნა ზმნის მიმღეობიდან: [მ]-ცოდნე > ცოტნე.

თანხმონით დაწყებულ ნაზმნარ სახელებში ფონეტიკურ ნიადაგზე „მ“-ს ჩამოშორება ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულში (განსაკუთ-

¹³ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბ., 1985, გვ. 129.

¹⁴ შტრ.: Н. Я. Марр, В типике ли история материальной культуры?— ИАИМК, вып. 67. Л., 1933, გვ. 110; ალ. კინჭარაული, ხევს. თავის., გვ. 84.

რებით მის დასავლურ არეალში) და სწორედ ამ ფუძეში, შდრ.: იშერ-
კოლინარე¹⁵.

მისი ასეთი წარმომავლობისათვის ისიც საყურადღებოა, რომ ეს
სახელი ისტორიულად მდალი წრის პირებს ერქმეოდა. ცოტნე დადიანის
გარდა ისტორიული საბუთებით ცნობილია ცოტნე გარაყანიძე,
რომელიც შეძლებული პირი ჩანს, რამდენადაც მისგან თვით დედო-
ფალიც სოფელს ყიდულობს¹⁶.

თავდაპირველად, უნდა ვიფიქროთ, ასეთი სახელი წარჩინებულთა
პირის ეპითეტი (ზედწოდება) ყოფილიყო და შემდეგ წარჩინებულთა
სახელად დამკვიდრდა (შემდეგში კი საერთოდაც გავრცელდა)¹⁷. ამის
მაგალითები ცნობილია.

К. В. ЛОМТАТИДЗЕ

АБРУПТИВИЗАЦИЯ ЗВОНКОГО СМЫЧНОГО В СОСЕДСТВЕ С СОНАНТОМ И ГЕНЕЗИС НЕКОТОРЫХ СОБСТВЕННЫХ ИМЕН В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В статье устанавливается действие особого диссимиля-
тивного процесса — абруптивизации звонкого смычного в со-
седстве с сонантом.

На основе этого процесса дается объяснение таких дубле-
тов, как პნევა pneva „рассыпаться“ — ბნევა bneva „рассыпаться“;
„растеряться“; ცინტალი cintali—ცინდალი cindali „котенок“ и т. д.

Утверждается, что в основе образования некоторых соб-
ственных имен лежит указанный фонетический процесс. Тако-
вы собственные имена исторических лиц: ბასილი აკელი Basili Ak-
neli (VI—VII в.) „Василий из Агани“, ცოტნე დადიანი Cotne Da-
diani (XIII в.). Собственное имя ცოტნე Cotne восходит к причастию
[მ]-ცოდნე [m]codne „знающий“, „знаток“ и вначале, наверное, было
использовано в качестве эпитета (в отношении представителя выс-
шего сословия).

¹⁵ ქ. ძოწენიძე, ზემოიბერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 454.

¹⁶ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. ქართული ისტორიული სა-
ბუთები IX—XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ.
ე. სილოგაევამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 163.

¹⁷ მოხსენებასთან დაკავშირებით გამართული მსჯელობის დროს საყურადღებო
ცნობა მოგვაწოდა ფილოლ. მეცნ. კანდიდატმა ნ. საყვარელიძემ: მან დაადასტურა
კახეთში საყოთარ სახელად „მცოტნე“-ს არსებობა.

ბ. რიბაშა

ქართველურ ენათა ლექსიკონიდან

(ქართულ შიშინა სიბილანტთა ზანურ შესატყვისობებთან დაკავშირებით)

1. ქართ. ჭილე „წყალთაგან გამოფლატული“ (საბა). იგი შემონახულია ქართულის ზოგ დასავლურ კილოში. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ჭილე წარმოდგენილია საბასეული განმარტებით, საილუსტრაციოდ კი მოყვანილია — „შევყოფდი ხოლმე ხელს ჭილეში, ქვებში, და, თუ შევხვდებოდი თევზს, დავიჭერდი და ამოვიყვანდი“ (აკაკი). იქვე ჭილეს სინონიმად დასახელებულია გურული ბოლათი „თევზის შესაძრომი ღრუ მდინარეში და ტბაში“ (ი. კუონია, სიტყვის კონა).

ჭილე ზემო იმერეთის სხვადასხვა სოფელში დადასტურებული აქვს ქ. ძოწენიძეს და განმარტებულია ასე: „წყალში მცენარის ფესვების, ქვების ან გადმოხურული კლდის ქვეშ გამოთხრილი ღრუ, სადაც ბინადრობს თევზი“. იქვე დართულია მთქმელის განმარტება ამ სიტყვისა: „წყლის ნაპირზე ხე იქნება ამოსული და წყლისაგან რო ექნება გამოცლილი მიწა და მის ფესოებს ქვეშ ბინადრობს თევზი, ამას ქვია ჭილე“¹.

ჭილე დადასტურებულია ლ ე ჩ ხ უ მ უ რ შ ი. აქ მისი მნიშვნელობაა „გრძელი ჩირგვი“².

ჭილე გვხვდება ქ ა რ თ ლ უ რ დიალექტში — „ნარიყი, სადაც გამორიყავს მდინარე, წყალი რო მოჩილანს ხის ტოტებსა, ნაგავსა, ჭილე ის არი, მოჩილული ადგილია, ჭილე, ბალახ-ბულახია, ხე-ტყეა“³.

ქართ. ჭილე-ს ზანური შესატყვისია მეგრ. ონძილე, ონძგილე — „ღელეში დაგუბებული წყალი, სადაც ბინადრობს თევზი ნაპირებზე მდგარ ხეების გამოფლატულ ძირებში“.

¹ ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 528.

² ზ. ალავეიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი; ქართველურ ენათა ლექსიკონი, II, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ., 1938.

³ თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1981, გვ. 530.

ონძილე||ონძილე სიტყვაში ნ ფონეტიკური ჩანართა: ონძილე||
ონძილე—*ო-სილ-ე||*ო-ძგილ-ე. ონძილე ვარიანტში გაუჩინარებული
ჩანს ძგ კომპლექსის გ უკანაენისმიერი ხშული — ო-ნ-ძილ-ე—ო-ნ-
-ძგილ-ე.

ქართ. ჭილეს ძირისეული ჯ მჟღერი შიშინა აფრიკატის
კანონზომიერი შესატყვისია ზანურში მჟღერი სისინა აფრიკატიანი
ძგ კომპლექსი.

მეგრ. ონძილე||ონძილე ნაწარმოები სახელია ო- პრეფიქსითა და
-ე სუფიქსით. ქართული ჭილეც უნდა ყოფილიყო ნაწარმოები ზანურ
ო-ს შესატყვის სა- პრეფიქსითა და იმავე -ე სუფიქსით — *სა-ჭილ-ე,
სა- ელემენტი გაუჩინარებულია თითქოს ფონეტიკურად *სა-ჭილ-ე—
—*ს-ჭი-ლ-ე—ჭილე, შდრ. ძვ. ქართული მასდარის წარმოება — ს-რბ-
-ა-ა—*სა-რბ-ა-ა...⁴

ისიც საფიქრებელია, რომ სა-... პრეფიქსი სა-ჭილ-ე-ს მოეკვეცა
მორფოლოგიურად, შდრ. ქართ. მასდარის ფორმის გამარტივება, ზან.
ო-ქარ-უ — ქართ. წერ-ა—*სა-წერ-ა (არნ. ჩიქობავა).

ქართ. ჭილე (—*სა-ჭილ-ე) და მეგრ. ო-ნ-ძილ-ე სიტყვის ერთიან
წარმოებად მიჩნევას თითქოს საეჭვოდ ხდის ის ფაქტი, რომ მეგრ.
ო-ნ-ძილ-ე სახელის საწარმოებელი სუფიქსი -ე ქართულის ბოლოკი-
ღურ ნასუფიქსარ -ე-ს ემთხვევა, მოსალოდნელი იყო ქართ. ე-ს შესა-
ტყვისად -ა ხმოვანი — *ო-ნ-ძილ-ა, მაგრამ, როგორც ცნობილია, გან-
ხილული პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება ზანურში შეიცვალა ქართუ-
ლის გავლენით — ზანური -ა სუფიქსი შეცვალა ქართულმა -ე სუ-
ფიქსმა. — მეგრ. „*ო-ნძილ-ა—ო-ნ-ძილ-ე, შდრ. მეგრ. *ო-ქოთომ-ა—
—ო-ქოთომ-ე, შდრ. სა-ქათმ-ე... ძველი ზანური ვითარება ამ მხრივ და-
ცულია ზანური წარმომავლობის იმერულ, გურულ, აჭარულ ტოპო-
ნიმებში, მაგ., იმერული ტოპონიმი ოკრიბა ო- პრეფიქსითა და -ა
სუფიქსით ნაწარმოები მეგრ. კირიბი („კრავ-ი“) სახელისაგან, ო-კი-
რიბ-ა, შდრ. ქართ. სა-კრავ-ე...

ამგვარად ქართულ ჭილე-სა და ზანურ ო-ნძილ-ე—ო-ნძილ-ე-ს
შორის უკვე ცნობილი კანონზომიერი შესატყვისობაა.

ანალოგიური შემთხვევა გვაქვს კერვის აღმნიშვნელ ერთ სა-
ერთო-ქართველურ ფუძესთან: ქართულის დასავლურ კილოებში აჭარ.
მოჭილვა||მორჭილვა — „უგულოდ, უხეიროდ, სახელდახელოდ შეკერ-
ვა, ან მიკერება“⁵. ჭილავს ზმნა აღნიშნავს ცუდად, უხეშად კერვას.

⁴ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ
ენებში, 1942, გვ. 225.

⁵ შ. ნიქარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა, ბათუმი,
1971.

ამ ზმნის ზანური შესატყვისია მეგრ. ნძგილანს, უნძგილუანს „ცუღად, უშნოდ კ ე რ ა ვ ს“. როგორც ვხედავთ, აქაც ქართ. ჯ შიშინა აფრიკატის შესატყვისია ზანურში ძგ კომპლექსი — ქართ. ჭილ და ზან. ძგილ-

საყურადღებოა, რომ განხილულ შემთხვევებში ომონიმურ ფუძეებთან გვაქვს საქმე ქართულსა და ზანურში: ქართ. ჭილ-ე: ზან. ონძგილ-ე — ქართ. ჭილ-ავ-ს: ზან. (ნ)-ძგილ-ან-ს.

2. ძვ. ქართ. მჩორე „ძაღლის ან მკეცის სკორე“ (საბა). ქართ. მჩორე ფუძის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. ცქჯრა||ცქირა ცხოველის ნაწლავში მოთავსებული ექსკრემენტი. ზან. ცქჯრა-ს ამოსავალი სახეობა უნდა ყოფილიყო *(მ)-ჩორ-ა: თავკიდური ჩ შიშინა აფრიკატი ზანურში გადასულა ცქ კომპლექსში, ხოლო ფუძისეული ოირაციონალურ გ ხმოვანში -(მ)ჩორ-ა—ცქჯრა—ცქირან.

აქ განხილული საერთო-ქართველური წარმომავლობის სიტყვები ყურადღებას იპყრობს პირველ რიგში ლექსიკის თვალსაზრისით. ირკვევა, რომ ქართულის დიალექტებში შემონახულ ჭილ-ე სიტყვას ვაანინა კანონზომიერი შესატყვისი ზანურის მეგრულ კილოში — ონძგილ-ე—ონძგილ-ე, ასევე ძვ. ქართულ მჩორ-ე სახელს მოეპოვება ზანური შესატყვისი — მეგრ. ცქჯრა (საძებარია ამ სიტყვების სვანურ შესატყვისები). მეორე მხრივ განხილულ სიტყვებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ქართველურ ენათა ფონეტიკის ზოგი საკითხი. კერძოდ, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა საპირისპიროდ: 1. ქართულის შიშინა სიბილანტების ადგილას ზანურში გუტურალ დართული სისინა სიბილანტები მაშინაც გვხვდება, როცა უ არ ივარაუდება ფუძეში (შდრ. ქართ. ჭილე — ზან. ონძგილე). 2. ქართ. ჩ შიშინა აფრიკატის შესატყვისად ზანურში არა მარტო ჩქ შიშინა სახეობა გვხვდება, არამედ სისინა ცქ კომპლექსიანი სახეობაც არსებობს (შდრ. ქართ. მჩორე — ზან. ცქჯრა).⁷

⁶ ზან. ცქჯრა||ცქირა და ძვ. ქართ. სკორე სიტყვათა შორის თათქოს შეიმჩნევა სემანტიკური და რამდენაღმე ფონეტიკური მსგავსებები, რაც შემთხვევითი ჩანს: ძვ. ქართ. სკორე „განავალი“ (საბა) ბერძნულიდან „გემოსული სიტყვა, შდრ. ბერძნ. σκαρ „ექსკრემენტი“.

⁷ შდრ. თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959, გვ. 78.

Г. В. РОГАВА

ИЗ ЛЕКСИКИ КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКОВ

(К вопросу соответствия грузинских шипящих
сбилянтов с занскими)

Резюме

В работе выявлены некоторые редко употребляемые общекартвельские слова, которые сохранились в древнегрузинском языке, а также в грузинских и занских диалектах.

Они вызывают интерес как в отношении лексики, так и исторической фонетики картвельских языков: 1. грузинский шипящим сбилянтам в занских диалектах соответствуют свистящие сбилянты в гутуральных комплексах и в том случае, когда исключается историческое наличие лабиального сонанта $\text{ʃ} w$ (ср. груз. ჯილე *ǰile*—мегр. ო-ნ-ძილე ← ო-ნ-ძილე *onǰile* ← *onǰile*), 2. груз. шипящей аффрикате $h \zeta$ в занском языке соответствует не только шипящий комплекс $\text{h} \zeta$ *čk*, но и комплекс со свистящей аффрикатой $\text{ç} \zeta$ *sk* (ср. груз. მხოლე *mχole*, мегр. ცქრა *skəra*).

ქართული სხლავს ზმნის *სხალ ფუძე და მისი
სვანური და ზანური შესატყვისები

ქართული სხლავს ზმნა. და მისგან ნაწარმოები მასღარი სხლვა, მიმღობა ნასხლვევი დასტურდება უძველეს ქართულ ძეგლებში: „განვარდეს გარე ვა ნ ა ს ხ ლ ე ვ ი“ (ოთხთ., ი. 15,6); „უამი ს ხ ლ ე ი ს ა მ მოფწია“ (ბიბლია, ქება, 2, 12)...

საბა ორბელიანის განმარტებით სხლვა არის „რტოთ მოკვეთა“.

სხლავს ზმნის საბასეული განმარტების შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „საბა, რასაკვირველია, მართალი იყო, როდესაც აპობდა, რომ სხლვა — „რტოთ მოკვეთაა“. თავდაპირველად ამ ზმნას სწორედ ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ შემდგომი განსაკუთრებით ვაზის რტოთ მოჭრის აღსანიშნავად იხმარებოდა და ეხლაც იგივე მნიშვნელობა აქვს მას შენარჩუნებული“¹.

სხლავს ზმნის საბასეულ განმარტებას („რტოთ მოკვეთა“) და ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემულ ამ განმარტების ინტერპრეტაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ ზმნის ეტიმოლოგიის გარკვევის საქმეში.

სხლავს ზმნის სხლ ფუძის ამოსავალი სახეობაა *სხალ. ამ სახით *სხალ — გა-ვ-სხალ-ი სალიტერატურო ქართულში ამჟამად თითქოს არ დასტურდება, მაგრამ რომ ამ შემთხვევაში *სხალ- სახეობაა ამოსავალი, ამას ადასტურებს სვანურისა და ზანურის მონაცემები.

სხლავს, ვტიქრობთ, ნასახელარი ზმნაა. სახელი *სხალ-ი აღნიშნავდა ტოტს, ხის ტოტს. ეს მნიშვნელობა შენარჩუნებული აქვს ქართ. *სხალ ფუძის სვანურ კანონზომიერ შესატყვისს — აშხალ||არ-შხალ ხის ტოტის აღმნიშვნელ სახელს.

სვან. ა-შხალ||არ-შხალ სახელში თავიიდური ა ნაპრეფიქსალი ნაწილია. გაურკვეველი ჩანს ა-რ-შხალ ვარიანტის რ სონანტის საკითხი.

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, თბ., 1934, გვ. 327.

ზანურში ქართ. *სხალ და სვან. *შხალ ფუძის კანონზომიერი შე-
სატყვისი უნდა ყოფილიყო. *შხოლ, მაგრამ იგი ზანურის ორსავე კი-
ლოში დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ. ეს სავარაუდოდ ზანური სახე-
ლური შხოლ ვარიანტი შემონახულა როგორც ზანაზში ქართულის და-
სავლურ კილოებში — ი მ ე რ უ ლ შ ი, ლ ე ჩ ხ უ მ უ რ ს ა და ა ჭ ა-
რ უ ლ შ ი.

ვ. ბერიძის „იმერულ-რაკულ ლექსიკონში“ შეტანილია ხ ე ლ ა-
რ ი ს სინონიმი სიტყვა შხოლარ-ი „ხის სწორი და გრძელი ტოტები“².
შხოლ-არ-ში -არ ნასუფიქსარი ნაწილია.

ეს კუთხური სიტყვა შხოლარი შესულია „ქართული ენის განმარ-
ტებით ლექსიკონში“ სათანადო ილუსტრაციით ახალი ქართული
მწერლობიდან „[გლახები] ცეცხლის ალზე გრძელ შ ხ ო ლ ა რ ე ბ ა
რუჭავდნენ, ვეღავდნენ“ (ბ. ჩხიკვაძე).

ქ. ძოწენიძეს ზემო იმერეთის რამდენსამე სოფელში დადასტურე-
ბული აქვს შხოლა სახელი — სწორი, გრძელი ტოტის მნიშვნელო-
ბით³. დასახელებული ზემოიმერული შხოლ-ა ამავე შხოლარ სახელის
რ მოკვეცილი ვარიანტია.

იმერული სახელი შხოლარ-ი ვ. გაჩეჩილაძეს ასე აქვს განმარტე-
ბული — „გრძელი, წვრილი, ნეღლი წნელი (ფოთლიანი ან გასხვები-
ლი)“, და დართული აქვს საილუსტრაციო მასალა — „რო დევრია
შხოლარით ბოვშვებს, სულ დოუსისბლა ფეხები“. თანვე დამოწმებუ-
ლია ქ. ძოწენიძის ნაშრომიდან ზემოიმერული შხოლა⁴.

შ. ნიქარაძეს აჭარულში დადასტურებული აქვს სიტყვა შოლარი
„სწორი და მაღალი ხე“. ავტორს ეს სიტყვა დაკავშირებული აქვს იმე-
რულ შხოლარ-თან⁵.

როგორც ვხედავთ, იმერულსა და აჭარულში ზანურიდან შესუ-
ლი სახელური ფუძე შხოლ წარმოდგენილია ნასუფიქსარი ელემენტო-
თურთ: იმერ. შ ხ ო ლ -ა, — *შხოლ-არ, აჭარ. შოლ-არ — *შხოლ-არ.

იმერულ და აჭარულ კილოებში ზანურიდან შეთვისებული სიტყვა
შხოლ სახელური ფორმითაა წარმოდგენილი — იმერ. შხოლ-არ-
-ი, შხოლ-ა, აჭარ. შოლ-არ-ი, ქართულის ლეჩხუმურ დიალექტში კი
ეს ფუძე შხოლ ზმნურ ფუძედაც გვხვდება.

მ. ალავეძის „ლეჩხუმურ ლექსიკონში“ შხოლვა მასდარული ფორ-
მა შეტანილია მნიშვნელობით — მ ტ ვ რ ე ვ ა, ლ ე წ ვ ა და ზმნური

2 ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაკულ თქმათა, 1912, გვ. 69.

3 ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, 1974, გვ. 444.

4 ვ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976,

გვ. 155.

5 შ. ნიქარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, თბ., 1971,

გვ. 388.

ფორმით დოუშხოლავს — „ქარს დოუშხოლავს სიმინდები“. იქვე შხოლვა ზმნა შედარებულია იმერულ შ ხ ო ლ ა რ თ ა ნ⁶.

ლეჩხუმურის მონაცემების მიხედვით დაისმის კითხვა — ქართულის ლეჩხუმურ კილოში მოხდა ზანურიდან შესული სახელური ფუძის ზმნურ ფორმად გამოყენება, თუ იგი ზანურშიც ზმნურ ფუძედაც იხმარებოდა. ქართულის — სხლავს ზმნა გვაგარაუდებინებს, რომ ისტორიულად ზანურშიც შხოლ სახელური ფუძისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმაც უნდა არსებულებოდა.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ზანურის კილოებში რტოს აღმნიშვნელი სხვა სახელური ფუძისაგან ზმნური ფორმის წარმოება. რ ტ ო ს აღმნიშვნელი სახელია ზანურის კილოებში ყალ||ყალ, მრავლობითის ფორმით ჭან. ყ ა ლ-ე ფ-ე || ყ ა მ-ე ფ-ე, მეგრ. ც ა ლ-ე ფ-ი „რტოები“⁷. ამ სახელისაგან ნაწარმოებია ზმნა მეგრ. გ ო -ყალ-უ (ჯა) „გასხლა (ხე)“, ე. ი. (ხეს) ტოტები მოაჭრა.

ამგვარად, არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ქართული სხლავს ზმნის ფუძე სხლ (—*სხალ), სვანურის სახელური ფუძე (ა) -შხალ||არ-შხალ „ხის ტოტი“ და ზან. შხოლ, შემონახული ქართულის დასავლურ კილოებში — იმერულსა და აჭარულში — სახელური ფუძე შხოლარ||||შხოლა, შოლარ-, ხოლო ლეჩხუმური ზმნური ფუძე შხოლ — გ ა უ-შ ხ ო ლ ა ვ ს („დაუმსხვრევია“) მივიჩნით საერთო ქართველურ მონაცემად.

ბოლოს, ქართ. სხლ (—*სხალ) ზმნურ ფუძესთან დაკავშირებით ჩნდება ზოგი სხვა საკითხი, კერძოდ, სხლავს-ს და სხლეტ-ს ზმნების ურთიერთმიმართების საკითხი. ნ. მარი სხლეტს ზმნის ფუძეში სიტყვაწარმოებით სუფიქსად სამართლიანად გამოყოფს -ეტ ნაწარს სხლავს ზმნასთან გენეტური კავშირის მიხედვით⁸. ეს მოსაზრება ვაზიარებულიცაა სპეციალურ ლიტერატურაში⁹.

ერთიანი ფუძის მქონეა, როგორც ეს არნ. ჩიქობავას აქვს აღნიშნული, ქართ. სხლეტ- და ზან. ცხონტ-||ცხოტ- „(ხის) გაკავება, გასხვლა“, მეგრ. ცხვანტ-ალ-ი „მოუსვენრობა“, ცხვანტ-ი „მატლი

⁶ მ. ა ლ ა ე ი ძ ე, ლეჩხუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ., 1938, გვ. 159.

⁷ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 135.

⁸ М а р р Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, с. 141; შდრ.; К л и м о в Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, с. 167.

⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 392.

(ლეშისა)“¹⁰, ოღონდ აქ დასახელებული ზანური მონაცემი უნდა იყოს ქართულიდან შეთვისებული. ქართ. სხლავს (სხლეტ-ს) ზმნათა ამოსავალი — „სხალ ფუძის კანონზომიერი შესატყვისია სვან. (ა)შხალ-, და ზან. შხოლ ვარიანტები.

ქართ. სხლ-ავ-ს — სხლ-ეტ-ს ზმნის ეტ ხმოვანმონაცვლე სუფიქსიანი წარმოება განკერძოებით არ უნდა იდგეს ქართულში. ასეთივე ნაწარმოები უნდა იყოს სვანურში შხა-ტ ლო ბ ვის აღმნიშვნელი ზმნური ფორმა — სვანური ვნ-შხატ-ნ-ე „მიიღობავს“ უკავშირდება სვან. ა-შხალ სახელურ ფუძეს, შდრ. ქართ. წნ-ელ-ი სახელი და წნავს ზმნა...

Г. В. РОГАВА

ГРУЗИНСКАЯ ОСНОВА ГЛАГОЛА სხლავს SXLAVS («ОБРЕЗАЕТ ВЕТВИ») И ЕЕ СООТВЕТСТВИЯ В СВАНСКОМ И ЗАНСКОМ ЯЗЫКАХ

Резюме

Основе грузинского глагола სხლავს sxlavs — სხლ(-*სხალ) sxl (-*sxal) соответствует в сванском языке а-შხალ-а-šxal „ветвь“, а в занском *შხოლ šxol, которая сохранилась в западных диалектах грузинского языка: в именных формах в верхненмеретинском შხოლ-ა/შხოლ-არ šxol-a/šxol-ar „ветвь“ и аджарском შოლარ(<შხოლარ) šolar (<*šxolar) „высокое дерево“, а в форме глагола в лечхумском диалекте — შხოლავს šxolavs, букв. „ломает (растение)“.

¹⁰ ო. ბ. ნ. ჩ. ო. ბ. ვ. ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 385.

კ. დანელია

ძველი ქართული ლექსიკონიდან

5. მსტოვარი და მასთან დაკავშირებული ფუძეები

ძველ ქართულში ჩვეულებრივი ხმარების სიტყვა იყო მსტოვარი, რომელიც არსებითად მზირს, ჯაშუშს აღნიშნავდა. ეს სიტყვა, როგორც არქაიზმი, სალიტერატურო ქართულს დღემდე შემორჩა (ქველ-ი, V, 1958, გვ. 1137). ცხადია, სულხან-საბა ორბელიანი იცნობდა ამ უძველეს სიტყვას და განმარტავდა კიდევ: „ესე არს აეშაგი, მომხილავი ქვეყნისა, გინა მტერთა ლაშქართა და ეგვეითართა უცნაურად“¹. ჩანს, საბას მსტოვარი აეშაგის სინონიმად მიაჩნდა. მართლაც, ეს ასეა. ოღონდ ის კია, რომ პირველი ქართულია (მ-სტ-ოვ-არ-ი), მეორე კი — საშუალი სპარსულიდან ნასესხები, როგორც ამას აგ (—აგ) დაბოლოება ამჟღავნებს. სპარსულში ეს სიტყვა უამდაბოლოებოდაც აეშ-ის სახით მზვეერავს, ჯაშუშს აღნიშნავს, როგორც ეს იაგელოს ლექსიკონიდან ჩანს². ეფთვიმე ათონელი ამ სიტყვას ააშაგ-ის სახით ხმარობს, ეფრემ მცირე კი — აშაგ-ისა (აეშაგი—ააშაგი—აშაგი)³.

მსტოვრის განმარტებისას ნ. ჩუბინაშვილი საბას ლექსიკონს ეყრდნობა⁴, ხოლო დ. ჩუბინაშვილი⁵ — თავისი ბიძის — ნიკო ჩუბინაშვილის შრომას ემყარება. ოღონდ მსტოვრის განმარტებაში ჩუბინაშვილებმა დარაჯის (страж-ის) მნიშვნელობაც შემოიტანეს. ილ. აბულაძის განმარტებითაც, მსტო(ვ)არი, მსტუ(ვ)არი არის „მზვერავი, ჯაშუში, მოთვალთვალე“⁶.

1 ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი: თბზ., IV, თბ., 1955, გვ. 526.

2 Полный персидско-арабско-русский словарь. Ташкент, 1910.

3 კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხება, თბ., 1983, გვ. 385.

4 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი. ალ. დლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 249.

5 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, II გამოცემა, თბ., 1984, გვ. 899.

6 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 297.

მსტოვარ ფუძის საერთოდ მიღებული განმარტების მართებულობა ექვეს არ იწვევს, როგორც ამას ადასტურებს ქართულ თარგმანებში ნახმარი ამ სიტყვის უცხოენოვანი ფარდები.

აღსანიშნავია, რომ მსტოვარ (მსტოარ) ფუძის ვარიანტად ძველ ქართულში მსტუვარ (მსტუარ) გვხვდება. ამ შემთხვევაში უ მიღებული უნდა იყოს ან ო-ს ლაბიალიზაციით ვ-ს წინ, ან ო-ს საწილობრივი რედუქციით (ო—ჲ): ჯერ ეს ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით ბრუნვებში მოხდებოდა და მერმე განზოგადდებოდა რედუცირებული ფუძე ბრუნების პარადიგმაზე. ყოველ შემთხვევაში გრაფიკული მონაცვლეობა ო/უ დაწერილობისა ნაკლებ სავარაუდოა. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ორმაგად რედუცირებული მსტუ(ვ)რ ფორმა რეალიზებულია წარმოქმნილ ფუძეებში: განმსტურობელი (—*გან(მ)-მსტ-ოვ-არ-ობ-ელ-ი), რიცხ. 14,6; შესაძლოა, მსტურ-მაჲ-ც დაკარგოს (მსტურ—მსტრ): იმსტრობდა (—*ი-მ-სტ-ოვ-არ-ობ-დ-ა.) ტობ. 10, 10, განიმსტრონ (—*გან-ი-მ-სტ-ოვ-არ-ონ), I ნექტ. 19.3 M⁷.

მსტოვარი, როგორც ეს ქართულ ლექსიკოგრაფიაში აღნიშნული, ჯ ა შ უ შ ი ს მნიშვნელობის სუბსტანტივია. მაგრამ ჩვენი გარაუდით ის სტრუქტურით მ—არ წარმოების აქტიური მ ი მ ღ ე ო ბ ა ა (მ-სტ-ოვ-არ-ი), კერძოდ, ისეთი აგებულებისა, როგორიც უძველესი, პირველადი -ოვ სუფიქსიანი ძირებისგან ნაწარმოებ ზმნურ ფუძეთა: ძ-ოვ-ს/მ-ძოვ-არ-ი, წ-ოვ-ს/მ-წოვ-არ-ი, ი-გლ-ოვ-ს/მ-გლოვ-არ-ე. მართალია, პ. ფოგტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძოვა, წოვა, თხოვა ზმნების ბოლო ელემენტის სუფიქსური ბუნების ჩვენება ძნელია“⁸, მაგრამ მსტოვარ მიმღეობის არსებობით, ვფიქრობთ, შესაძლებელია უძველესი სტრუქტურის ორიოდე ზმნას გვერდით ამოუტყენოთ სავარაუდო ზმნური ფორმა *სტ-ოვ-ს. მაგრამ ამ ზმნური ფუძის პირვანდელი მნიშვნელობის გასარკვევად საჭიროა მისგან ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ფორმების კონტექსტური მნიშვნელობების დადგენა. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, -ოვ დაბოლოებიანი ძირეული სტ-ოვ მორფემა გართულებულია სხვა სუფიქსით თუ სუფიქსებით. ასეთია: სტუანვა (—*სტ-ჲე-ან-ვა—*სტ-ოვ-ან-ავ-ა), მიმოდასტუანვა, მოსტუანვა. თავის მხრივ გასუბსტანტივებულ მსტოვარ მიმღეობიდან კვლავ ნაწარმოებია მ ე ო რ ე უ ლ ი ზ მ ნ უ რ ი ფუძეები: იმსტურობს (—*ი-მსტოვარ-ობ-ს—*ი-მსტოვარ-ობ-ს), განმსტურობა (—*გან-მსტოვარ-ობ-ა), განმსტურობელი (—*გან(მ)-მსტოვარ-

⁷ ლიტერებით აღნიშნულია: M (მცხეთური ბიბლია), O (ოშკერი), J (იერუსალიმური), G (გელათური), pd (ბაქარისეული), P (პარიზული ლექსიკონარი).

⁸ პ. ფოგტი, ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში: „მიმოზღვევი“, ტ. 4—5, თბ., 1968, გვ. 298.

-ობ-ელ-ი), სამსტოვრო (←სა-მსტოვარ-ო). ამ ფორმათა ხმარების რამდენიმე შემთხვევას დავასახელებთ.

I. მსტოვარი: მ ს ტ ო ვ რ ა დ მიგეც შენ სახლსა ისრაჲლისასა O (მსტურად J, ებგურად G), ეზეკ. 3,17. ბერძნულ წყაროში „მსტოვარს“ ეფარდება $\sigma\chi\omicron\iota\varsigma$ „მოთვალთვალე“, „მზვერავი“ (რუსულშია „страж“). ეგევე ფარდია ამ ადგილას: დამადგინა მე ვითარცა მ ს ტ ო ვ ა რ ი (ნიში M), იობ. 16,13 P (რუსულშია цель „სამიზნე“).

გული მ ს ტ უ ვ ა რ ჰეშმარიტ, და ენაჲ მსმენელ P (გამომეძიებელ pb, მსტუვარი M), სობ. სოლ. 1,6. ბერძნული ფარდია $\epsilon\pi\sigma\chi\omicron\iota\varsigma$ „მოთვალთვალე“, „ზედამხედველი“ (რუსულშია „зрителн“). საყურადღებოა, რომ გელათურ ბიბლიაში $\epsilon\pi\sigma\chi\omicron\iota\varsigma$ ზოგჯერ კალკურადაა გადმოღებული, როგორც ზედ-მსტუარი: ზევეუილ ზ ე დ-მ ს ტ უ ა რ ი მისი G (მოლუაწე M, pb), მსაჯ. 9,29 (რუსულშია „главный начальник“).

დამალნა მ ს ტ ო ვ ა რ ნ ი იგი pb (მსტოარნი M, განმმსტრობნი G), ისუ. ნ. 6,25. ბერძნული ფარდია $\chi\alpha\tau\alpha\sigma\chi\omicron\iota\varsigma$ „მზვერავი“, „ჯამუში“ (რუსულშია посланные для высмотрения, ე. ი. „დასაზვერავეად წარგზავნილნი“).

თუალნი მისნი წმიდისა მიმართ ისრაჲლისა მ ს ტ ო ვ ა რ იყვნეს O (მსტოვარ იყვნეს) ჰხედვიდეს M, pb), ეს. 17,7. ბერძნული ფარდია $\epsilon\mu\beta\lambda\epsilon\phi\omicron\upsilon\sigma\tau\alpha\iota$, შდრ. $\epsilon\mu\beta\lambda\epsilon\pi\omega$ „ვეშვერ, ვუთვალთვალე“ (შდრ. რუსული თარგმანი: „...„глаза его будут устремлены к святому Израилеву“).

II. სამსტოვრო (სამსტორო, სამსტრო) „სადაზვერვო“, „სათვალთვლო“: ვითარცა ს ა მ ს ტ ო ვ რ ო, რომელი დგან ბორცუსა ზედა O (სამსტროჲ J, ნიშანი M, pb), ეს. 30,17. ბერძნული ფარდია $\sigma\chi\omicron\iota\varsigma$ „ალამი“; „სამხედრო რაზმი“ (რუსულშია знамя „ალამი“, „ნიშანი“).

მოვიდა ს ა მ ს ტ ო რ ო ს ა მ ა ს უდაბნოჲსასა M (სანახებსა pb, სადარნოჲთ G), II ნეშტ. 20,24. ბერძნული ფარდია $\sigma\chi\omicron\iota\varsigma$ „მალლობი“, „სათვალთვლო პუნქტი“ (შდრ. რუსული თარგმნის „возвышенность“).

რამეთუ საბრკე ექმნენით ს ა მ ს ტ უ რ ო ს ა O (სამსტროსა pb), ოსე 5,1. ბერძნული ფარდია $\sigma\chi\omicron\iota\varsigma$ „მალლობი“, „საავალთვლო პუნქტი“ (რუსულშია „сеть“).

ძველ ქართულში სამსტოვრო-ს გავრცელებულობას მიანიშნებს ის ფაქტი, რომ ეს სიტყვა სამსტუვრე-ს სახით ნახმარია ბავრატ IV-ის მეუღლის ბორენა დედოფლის ლექსში, რომელიც წარწერალია ს. ლენ-

ჯერის მაცხოვრის ეკლესიის ღვთისმშობლის ოქროქედილ ხატზე: „რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი, /პრქჳ რაჲ გაბრიელს: ვარ უფლის მკვეალი/, მე, შენი ს ა მ ს ტ უ ე რ ე, ქვეყნად მავალა“... (ს. ყუ-ბანეიშვილი, ძველი ქართ. ლიტ. ქრესტ. I, თბ., 1946, გვ. 351).

III. მიმომსტურობა, განმსტოვრება, განმსტურობა, განმსტრო-ბა: „მოხილვა, თვალთვალი, დაზვერვა, დათვალიერება“.

[ანნა] განვიდეს გზათა, მი მო ი მ ს ტ უ რ ო ბ ნ, უკუეთუ მო-ვალს ძე მისი M (ყოველსა [ლღესა] ზედა ვიდოდა გ ა რ ე მ ო ს მ ხ ე დ ვ ე ლ ი და გარე მოვლიდა გზასა ყოველსა, სადათ ესევედა მოქცეეასა მისსა pხ), ტობ. 10,7. აღსანიშნავია, რომ „მიმომსტუ-რობნ“ ზმნის პირდაპირ ფარდს ბერძნულ წყაროში სულ არა აქვს დაზვერვის, ჯ ა შ უ შ ო ბ ი ს შ ი ნ ა ა ა რ ს ი და εἰσρεῖσθε (შდრ. εἰσρεῖσθε, εἰσρεῖσθε „ვეშერ“, „თვალეებს ვაპყრობ“) ქართულ თარგმანშიც ხ ე დ ვ ა-ყ უ რ ე ბ ი ს შინაარსის ზმნითაა გაღმოდუ-ბული. აქ ნათქვამია, რომ შვილის ლოდინით შეწუხებული ქალი ყო-ველდღე გზაზე გავიდოდა და აქეთ-იქით იხედებოდა. თვალის ეჭირა გზაზე, ხომ არ ჩანს ჩემი შვილიო. სომხურ თარგმანში კი ლაპარაკია მხოლოდ გზაზე გასვლაზე და არა აქეთ-იქით ყურებაზე: ხლანტრ ს ფაქრ 'ჩ ნანსაყარზ (რუსულ თარგმანში ამ ზმნის ფარდი გამოტოვებულია: „ежедневно ходила за город на дорогу, по которой они отправились“).

ასევე გამოირიცხულია ჯ ა შ უ შ ო ბ ი ს შინაარსი ამ წინადადე-ბაში: [კანჯარმან] გან ი მ ს ტ ო ვ რ ნ ი ს მთანი საძოვრად მისა და შემდგომ კუალსა ყოვლისა მდელღოასასა ეძიებნ P (განიმსტურნიან M, მოხედოს pხ), იობ. 39,8. ბერძნული ფარდია καταχέεται ნრჟ (შდრ. καταχέεται „ვათვალიერებ“; საყურადღებოა, რომ καταχέεται ზმნის აქტიური თუ მედიუმი ფორმა ქართულ თარგმანში სისტემებრ არის გაღმოდებული განმსტურობა ზმნით:

წარავლინენ შენ კაცნი, და გან ი მ ს ტ უ რ ე დ ქუეყანაჲ იგი ქანანელთა pხ (განიმსტრვედ M [—განიმსტრედ], რიცხ. 13,3. ბერძ-ნული ფარდია καταχεψάμσθααψ (შდრ. რუს. „чтобы они вьсмот-рели землю...“). „რიცხუთას“ ამავე თავში გან ი მ ს ტ უ რ ე ს ფორმა კიდევ სამჯერ არის ნახმარი (რიცხ. 13,22—24—33 M). აღსა-ნიშნავია, რომ M-ში განმსტურობა ზმნას თავისუფლად ენაცვლება გან ხ ი ლ ვ ა („დათვალიერება“): ქუეყანა, რომელი გან ვ ი ხ ი-ლ ე თ, კეთილ არს დიდად ფრიად, რიცხ. 14,7. შდრ. ბერძნ. καταχε-ψάμσθα (რუს. „земля, которую мы проходили для осмотра, очень хороша“).

ასევე ჩვეულებრივია განმს(უ)ტრობა საწყისი: და წარავლინა მოსე ვ ა ნ მ ს ტ უ რ ო ბ ა დ ი აზირისსა G (მოხილვად M), რიცხ. 21,32, შდრ. *κατασχέψαμαι*. წარავლინა ივინი მოსე... ვ ა ნ მ ს ტ რ ო ბ ა დ ქუეყანისა მისა ქანანელთაჲსა M, ps, რიცხ. 13,17.

ილ. აბულაძე იმოწმებს აქტიური მიმღეობის ფორმა განმსტურობედს: ვ ა ნ მ ს ტ უ რ ო ბ ე ლ თ ა მის ქუეყანისათა მოიპეს სა-მოსლები, რიცხ. 14,6⁹. ეს ადგილი სხვაგვარადაა გადმოცემული M, ps-ში: რომელთა ვ ა ნ ე მ ს ტ უ რ ო ქუეყანა, დაიპეს (განხეთქნეს ps) სამოსელი თვისი, შდრ. *ταυ κατασχέψαμυναι* (რუს. „из осмотра тривавших землю“).

IV. სტუანვა, მოსტუანვა, მიმოდასტუანვა („შეხედვა“: „მიმოხედვა“) ძირეული მასალის ეროიანობის თვალსაზრისით საგულისჯეროა, რომ ხშირად ერთ წინადადებაში გვერდი-გვერდ არის ნახმარი მსტო-(ვ)არი და სტუანვა: [რააბ]... დამალნა მ ს ტ ო ა რ ნ ი ივი, რომელ მოავლინა ისო ს ტ უ ა ნ ვ ა დ ივრიქოჲსა M, ისუ ნ. 6,25. აქაც ბერძნულში სტუანვის ფარდად *κατασκοπείσθαι* არის.

პრქუა მათ: აღვედით და მ ო ი ს ტ უ ა ნ ე თ გაიდ. და აღვიდეს კაცნი ივი და მ ო ი ს ტ უ ა ნ ე ს ქუეყანაჲ გაისაჲ M (მ ო ი ს ტ უ ა ნ ე თ..., მ ო ი ს ტ უ ა ნ ე ს ps), ისუ ნ. 7,2 (შდრ. *κατασχέψασθε...*, *κατασχέψατο* „осмотрите землю..., рассмотрели Ган“).

სტუანვა ფუძე რომ შეხედვას, ხილვას, თვალნიერებას აღნიშნავს, ეს კარგად ჩანს აღიშის ოთხთავის ტექსტიდან, სადაც გადმოცემულია ქრისტესმიერი სასწაული: წილოვანი დედაკაცო ქრისტეს სამოსელს შეეხო და განიკურნა. იესომ ივრძნო, რომ რაღაც ძალა გავიდა მისგან და იკითხა: ვინ შეეხო ჩემს საქოსელსო და „მიმოდანისტუანვიდა იესუ, რაჲთამცა იხილა, რომელმან ესე ყო“, მრ. 5,32 C (მიმოიხედვიდა DE); შდრ. *περιέβλεπον* *ιδειν* (რუს. „Он осмотрел вокруг, чтобы видеть ту, которая сделала это“); სომხურშიც ხილვა-შეხედვის მნიშვნელობის *տեսանել* ზმნაა ნახმარი, მაგრამ უცხოენოვანი და პარალელური რედაქციების ჩვენების გარეშეც აშკარაა, რომ მიმოდანისტუანვიდა შეიძლება ნიშნავდეს „მიიხედ-მოიხედა ხოლმე“ და მასში გამორიცხულია „დაზვერვის“, „ჯაშუშობის“ შინაარსი, რადვან საქმე ეხება ღმრთის, ქრისტეს ქმედებას.

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ დასახელებულ ნიმუშებიდან ჩანს, რომ სტ-ოვ მართემიდან ნაწარმოებ ფუძეებს ქარ-

⁹ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 64.

თულ რედაქციებში სხვა ლექსიკური ერთეულები ენაცვლებიან: I. მსტოვარი://მჭურტელი, მხედველი, ნიში, გამომეძიებელი, მოლუაწე... II. სამსტოვრო://ნიშანი, სანახები, სადარნო; III. განმსტურობა, განმსტრობელი://განხილვა, მოხილვა; IV. სტუანვა, მოსტუანვა://მოხილვა...

არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ ყველა შემთხვევაში დასახელებული სიტყვები სინონიმები იყოს. არა. ქართულ რედაქციებში ერთი სათარგმნი ერთეულის გადმოღება რამდენიმე სატყვიტ ხშირად გამოწვეულია მისი პოლისემანტურობით. ასეთი სიტყვებია სწორედ ბერძნულ ტექსტში ნახმარი: *σχαλας* (მოთვალთვალე, მზვერავე, დარაჯი...), *ἐξαναχαις* (ზედამხედველი, თვალის მდევნებელი; ეპისკოპოსი), *καταστασις* (მზვერავე, შპიონი) და სხვ. ამიტომ, რომ ქართული თარგმანისებრ ლექსიკური სიჭრელე ახასიათებს სომხურ ვერსიასაც: მასში ქართული „მსტოვარ“ სიტყვის ფარდად ნახმარია: 1. *դևո* (ეჭე. 3,17; იობ. 16,3). რომლის მნიშვნელობაა: დარაჯი, ზედამხედველი, მოთვალთვალე; განზრახვა¹⁰. 2. *լրահա*, რომლის მნიშვნელობაა: მზვერავე, ჭაშუში, შპიონი¹¹. 3. იშვიათად კი *նստիկան* (სიბ. სოლ. 1,6), რომლის მნიშვნელობაა: ზედამხედველი, გამგე, პრეფექტი, ქალაქისთავი¹². ზმნური შინაარსით ამავე ფუძეებდაც ნაწარმოები ფორმებია გამოყენებული. „მომსტურობას“, „განმსტურობას“ ან „სტუანვას“ ფარდად ნახმარია: *լրահակ* (ისუ ხ. 6,26; 7,20; რიცხ. 21,32. 14,6...) და *դիսակ* (ნეშტ. 19,3; იობ. 39,8...); რაც შეეხება წარმოქმნილ „სამსტო(ვ)რო“ სიტყვას, მის ფარდად სომხურ თარგმანში ნახმარია: *կոթող* (ეს. 30,17) „ობელისკი“¹³ და *դիսანոց* „სათვალთვალო კომეი“; „ობსერვატორია“¹⁴.

როგორც ქართული და უცხოენოვანი ვერსიების შედარებიდან ჩანს, ქართულ მსტოვარ-ს რამდენიმე ახლომდგომი მნიშვნელობა ჰქონია. ჩვენი ვარაუდით, ამ სიტყვის სემანტიკის ცვლა კონკრეტიზაციით, მნიშვნელობის დავიწროებით წარმართულა: 1. მ ა ყ უ რ ე ბ ე ლ ი, მ ხ ე დ ვ ე ლ ი, მ ზ ი რ ა ლ ი; 2. თ ვ ა ლ ყ უ რ ი ს მ გ დ ე ბ ე ლ ი, ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი; 3. მ ო თ ვ ა ლ თ ვ ა ლ ე, მ ზ ვ ე რ ა ვ ი, ჭ ა შ უ შ ი. მაშასადამე, სტ-ოვ მორფემის ამოსავალი მნიშვნელობა ხ ე დ ვ ა, მ ზ ე რ ა უ ნ და ყ ო ფ ი ლ ი ყ ო.

¹⁰ Худабашев А. Армяно-русский словарь. М., 1938, с. 316.

¹¹ იქვე, გვ. 485.

¹² იქვე, ტ. II, გვ. 281.

¹³ იქვე, ტ. I, გვ. 595.

¹⁴ იქვე, გვ. 326.

მზ. ანდრონიკაშვილის აზრით, მსტოვარ, სამსტოვრო, განმსტ(უ)-რობა ფორმებში ფუძე არის სტოვ/სტუ. მკვლევარი დასაქნის: „ჩვენი ფიქრით, იგი შესაძლებელია დაუკავშირდეს ოსურ დიგ. ფორმას *æstæfun*; *æstaf* „замечать, примечать, чують“. ჰ. ირ. **uz-tap*, შდრ. *taf* „ყნოსვა, სუნი“. *æstaf*—სტო/სტუ (მ-სტო-ვ-არ-ი, სტუ-ან-ვა)¹⁵. მართალია, ქართული სტოვ-ის დაკავშირება ძვ. იონულ *uz-tap* („ყნოსვა“) ან ოსურ დიგორულ *æstaf* („შემჩნევა“, „დაკვირვება“) ფუძეებთან ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი თვალსაზრისით წინააღმდეგობას არ აწყდება (ყნოსვა, შეგრძნობა—შემჩნევა, ღანახვა—დაზვერვა), მაგრამ ფონეტიკურ-ბგერობრივი თვალსაზრისით ბევრი რამ არის აუხსნელი და ძნელად ასახსნელი. ამიტომ ეს ეტიმოლოგია სავარაუდოა და არა დამტკიცებული.

ნ. მარი კი მსტოვარ სიტყვაში სტო ძირს გამოყოფდა (მ-სტო-არ-ი) და ფალაურ ოსტ-ს უკავშირებდა, იმ ოსტ-ს, რომელიც თითქო ოსტიკან სიტყვაშია დაცული. ის ფალაურიდან სომხურში ნასესხებ ამ სიტყვას ასე შლიდა: *ოსთ-ჩქ-ანს* და მიაჩნდა, რომ ქართული მსტო-არის პირვანდელი მნიშვნელობის გასათვალისწინებლად სომხური *ოსთჩქანს* და ბერძნ. *ἐπίοχοπος* გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მისცემოდა: უცხოენოვან ფარდთა მსგავსად მსტოარს თავდაპირველად მმართველის, განმგებლის, მეურვის, უფროსის შინაარსი უნდა ჰქონოდა, ხოლო შემდეგ აქედან განვითარებულა ზედა მხედველის, მოთვალთვალის, მზვერავის მნიშვნელობა¹⁶. ცხადია, შეიძლება სიტყვის მნიშვნელობა დავიწროვდეს, მაგრამ ამ ახსნაში არაა გათვალისწინებული ფონეტიკური გარემო: რას უნდა გამოეწვია, ვთქვათ, ოსტ ბგერათმომდევრობის შეცვლა სტო-თი. აღსანიშნავია, ისიც, რომ მკვლევართ, რომელთაც ირანული *ostikān*-ის სესხება სომხურსა და ქართულში ეჭვის ქვეშ არ დაუყენებიათ, ეს სიტყვა არ დაუკავშირებიათ მსტოვარ-თან¹⁷. თავის მხრივ ეს უკანასკნელი მსტოვარი (მსტუარი, მსტრობა) ჰ. ჯოგტს დასახელებული აქვს ისეთი სტ კომპლექსის მქონე „უდავოდ ქართული

¹⁵ მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივო ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 100.

¹⁶ Марр Н. Заметки по текстам св. Писани в древних переводах армян и грузин. — ХВ, т. III, вып. III, 1915, с. 256.

¹⁷ ჰ. ჯ. სნაიკან, ლაქსენს არძიოასკან ჩიოარან, III, ზრქლან, 1977; გვ. 570—571; მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 172, 359.

წარმოშობის“ სიტყვების გვერდით, როგორცაა: სტვირი, სტვენა¹⁸ სტინვა¹⁸.

ჩვენი ვარაუდით, სტ-ოვ ძველი ქართველური ფუძე უნდა იყოს, უძველესი -ოვ მამულებელი სუფიქსით დეტერმინებულო, ხოლო ნეიტრალური ბგერათკომპლექსი სტ- იგივე ოდენობა, რაც სახელური თუალ ფუძის თ. ამდენად, სტ-ოვ ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა თვალის ქმედების, ე. ი. ხედვის, მზერის გამოხატვა უნდა ყოფილიყო, რაც რეალურად ძველ ქართულში შენარჩუნებულია მისგან ნაწარმოებ მსტოვარ, განმსტურობა, სტუანვა, სამსტოვრო სიტყვებში. სტ-სა თ-ს ურთიერთმიმართების გასარკვევად უნდა გავითვალისწინოთ თუალ ფუძის კანონზომიერი შესატყვისები ქართველურ ენებში და ისეთი ფარდობა, როგორცაა ქართულ-ზანური თ — სვანური შდ.: ათი, ვით, ჟემდ; თაგვი, მთუგი, შდუგ; თხილი, თხირი, შდინ; დათვი, მთუთი/თუნთი, დაშდუ და სხვ.¹⁹ კ. შმიდტი ფიქრობს, რომ ქართულ-ზანური თ და სვან. შდ (←*შთ) არცერთი არ ასახავს ფუძე-ენის დონეზე არსებულ ვითარებას და ორივე პალატალიზებული *tj-სგან უნდა მოდიოდეს (ანალოგიისთვის მოყვანილია ინდოევრ. kwoitjā → ძვ. სლავ. svetja → ძვ. ბულგ. svešta „სინათლე“)²⁰. გ. კლიმოვის აზრით, შესაძლებელია სვან. შდ რეფლექსი იყოს ფუძეენისეული სთ-სი, იმ სთ-სი, რომელიც ქართულსა და ზანურში არამყარია²¹ და სხვა ბგერათმომდევრობად გარდაიქმნება ან მარტივდება. გ. შაჰავარიანის ვარაუდით, წინარექართველური სთ-ს რეფლექსია სვან. შთ→შდ (დისიმილაციით) და ქართული თ: საერთო-ქართველური შუასიბილანტური ყრუ სპირანტ |*ს,|-ს ალფონი ქართულსა და ზანურში გამქალა თ-ს წინ, ხოლო ამავე პოზიციაში სვანურში |შ| თანხმოვანი მოუცია (*ს₁თაგუ—ქართ. თაგვი-ი, ჰან. მთუგ-ი, სვან. შდუგუ)²². ბგერათა ასეთი მიმართებისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ქართ. თუალ-ის და ზან. თოლ-ის შესატყვისად სვანურში ორი ფორმაა გამოვლენილი: თე (თერ), რომელსაც გ. კლიმოვი²³ *თო→

¹⁸ კ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, ობ., 1961, გვ. 23—24.

¹⁹ კ. შმიდტი, ქართველური ფუძე ენის ბგერათსისტემის რეკონსტრუქციისათვის: სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული, 2—3, თბ., 1954, გვ. 79.

²⁰ იქვე, გვ. 79.

²¹ Климов Г. Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка-основы — Известия АН СССР, отд. лит. и языка, т. XIX, вып. I, 1960, с. 26.

²² გ. შაჰავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965, გვ. 36—37.

²³ Климов Г. Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, с. 93.

—*თვე-საგან მომდინარედ ვარაუდობს, და ზღუღუჭ, რომელსაც კ. შმიდტი²⁴ (და მასზე დაყრდნობით გ. მელიქიშვილიც)²⁵ ქართულ-ზანური და სვანური თ:შდ შესატყვისობისთვის ასახელებს. თუ დავუშვებთ ქართული თუალ-ის და სვან. ზღუღუჭ-ის გენეტურ კავშირს, ძველი ქართული სტ-ოვ-ის სტ თითქო სვანურ შთ-ს (—შდ-ს) სისინა სთ/სტ ვარიანტად წარმოგვიდგებოდა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია მკვლევართა ცდები, რომ ქართ. თ-ს შესატყვისად ადრე სვანურში სტ-ც ევარაუდათ. მაგალითად, ნ. მარი ფიქრობდა, რომ ქართული თმის შესატყვისად სვანურში ადრე უნდა ყოფილიყო *სთემ ან *სტემ, რომლის სახესხვაობაა თითქო სომხური *ստի*, ხოლო ოთხ-თავის ძველქართულ თარგმანში ნახმარი სტევი „ბალანი“ (მ. 3,4; მრ. 1,6 C) სვანურ-სომხური მეტყველებიდან იყოს შეთვისებული²⁶. როცა მზ. ანდრონიკაშვილმა ქართ. სტევი ოსურ *tewa*-ს („აქლუქს“) დაუკავშირა („აქლემი“—„აქლემის მატყლი“²⁷), ამან ა. შანიჩის ასეთი შენიშვნა გამოიწვია: „არის კი ეს სტევი ქართული სიტყვა? ამბობენ, სომხურიდან მოდისო. ალბათ, თვით სომხურშიც იგი ერთ-ერთი ქართველური ენიდან შევიდა, რომელიც სვანურის ახლო მდგომი იყო (სტეე—სდეე—შდეე—*თემ, თმა, მ. თომა)“²⁸.

ცხადია, სტევის ეტიმოლოგია სარწმუნო რომ იყოს, გამოვლენდებოდა უნიკალური ფარდობა: ქართ. ზან. თ: სვან. სტ., და, ერთგვარი საფუძველი გვექნებოდა ქართულ-ზანური თ-ს (თუალა, თოლა) პირდაპირ სვანურ ფარდად მიგვეჩინა სტ სტ-ოვ ფუძისა. მაგრამ ამის მტკიცება შეუძლებელია, რადგან ქართ.-ზან. თ: სვან. სტ შესატყვისობა არ არის გამოვლენილი უეჭველი ეტიმოლოგიის სიტყვებში; თანაც სტ კომპლექსი ქართულსა²⁹ და განსაკუთრებით ლაზურში³⁰ სტაბილურია, შდრ. ქართ. სტეენა, ლაზ. ოსტეინუ, მეგრ. რშეინუა; ლაზური: ლასტერი (შდრ. მეგრ. ლასირელი „გალესილი“), გობრესტე-

24 კ. შმიდტი, ქართველური ფუძე ენის რეკონსტრუქციისათვის... გვ. 79.

25 გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 60.

26 Марр Н. Из поездок в Сванетию. — ХВ, II, вып. I, 1913, с. 25.

27 მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 65.

28 ა. შანიჩე, რეცენზია მზ. ანდრონიკაშვილის დასახელებულ წიგნზე: „ძვ. ქართ. ენის კათ. შრომები, 11, 1968, გვ. 155.

29 ზ. ფოგტი, ქართული ენის ფონმატური სტრუქტურა, თბ., 1961, გვ. 95; გ. მაკავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1955, გვ. 95.

30 ნ. ქუთელია, არაკანონიკური კონსონანტური ჯგუფების სუბჰაიკისათვის ლაზურში: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), №3, 1986, გვ. 151.

რი „ნაცრისფერი“, ოსტუ (←ოსთუ „გაშლა“, „გახსნა“), ოსტერუ (←ოსთერუ „თამაში“), ოსტომილუ (←ოსთომილუ „სრ.ოლა“, „გადაგდება“), სტველი (←სთველი „ნომბერი“, „შემოდგომა“)... ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასავლურ ქართულში სევანურიდან ადრე ნასესხებ შთ-ს (შდრ. *შთულჭ→შდულჭ „თვალი“) ქართულ თანხმოვანთკომპლექსთა სისტემის კვალობაზე ტრანსფორმაციით სთ, სტ (შტ) მოეცა და ამათზე ზმნური ფუძის მადეტერმინებული სუფიქსების დართვით იყოს მიღებული როგორც სტ-ოვ (*სტ-ევ) (შდრ. *სტ-ოვ-ს→მ-სტ-ოვ-არ-ი), ასევე *შტ-ემ (*სტ-ევ) (შდრ. შტიმვა „თვალის ბრიალი“). სტ/შტ-ს მონაცვლეობა ცნობილი ფაქტია: სტვე-ნა/შტვენა, შტო (<*სტო, შდრ. ბერძნ. σῆμα, შტერი (<*სტერი, შდრ. ბერძნ. σπερμα „მოკლებული“³¹, გადატ. „ცნობადაკარგული“), სტვირი/შტვირი³²... ამიტომ ვფიქრობთ, რომ სტ-ოვ და *შტ-ემ ერთი-დაიგივე სტ/შტ-ზე დამყარებული სხვადასხვა დეტერმინანტი სუფიქსით გაფორმებული ფუძეებია, რომელთა ამოსავალი მნიშვნელობაა თ ვ ა ლ ი ს ქ მ ე დ ე ბ ა , ხ ე დ ვ ა . სტრუქტურით *შტ-ემ-ს/შტ-იმ-ა ანალოგიურია თვალ სახელურ ფუძისაგან ნაწარმოებ თვლ-ემ-ს/თვლ-იმ-ა ფორმებისა.

ორივე ფუძის ამოსავალი მნიშვნელობაა თვალის ქმედება, პირველ შემთხვევაში აქტიური (ხედვა, მზერა), მეორე შემთხვევაში — პასიური (თვლების ხამხამი, მძიმე, რულმოკიდებული ქუთუთოების ქონა)³³. ზმნური ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი საერთო აქვთ (-ემ/-იმ), განსხვავება საწარმოებელ (საყრდენ) ძირშია: გვიანდელი თვლემს ზმნა ეფუძნება დეტერმინებულ, სუბსტანტურ თვალ მორფემას, ხოლო ძველი *შტემს (შტიმა), რომელიც დღეს დასავლურ დიალექტებში შტიმავს სახით ფუნქციონირებს, ემყარება არადეტერმინებულ შტ (სტ) ბგერათკომპლექსს, იმ შტ (←სტ-ს), რომელიც საერთო უნდა იყოს სევანურ შდულჭ ფუძეში შემავალ შდ (←შთ) მორფემასთან. შდრ. შდ→შთ→შტ: *შედომა→შდომა→შთომა, ნე-შტ-ი). -ემ/-იმ ელემენტთა სუფიქსურობა უეჭველია³³. თავდაპირველ *შტ-ემ-ს (შტ-იმ-ა) მერმე შენაცვლებია II სერიის თემაზე ავ სუფიქსით გართულებული აქტიური შტ-იმ-ავ-ს, მსგავსად სხვა ე. წ. ფუძედრეკადი ზმნებისა (შდრ. გლ-ეჯ-ს/გლ-იჯ-ა→გლ-იჯ-ავ-ს; წმ-ედ-ს/წმ-იდ-ა→

31 ჰ. ფოტრი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა... გვ. 24.
 32 ქ. ძოწენიძე, ზემოიპერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 442.
 33 ჰ. ფოტრი, ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში: „მიმ-მშილველ“, ტ. 4-5, თბ., 1968, გვ. 294.

—წმ-იდ-ავ-ს)³⁴. დიალექტური ლექსიკონის ცნობით, ეს ზნა ასე განმარტება: „შტიმვა (გურ., იმერ.) თვალის დაშტიმვა, თვალის დატყვრეცა, თვალის ბრიალი (ი. ჯყონ.)³⁵. ასე რომ, ეტიმოლოგიურად *შტ-ემ-ს/შტ-იმ-ა, შტ-იმ-ავ-ს თვალის შინაარსის მატარებელ შტ (-სტ-)ზე დაფუძნებული ზმნაა, და, ამდენად მასთან გვიან ობიექტად „თვალის“ შეწყობა (შდრ. თვალებს შტიმავს) ისეთივე პლეონასტური სინტაგმაა, როგორც ვთქვათ, „სხივებს ასხივებს“. მეორეს მხრივ სტ-ზე -ოვ-ის დართვით ჩანს მიღებული *სტ-ოვ ზმნური ფუძე, რომელსაც ემყარება გასუბსტანტივებული მსტოვარ-ი. რაც შეეხება საერთოქართველურ ფუძედ *შდიმ-ის დაშვებას (სვან. შდიმ „ყური“, ქართ. შტიმ, „შტიმავს“)³⁶ და თავად შტიმ ფუძის დააყვინრებას „ყურის“ მნიშვნელობის ხეთურ istamana-სთან³⁷, დამატებით მტკიცებას მოითხოვს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მსტოვარი და მისგან ნაწარპოები სხვა ფუძეები არ უნდა უკავშირდებოდეს ირან. tash „ყნოსვა“, ოსურ aestaf „შემჩნევა“ და არც ფალაური ოstikān-ის (= „ზედამხედველს“) ოst-ს. მსტოვარი უნდა იყოს მიმღობა უძველესი *სტ-ოვ-ს ზმნისა (შდრ. ძ-ოვ-ს, წ-ოვ-ს, თხ-ოვ-ს...). სტ-ოვ-ის სტ და *შტ-ემ-ს/შტ-იმ-ა, შტ-იმ-ავ-ს („თვალებს აბრიალებს“) ზმნის შტ-სთან სავარაუდოა სვან. შდ (-შთ)-ს კავშირი შდულჷ სიტყვისა, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „სამზერი“, „სათვალთვალო“, რაც ამოიცინობა მის ღღევანდელ მნიშვნელობაში: 1) ქონგურებს შუა კრილი, სახედი. 2) სახურავზე დატანებული კრილი ქერიდან სახურავზე გასასვლელად. ოვ (-*ევ-*ებ) და ემ/იმ (*ევ/*ივ) ერთიდაიგივე ზმნური დეტერმინანტი სუფიქსის დიალექტურ ნაირსახეობად წარმოგვიდგება. ამდენად, სტ-ოვ (შდრ. მ-სტ-ოვ-არ-ი) და *შტ-ემ-ს/შტ-იმ-ა/შტ-იმ-ავ-ს („თვალებს აბრიალებს“) ზმნური ფუძეები გენეტურად ერთი უნდა იყოს, მათი ამოსავალი მნიშვნელობაა: თვალის ქმედება, ხედვა, მზერა. აქედან არის განვითარებული მსტოვარ სიტყვის სხვა მნიშვნელობები ძველ ქართულში: 2. ზედამხედველი,

³⁴ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა. ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის: რხუ შრ., III (პირველი სერია), 1936, გვ. 227-233; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 392.

³⁵ ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1924, გვ. 636.

³⁶ ზ. სარჯველაძე, ზოგი საერთო-ქართველური ლექსემის ეტიმოლოგიისათვის. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. „მაცნე“ (ენისა და ლიტ.-ის სერია), № 4, 1980, გვ. 110.

³⁷ Иванов Вяч. О некоторых переднеазнатских параллелях к картвельским лексемам. — საენათმეცნიერო კრებული, თბ., 1979, გვ. 123.

მეთვალყურე, განმგებელი, 3. მოთვალთვალე, მზვერავი, ჯამუში. ცხადია, ეს მნიშვნელობებია ამოსავალი სტ-ოვ, მსტოვარ ფუძეთაგან ნაწარმოებ მეორეულ სიტყვებში, როგორიცაა: 1. სამსტოვრო/სამსტრო; 2. განმსტოვრება, განმსტ(უ)რობა, მიმომსტ(უ)რობა; 3. სტუნავა (←სტ-ოვ-ან-ავ-ა), მოსტუნავა, მიმოდასტუნავა და სხვ.

К. Д. ДАНЕЛИЯ

ИЗ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ЛЕКСИКИ

5. მსტოვარი mstovari („ШПИОН“) И СВЯЗАННЫЕ С НИМ ОСНОВЫ

Резюме

В труде высказано мнение, по которому მსტოვარი mstovari („шпион“) является древнегрузинским причастием, а не заимствованным из персидского языка. Первоначальным значением глагольного корня *სტ-ოვ *st-ov по данным древнегрузинских письменных памятников следует признать „действие глаз“, т. е. „смотреть“. С этой же основой можно связывать შტ-იმ-ვა št-im-va из западно-грузинских диалектов, означающее „смотреть широко раскрытыми глазами“, и сванское შღულუ štulw „наблюдательный проём в стене или в кровле“.

В древнегрузинском засвидетельствованы следующие значения слова მსტოვარი mstovari 1. „Тот, кто взирает, смотрит“, „смотрящий“; 2. Наблюдатель, надзиратель, настоятель; 3. Лазутчик, шпион.

ალ. ზინდარაული

სრც კომპლექსის გენეზისისათვის ქართულ ენაში

I. ბიკ-→ბჟე→ბრკე...

თუშურში ბიკი | ა „ობს“ ეწოდება: „ალუდმ თუ ბიკაიცი მიცდუ, უნდა გადალვარვ, აღარ კამ“¹. „წაკა თუ უმარილორ, ზეისკითა ბიკას მიცგდებს თეთრად“ (იქვე). „კირკილიც ბიკასავითე. მაგრამ ბიკა არაჲ“ (იქვე). „გიორგიობასავ ნამცხვარ პურ სულადიან კილო-ბანში ვინახიდით, არ დაბიკდებოდ“ (იქვე). „სუ ჩამბიკარ-ჩამქირჩლებულ პურ ამოვყარით კილობნითები“ (იქვე).

ხევსურულსა და ფშაურში გვაქვს ბიკ- ძირის გავრმაგებით მიღებული სიტყვა ბიბკ-ი (←*ბი-ბიკ-ი←*ბიკ-ბიკ-ი). ამ კომპოზიტიში დაკარგულია პირველი კომპონენტის აუსლაუტის თანხმოვანი კ და სინკოპირებულია მეორე კომპონენტის ფუძის ო ბმოვანი². ხევსურული: „აღარ იკმების ეეს პურ კი, გაფუჭებულ, ბიბკ გაშჩენივ“; „სულეთ ვნახე პაპაშენი, სუფრას ეჯდა ბიბკიანსა“; „ქალო, ქელ მაუჭციეთ, პურს ნუ დააბიბკებთ, ცოდორ, ღმერთ იწყენს“; „ბედისკვერა, რაც გინდა გამკმარ იყოს ან დაბიბკებულა, მაინც იმან უნდა შაქამას, ვისადაც გამამცხვარ იყვ“; „... ნუმც ვაგი-ფუჭდებავ, ნუმც დაგბიბკდებავ“; „ე პურიან ქვაბ კართაკე დადგით, თორე სიცხე პურს დაგბიბკებსთ“³.

ფშაური: „ხაკო გარეთათ მიაიკიდებს ბიბკსა“; „დაბიბკება იცის ხემა, ტანსაცმელმა, პურმა“; „რადა შკამ დაბიბკულ ხაკოსა, არ შაგიძლავა, რო გადაჰფხიკო და ისრე შკამო?“⁴

¹ გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი (ხელნაწერი).

² შდრ. ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, 1980, გვ. 177-191.

³ მასალა ამოკრებილია „ხევსურული დიალექტის ლექსიკონიდან“ (ხელნაწერი ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

⁴ მასალა ამოკრებილია „ფშაური დიალექტის ლექსიკონიდან“ (ხელნაწერი ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

ა. შანიძეს ხევსურული სათვის შემოაქვს ახალი მნიშვნელობა. იგი წერს: „ბიბკი (1) ბიპკი ჯ. ფიფქი, ყაპყი, ახლად მოსული თოვლი, ყოპყი გუღ.“ „ბიპკი (1) ფშ. ობი, ბობო მთ., ბიკა, ბიკი თ., დაბიკებუ-ლი თ. დაბებული“. „ბიპკი (2) ჯ. ახლად მოსული თოვლი, ფიფქი“.⁵

აქ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ბიკ- ძირის პრავალნაირ ფონეტიკურ ვარიანტებს⁶ ძირითადად მიღებული აქვს სიათერის სემანტიკა.

ბიკ- ძირს აღნიშნულთა გარდა სხვაგვარი ცვლილებებიც განუცლია.

ამ ორმოცი წლის წინ ვ. თოფურია აღნიშნავდა, რომ ი და უ ხმოვანთა რედუქცია ქართულში იშვიათია. ი-ს რედუქციისათვის მენი-ერი ასახელებდა სიტყვებს: მცირე (უმცროსი), აბიჯენა (აბჯენს), აღორძინდა (აღორძნდა), მარგილი (მარგლავს), ტიტბი (დატიტნა). თხილი (სვ. შიხ) და სხვ. უ-ს რედუქციისათვის — სუამ (სმა), თქუამ (თქმა), ცუამ (ცმა), ყურუ (ყრუ)...⁷

შემდეგ ასეთი ძირები კიდევ გამოვლინდა. ყურადღება მიიპყრა ერთმა უცილობელმა ფაქტმა: თუ ასეთი რედუქციის შედეგად შეიქმნა ძნელად წარმოსათქმელი ბგერათკომპლექსი, მათ შორის „ჩღე-ბა“ სონორი რ. ჩვენ შემთხვევა გვეონდა მიგვეთითებინა, რომ წიშ-ძირში („წიში“) ი თემის ნიშნის დართვის შედეგად ფუძესეული ი იკუმშება და რჩება წწის, რომელიც შემდეგ გვაძლევს ძწის ცორ-მას. ეს ფორმები ძველ ქართულში დოკუმენტურად დასტურდება. აქაც თანხმოვანთგამყარად მოგვევლინა რ და, აგრეთვე, დოკუმენტურად დასტურდება ძველ ქართულში ფორმები: წრწის, ძრწის, წრწუნ-, ძრწუნ-, ძრწოლ...⁸

ასევე ქართველურ ენებში ნასესხებ გეზ-/გზ-ა ძირში გ-ს მიმ-ყოლ ზ იქცა ძ-დ და გაჩნდა კომპლექსი გძ- (შდრ. დიალექტური სა-გძ-ალ-ი, სა-სა-გძ-ლ-ე). ამ ძირიდან ნაწარმოებ გძ-ელ-ში აგრეთვე „ჩაჯდა“ თანხმოვანთგამყარი რ: გრძ-ელ-⁹.

5 ა. შანიძე, თხზულებანი, I, 1984 (ლექსიკონი) (ტექსტი: ა. შან. თხზ. I)..

6 ამ ძირის ფონეტიკურ ვარიანტებად ვვარაუდობთ დიალექტებში დადასტურებულ ფორმებს: ბ ე ბ კ- (და ბ ბ ე კ ი ლ ი), პ ი პ კ ი, ფ ი ფ ქ ი // ფ უ ფ ქ ი, ბ ა ყ- // // პ ა ყ- (ბ ა ყ ლ ი), ბ ა ბ ყ ი // პ ა პ ყ ი, ა პ კ ი/ა, ყ ა პ ი // ყ ა პ ყ ი, ყ ა ტ ი და სხვ., რომელთაც აქ აღარ განვიხილავთ.

7 ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იყ. I, 1946, გვ. 66-90.

8 ალ. კინკარაული, ვაჟა-ფშაველას ზოგი პერსონაჟის სახელის ეტიმოლოგია („წიწოლა“). ვაჟას კრებული, 1981, გვ. 231.

9 ალ. კინკარაული, ქართველურ ენათა ლექსიკიდან, კრებ. ეტიმოლოგიური ძიებანი, I, 1987, გვ. 51.

ბიკ- ძირზე ხმოვნის (ე, ა...) ღართვით ხდება ძირეული ი-ს რე-
 დუქცია. ბკ- თანხმოვანთკომპლექსის დაძლევისათვის ენა სხვადასხვა
 გზას მიმართავს. ერთი გზაა ბ-ს გამკვეთრება: „პკეი (გურ.) ბრკე, ღვი-
 ნის ობი, ასეთ ობს ღვინო ქვევრში იკეთებს“ (ა. ლ.). პკე ქართლურ-
 შიკ დასტურდება: „შოპკევდებ-ა პკე გაუჩნდება (ღვინოს, მურაბას...).
 ქვევრი ნაკლული დამრჩა და ისეთია ჩემი ღვინო, სუ მ ო პ კ ე ვ დ ა
 (მერ.). ეტყობა, მარილნაკლები მომივიდა, წნილი მ ო პ კ ე ვ ე ბ უ-
 ლ ი ა (ძეგ.). შოპკევება: წნილმა იცის მ ო პ კ ე ვ ე ბ ა ი, მაგრამ უნ-
 და მოხადო სუფთათა (ტყვ.). შოპკევებულ-ი: მაგი მ ო პ კ ე ვ ე ბ უ-
 ლ ი ღვინო ხამი კი არა ვარ, ჩემი საკმაო ღვინოცა მაქ სახში და პუ-
 რიცა! (მერ.). მ ო პ კ ე ვ ე ბ უ ლ ი ღვინო ბოთლებში უნდა ჩაისხას,
 რო პ კ ე ყელში მეეცოს (მერ.)“¹⁰.

მთიულური: „პკა ბრკე. პკას მოიდებს ზემოდან პირს შეიკრავს
 (სითხე)“¹¹.

ვერც ამ გამკვეთრებამ უშველა საქმეს და, როგორც ბკე ისე პკე
 ფუძეებში გაჩნდა თანხმოვანთგამყარი რ. საბა წერს: „ბრკე ღვინო“
 ობი“. ობ-თან კი დიდ ლექსიკოგრაფს უწერია: „ტენიანმან ადგილ-
 მა(ნ), ანუ საკმელმან ხანიერმა(ნ) თეთრი ბიძგი მოიკიდოს, მას ობს
 უქმობენ (გინა პაქსა Z), ხოლო ღვინისასა — ბ რ კ ე ს ა“¹². ქეგლში
 პკე ბრკე-ზეა გაგზავნილი, ხოლო ეს უკანასკნელი ასეა ახსნილი: „1.
 ღვინის ობი თავზე მოგდებული. 2. ლეყაბო. 3. ტექნ. ფსკა“¹².

ბკ-ს გასაყრელად რ- ჩართული ფორმა დასტურდება ხალ-
 ხურ მეტყველებაში: „დავლიოთ, ღვინო დავლიოთ, თორემ მოიგ-
 დებს ბ რ კ ე ს ა ო, ვადღეგრძელებდეთ ცოცხლებსა, მოვიგონებ-
 დეთ მკვდრებსაო“ (ხალხ.).

ძველი ქართული ენის ძეგლებში სიტყვა ბრკე-ს ხმარების მხო-
 ლოდ ერთი შემთხვევა დავადასტურეთ, რაც უბრალო შემთხვევის
 ბრალია: ჩანს, სიტყვა ჩხმარებოდა, მაგრამ ტექსტებში ვერ მოხვდა.
 ნემესიო ემესელის ნაშრომში „ბუნებისათვის კაცისა“ ფიზიოლოგი-
 ური პროცესების აღწერისას ნათქვამია: „ხოლო სისხლი დაწმდება
 ტყირბისა-მიერ და ნავდლის შემწყნარებლისა ბუშტისა და თირკმელ-
 თაგან; რამეთუ ტყირბისა-მიერ ბ რ კ ე ბ რ ი ვ ი მიიზიდვრს მკმნელი-
 სა მისისა თუსად საზრდელად“ (ნემეს. ემეს., ბუნ. კაც. 112,13). წიკ-

¹⁰ თ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი, მ. მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ნ ო ზ ა ძ ე, ქართლური
 დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981 (შემოკლებით: ქართლ. ლექსიკ.).

¹¹ ლ. კ ა ი შ ა უ რ ი, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა. 1967 (ტექსტში:
 ლ. კაიშ.).

¹² ფსკა-ც პკა-ში მკვეთრი კ-ს წინ ს-ს ჩართვით და პ-ს გაფშვინვიერებთ
 არის მიღებული. შდრ. აპკი, აფსკი, აფსკა და ხევსურული სკა („ტენიზე
 გადაკრული აკი“).

ნის ლექსიკონში ს. გორგაძე წერს: „პრკე ღვინის ობი“ (ორბ.): ბრკე-
ბრივი — პრკის მსგავსი ნაწილები, Дрожеватые элементы (რუს.
თარგმ. 134)“. ეს განმარტება ზუსტია¹³.

ქართულში გვაქვს ბიკ-ის ფონეტიკური ვარიანტი ბეგ-: „და-
ბეგლებ-ა დაძველდება, გემო შეეცვლება (ფქვილს...)“. პურ რო გა-
რეცხამენ, კარგა თუ არ გააშრეს და ისე ჩაყარეს ბელე: „შია, ჩახურ-
დება და და ბ ე გ დ ე ბ ა, შმორის გემო, სუნი მიეცემა (კავთ.)“. და-
ბეგებულ-ი: პელოს რო პური და ლავაში ჰქონდა სუფრასედა, რა-
ღაცნაირი გემო ჰქონდა, და ბ ე გ ე ბ უ ლ ი ფქვილისა თუ იყო
(გრაკ.)“ (ქართლ. ლექსიკ.).

უქანაენისმიერთა გააფრიკატება ქართულში ჩვეულებრივი მოკ-
ლენაა. არის აგრეთვე შემთხვევები, როცა აუსლაუტის -გ- ქართვე-
ლურ ენებში იძლევა ჭ-//ჭგ-, ძ/ძგ- აფრიკატებსა და აფრიკატთან კომ-
პლექსებს (იხ. ქვემოთ).

ასეთივე შემთხვევა გვაქვს ბიკ-თან, რომლის ბიგ- (შღრ. ბეგ-)
ვარიანტიდანაც უნდა მოდიოდეს ბიძგ-ი. დ. ჩუბინაშვილი. „ბიძგ-ი
ობი, плесени“. ქსნის ხეობის ქართლური: „ბიძგ-ი ობი: დაბიძგდა
დაობდა; ცომს მეთი გლევიებისაგან ზედაპირი დაუსკდა“¹⁴. „ბიძგ-ი
ბრკე. ქვეერი რო უცეფ ობივით გაიკეთებს, ბ ი ძ გ ე ტყვიან. ო ა უ-
ბ ი ძ გ ა ო (ატ.)“ (ქართლ. ლექსიკ.). ამ სიტყვამ მნიშვნელობა გაი-
ფართოვა, თუმცა ამოსავალ სემანტიკა (ზედაპირის დაფარვა, თეთრი
ფერი...) ყველგან საგრძნობია. „ნაბიძგ-ი შემკერიგებული, შემხმარი
ზედაპირი (ცომისა...)“. პურს რო აცხობენ და გახმება ხომე ზეიდანა
ცომი, თ ე თ რ ა დ ა ქ ლ ა ქ ე ბ ი ვ ი თ ა (ხაზი ჩვენია, ა. ჳ.), იმაზე
იტყვიან, ნ ა ბ ი ძ გ ი გაიკეთაო“ (საგურ.) ნიავე რო დაჯრამს ცომსა,
ნ ა ბ ი ძ გ მაიკრამს (წილკ.) აგრეთვე ძეგ“. „შ ე ბ ი ძ გ დ ე ბ -ა გა-
მაგრდება, რისამე (ცომის, მიწის...) ზედაპირი. დედაშიწახეც იტყვიან,
შ ე ბ ი ძ გ დ ა ო, როცა რთვილ გააგდეფს და გაყინამს (წილკ.). და-
აცა შ ე ბ ი ძ გ დ ე მ ე რ ძ ე და ისე მოახადე ნალები (წილკ.). შე-
ბიძგება: შ ა ბ ი ძ გ ე ბ ა უფრო პურიცომმა იცის: ნიავე რო დაჯ-
კრამს ცომსა, ზეიდან გახმება, ნ ა ბ ი ძ გ შ ა ი კ რ ა მ ს, იტყვი, ქერქი
რამა აქ გადაკრულიო (წილკ.)“ (ქართლ. ლექსიკ.). რძის შებიძგება
რძისგან ნალების მოღვმეა, ხოლო ნალები იგივე ბიკია, რკივე ბიძგია.

¹³ როგორც ზემოთაღ აღვნიშნეთ, ბრკე-სა და ამ ძირის სხვა ფონეტიკური ვა-
რიანტების ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა — ს ი თ ე თ რ ე — საკმაოდ წინ არის
წამოწეული, რადგან ამ სემანტიკას ენაში გამოყენების ფართო ასპარეზი აქვს. ამ
მხრივ საყურადღებოა ბრკ-ინ-//ბრკ-ი-ალ- ძირები და მათი ფონეტიკური ვარიან-
ტი ბრწუ-ინ-, მაგრამ ამჟამად არც მათზე ვიძსჯელებთ.

¹⁴ ვ. ს ო მ ხ ი შ ვ ი ლ ი, ქსნის ხეობის ქართლური, 1981 (ტექსტში: ვ. ს ო მ ხ.).

იგივე ობია, ბრკეა, ოლონდ ნალები კეთილშობილი პროლოქტია, ბიძგი და ბრკე — უფარგისი...

მნიშვნელობის ცვლა იმავე ხაზით, ოლონდ უფრო შორს მიდის: „შეზიჟება ოდნავ, ზემოდან გამოცხობა, მოკანება“ (ლ. კაიშ.). ამ განმარტებიდან ყურადღებას იპყრობს სიტყვა მოკანება: როგორც სითხე იკეთებს კანს ანუ ბრკეს, ბიკს ისე — ცომი. „შეზიჟება ოდნავ შეხმობა ზედაპირისა“¹⁵. „დაზიჟება სიცივეზე დასკდომა ცომისა“ (ლ. კაიშ.).

II. ბიგ-ი/ა — ბრკე

ეს ძირიც ბიგ-ისნაირი ავებულებისაა. „ბიგ-ი რაიმეს საყრდენო ჯოხი, ბოძი ან მისთანა. „ე, ბიკო, ი ჯოხი გოუყეთე ტოტს ბიგათ“¹⁶. ბიგ-ი/ა ამავე მნიშვნელობით დასტურდება ლეჩხუმურში¹⁷. „ბიგა (თ. რაზიკ.) ხის ნაკერი, რამესთვის გასამაგრებლად შეყენებული (შდრ. ჭან. და მეგრ. ბიგა ПАТКА)“¹⁸. ნ. მარსა (ჭანურში) და ი. უიჯშიძეს (მეგრულში) მართლა აქვს დამოწმებული ბიგა ჯოხის („ПАТКА“) მნიშვნელობით¹⁹. იმერული: „ბიგა ორკაპი ჯოხი (სინონ. ბარჩი, ბოჯინჯგალი, ბოჯიჯგი). ხეხილს რო ბევრი ასხია, ტოტი რომ არ მოტყუტდეს ნაყოფის სიმბიმისაგან, გოუყეთებთ ბიგეფს (ტაბაკინი)“ (ქ. ძოწ.). აქარული: „ბიგალ-ი ორ- ან სამთითა თივის ასალები ჯონა“²⁰. გურული: „ბიგაი ორთითი; ტექსტის (გვ. 426) მიხედვით: სამთითი“²¹.

¹⁵ ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, „ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, III, 1963.

¹⁶ ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, 1974 (ტექსტში: ქ. ძოწ.).

¹⁷ შ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი, „პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები“, I, 1941 (ტექსტში: შ. ჩიქ.).

¹⁸ ი. უიჯონია, სიტყვის-კონა, საბა-სულხან ორბელიანის და დ. ჩუბინაძე-ლის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, სპბ, 1910 (ტექსტში: ი. უი.).

¹⁹ Марр Н. Я. Грамматика чанского (лазского) языка, СПб., 1910 (ლექსიკონი); Кипшадзе И. Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914 (ლექსიკონი).

²⁰ შ. ნიქარაძე, ქართული ენის აქარული დიალექტი, ლექსიკა. 1971 (ტექსტში: შ. ნიქარ.).

²¹ გიგინეიშვილი ი., თოფურიკა ვ., ქავთარაძე ი. ქართული დიალექტოლოგია, I, 1961. ტექსტში ბიგაი-სათვის მოყვანილია ასეთი კონტექსტი: „თავდგირიძის ყმას ბატონის ემართა ღომის ყანაში ფიწალით მუშაობა. უაწალო ვერ უშონეს და მუღტანეს ბიგაი. ყმას არ ეკანნიკა, ეილო დანა და შესამე თითი გამოშკრა.

— რა გიქნია აიო? — გუუყავრდა ბატონმა.

— რაი და იგი, ფიწალი მემართა და შენი ბიგაი ფიწალთ გადავაკეთე: უღოფს ვერ დევილოფ!“ (გვ. 426).

ამათზე დაყრდნობით ქველ-ში მიღებულია ასეთი განმარტება: „ზიგა რისამე გასამაგრებლად შეყენებული კეტი ან ძელი, — ბოძი (შდრ. ბოძიკინტი)“. ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ზიგ-თან და მის ვარიანტებთან (იხ. ქვემოთ) დაკავშირებულია გამაგრების, განმტკიცების სემანტიკა²².

ვერარაულობთ, რომ ზიგ-ს დაერთო ე და მივიღეთ „ზგე (შდრ. ზიგ+ე→ზგე...). ზგ- თანხმოვანთგამყარად მოგვევლინა სონანტი რ და წარმოიქმნა ახალი სიტყვა ბრგე (შდრ. ზგე→ბრგე...). ბრგე-ს ახლა გადახრილი, მაგრამ პირვანდელიდან გამომდინარე სემანტიკა აქვს: „კაცი შევნიერად მალალი“ (საბა), „ტანოვანი და წარმოსადეგი, მოსული, рослый, породный, атлет“ (დ. ჩუბ.). „ტანოვანი და წარმოსადეგა მშვენიერად, рослый, статный, врачный“ (ნ. ჩუბ.). „მალალი და მხარბეჟიანი, ტანადი, წარმოსადეგი“ (ქველ).

ამოსავალი მნიშვნელობა ბრგე-სათვის არის მ ა გ ა რ ი, ძ ე ლ ი ე რ ი, რაც სწორედ წარმოსადეგისა და მხარბეჟიანის თვისებაა. შდრ.: ძალი→მძლე, ჭარი→მჯნე. ზიგ-ს შეუ-დგამ-ენ ხოლმე, ხოლო ქიზი-ყურში მ-დგნ-ე არის: „მტკიცე, მაგარი, გამძლე“. ამ ვარაულს სვანურის ჩვენება და ქართულის ზოგი სხვა მონაცემიც უჭერს მხარს. სვანურში ლი-ზგ-ე არის რისამე შედგმით, შეყენებით გავაგრება, ა-ზგ-ე „ა-ზგერებს“. ნა-მ-ზგგ-ი „სიმაგრე“, ზრიგა — „წარმოსადეგი, ღონიერი, ძლიერი, მხარბეჟიანი, ე. ი. ბრგე“²³.

ჩვენ, როგორც უკვე მიუთითეთ, გეზ-//გზა და გრქელ- ურთიერთდაკავშირებულ ფუძეებად მივიჩნიეთ და გძ-ელ- (←გზ-ელ-, შდრ. დიალ. სა-გძ-ალ-ი) ძირში რ სონანტის ჩართვა ვივარაუდეთ: გრძ-ელ- („გზასავით გაკიმული“, იხ. ზემოთ).

არსებობს სხვაგვარი ვარაუდიც გრქელ- და ბრგე ფუძეთა წარმომავლობის შესახებ, რაც აქვე უნდა იქნეს გათვალისწინებული.

სვანურში სწორედ უ-რავოდ არის წარმოდგენილი გზ- (←გძ-) ძირი. თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი წერენ: „ლი-გძ-გნ-ე/ლი-გზ-გნ-ე „გაჭიმვა, გაწელვა“: ქართ. გრძ-ელ-ი, ჰან. გუნძ-ე//გუნძ-ე, მეგრ. გირძ-ე//გიძ-ე (იხ. ზემოთ).

სვანურში — განაგრძობენ ავტორები — ამ ფორმის სახელური ფუნქციით ხმარებისას მარცვლოვან (რ) ელემენტს C—C პოზიციაში

²² არც ის არის შემთხვევითი, რომ ასეთ გასამაგრებელ საშუალებებს ქართულში ღონიერი ცხოველების სახელები ეწოდება: „ბულაური სვეტის (ბოძის CDE) თავი“ (საბა). „დათვსა უქმობენ მდაბიონი ბულაურსა“ (საბა, სტატრა „დათუ“).

²³ სვანური მასალები მომწოდდა ენათმეცნიერმა ე. გაზდელიანმა, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ.

უნდა მოეცა სრული ეოკალიზაციის შედეგად (ი) ხმოვანი: *გტძ-→გჟ-
აქედან ნაწარმოები ნასახელარი ზმნის ფორმაში მოხდა საკუთრივ
სვანურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური რედუქცია (ი) ხმოვ-
ნისა, რის შედეგადაც მივიღეთ ისტორიულად დადასტურებული ფორ-
მა, რომელშიაც წარხოცილია მარცვლოვანი (რ) ელემენტის კვალი;
ანალოგიური წარმომავლობისაა სვან. ბგვი „მაგარი“ ფორმა, რომელ-
საც ქართ. ბრგე შეესატყვისება. ამ ფორმათა არქეტიპი აღდგება ბტგე
ფორმის სახით. ქართულში უმახვილო პოზიციაში ტ—რ; სვანურში
*ბტგ-ე—ბიგ-ი—ბგგ-ი (შდრ. ლი-ბგ-ი „გამაგრება“, სადაც მარცვლო-
ვანი ტ უკვალოდ არის დაკარგული, ისე როგორც ეს ლი-ვძ-გნ-ე ფორ-
მაში მოხდა)²⁴.

გეზ- (→გზ-ა) ირანული წარმომავლობის ძირია, რომლის არქე-
ტიპი არასოდეს არ ყოფილა გტძ- გრძ- რომ მეორეულია, ეს, ვფიქ-
რობთ, ექვს აღარ უნდა იწვევდეს: არქეტიპია გეზ- და არა *გტძ- .
ასევე სვ. ბ გ გ-ის და ლი-ბ გ-ე-ის არქეტიპი ვერ იქნება *ბ ტ გ-ე,
რადგან სავარაუდო რ-ს ადგილას ამ ძირში ყოველთვის გეაქვს ეოკა-
ლი (ი, ო...). სვანური ბ გ გ-ი ფორმაში გ ი-ს ნაშთია, ლი-ბ გ-ე-ში კი
ხმოვნის კვალიც აღარ ჩანს.

III. ბიგ-ი→ბიჯ-ი→ბრჯ-ენ-ა...

ქართველურ ენებში სიტყვის აუსლაუტში ხდება ხოლმე გ-ს აფ-
რიკატიზაცია და ვიღებთ ჭ-ს: ქართ. თ ა გ ვ ი, ჭან. თ უ გ ი // მ თ უ გ ი //
მ თ უ ი // თ უ ჭ ი (მარი., ჭან.) ქართ. ბ ა რ გ ა ნ ა ო ბ ა („ბარბაცია“), მეგრ.
ბ ა რ ჭ ა ფ ი („ცული სიარული“, ყიფშ., მეგრ.) და მისთ.

ასევე ბიგო-ს -გ- იქცა ჭ-დ და მივიღეთ ბიჯი. ეს ფორმა მნიშვნე-
ლობაცვლილია, მაგრამ მას ამოსავალთან მაკავშირებელი შუალედუ-
რი რგოლები მაინც შემორჩენია. საბა წერს: „ბიჯი ბ ი ჯ ი და ნ ა ბ რ-
ჯ ი განიყოფებიან: ნ ა ბ ი ჯ ი არის ერთის(ა) ფერკის(ა) გარდადგმა,
ხოლო ბ ი ჯ ი მეორის(ა) გარდანაცვლება, რომელი ზოპით იქმნების
ხუთი ტერფი“. ქეგლი: „ფეხის ერთი გადანადგამი, — ნაბიჯი“.

ძველ ქართულში საკმაოდ იშვიათად გვხვდება ეს სიტყვა: „მა-
ვალნი გზისანი ბ ი ჯ თ ა მათ ფერკთაჲსა მიერ ურთიერთას წინა-
მოსწრობით დასდებენ, და რომელი-იგი ფერკი წინა დადვიან, მეო-

²⁴ თ. გამყარელიძე, გ. მაკავარიანი, სონანტა სისტემა და ალა-
უტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 99.

რესა ბ ი ჯ ს ა უკუანით მოაქციიან და კუალად წინაჲ იგი უკუან-
 ყვიან შეცვალეებითა მით მეორისაჲთა, და ესრე მიელნიან დასასრულსა
 გზისა მათისასა“ (H—2254, 314); „ბ ი ჯ ე ბ ი თ გ ა რ დ ა ა ბ ი ჯ ი ა ნ“
 (I, მეფ., 5,5). „უწყის, თუ რაოდენი ნ ა ბ ი ჯ ი წარმოუდგამს“ (მ. ცხ.
 182); „უფალმან მომავლინა აღრაცხვად ნ ა ბ ი ჯ თ ა შენათჲ“ (პატე-
 რიკ., 12,9).

სიტყვის იშვიათობა ალბათ იმით აიხსნება, რომ იგი ვეიან გაჩნდა.
 თავდაპირველად ბ ი ჯ ი ის ჯოხი, ის ბ ი ჯ გ ი იყო, რომელსაც მი-
 მავალი ი ბ ჯ ე ნ და (*ი-ბიჯ-ენ-დ-ა, შდრ. ა რ გ ა ნ ი დ ა ი ა რ-
 გ ნ ე ბ ს), ჯოხის ყოველი გადაადგილება კი ფეხის გადანაცვლებას
 უკავშირდებოდა და ამიტომაც მიიღო ამ საგნის (ბიჯი—ბიჯი) სახელმა
 სიგრძის („ფეხის ერთი გადადგმა ანუ ხუთი ტერფი“) მნიშვნელობა.
 საყურადღებოა მეგრულის ჩვენება „ბიჯი (r) шаг; — отым. глагол бижа-
 ფა, ბიჯუ шагаты, ходить пешком... იბიჯქუანქ MZ ვიბიჯქუანქ я
 шагаю опираясь о что-либо...“ (ყაფშ., მეგრ., დაყოფა ჩვენია,
 ა. კ.).

სიტყვის აუსლაუტში -ჯ-სთან ერთად გვაქვს -ჯ კომპლექსიც. აქაც
 საყურადღებოა მეგრულის ჩვენება: „ბიჯი подставка, столбик; иногда
 ბიჯი, совпадая таким образом со словом ბიჯი шаг; ოსო-ბიჯი M под-
 ставка для арцы, ср. კოკინა;—отым. глагол მე-ბიჯაფა (формы
 совпадают с формами от ბიჯაფა, ср. под ბიჯი)“ (ყაფშ., მეგრ.). აქ
 ფორმათა თანხვედრასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ფორმათა ერთო-
 ბასთან — ბიჯი და ბიჯი ერთი ძირის (ბიჯი) ორი ფონეტიკური ფორმაა
 ხან სემანტიკური გადახრით, ხანაც (მაგ. მეგრულში) — უმსოოდ. შდრ.
 სევან.: ლ -? ჯგ-ზნ-ე „გამაგრებული“, ჩეად-ბეჯგ-ნე ქიშხარ „ფეხები გაამაგრა“,
 „ბიჯს არ იცვლის“.

ვეიან გაჩენილობის გამო ძველ ქართულ ძეგლებსა, სულხან-სა-
 ბასა და ჩუბინაშვილების ლექსიკონებში არც ბიჯი დასტურდება.
 დიალექტებში ასეთი ვითარებაა: იმერული: „ბიჯგ: და-ბ ი ჯ გ ე ზ ა
 დაყრდნობა, დაბჯენა რაზედმე. „და მ ი ბ ი ჯ გ ე და ხეზე ავალ“.
 სა-ბიჯგარა/ე, -ა საბიჯგელი ჯოხი ხელში დასაკავებელი (შდრ. ჩუბ-
 ბიძგი და მეგრ. ბიჯა)²⁵. როგორც ვხედავთ, ვ. ბერიძე უკვე მიგვანიშ-
 ნებს ამ ძირთა (ბ ი გ ა, ბ ი ჯ გ-, ბ ი ძ გ-) სემანტიკურ-მატიერიალურ
 სიახლოვეზე. „ბიჯგ-ი რისამე გასამაგრებლად შესადგმელი ძელი სარ-
 ლი წაქცევას ეპირებოდა და ბ ი ჯ გ ე ბ ი შეუყენეს (ზარანი)“. „დეო-
 ბიჯგეფ-ს (ჯოხს ან სხვა რამეს) დაეყრდნობა, დაებჯინება. ერთ კაცსა

²⁵ ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაქულ თქმათა, სპბ, 1912 (ტექსტ-
 ში: ვ. ბერ.).

დო უ ბ ი ჯ გ ე ბ ი ა ჯოხი და დაჩერებია მიწაზედ (ტაბაკინი)“ (ქ. ძოწ.). „ბიჭგი-ი იგივეა, რაც ბ ი გ ი“²⁶.

გურული: „ბიჭგი საყრდენი, ბრჯენი“²⁷. „ბიჭიგინაი ნ. ბარჯვა, ბიჭვი“ (იქვე): „ბიჭიგინაი კნინობითი ფორმა ბიჭვისა (ნ.), პატარა ბრჯენი, ნ. ბიჭვი“ (იქვე); „ბიჭგი-ი ხე, რომელიც რაიმეს აქვს შეყენებული გასამაგრებლად“²⁸.

გურულში გვაქვს ძირში რ- ჩართული ფორმაც: „ბირჯინა გადასახერხი ხის დასამაგრებელი, გამრავლების ნიშნის მსგავსად შეკრული დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის ხეები (მან.)“ (პ. ჯა.).

ჯავახური: „ბიჭგი-ი ხის ქვეშ მიცემული საყრდენი, პუნა. აუგ ხე როგორც ტოტებდაწეულია, არ დაინტერეს, ბ ი ჯ გ ე ბ ი მ ა ვ ც ე თ, ს ვ ი-ლო“²⁹.

ბიჭ- ძირშიაც აფიქსებმა (უფრო ზუსტად -ენ სუფუქსმა) ვაპო-იწვიეს ი-ს რედუქცია და მივიღეთ ბჯ-ენ- ფუძე (*ა-ბ ი ჯ-ენ-ს-ა-ბ ჯ-ენ-ს, შდრ. ა-ბ ი ჯ-ე ბ-ს). გვიან გაჩენილობის გამო არც ეს ფუძე ჩანს ძველ ქართულში, ხოლო საბასთან და ჩუბინაწვილებთან ბჯენა-ც დასტურდება და ბრჯენა-ც, კერძოდ, საბა წერს: „ბჯენა ბრჯენა, არ-განზე დაყუდება, გინა აღდგომაში კელის დადგმით და მისთანანი“. „ბრჯენა სლვაში არგნის კმარება“. „მიბრჯენა (მიბჯენა CD) ჯოხით მიჭირება და მისთანა“; „მიბრჯენა (მიბჯენა CadE) პირის და სიტყვის და-ყინება“. ქეგლის მიხედვით მიბრჯნით ნიშნავს: „დაყინებით, თვალ-მოუშორებლად“. შდრ. სვან.: ლ გ-ბ რ გ ჯ გ ნ-ე „გამაგრება, გაქვავება (ყინვისაგან და მისთ.)“.

„ვეფხისტყაოსანში“ ეს ზმნა მხოლოდ ერთხელ იხმარება: (ავთან-დილი) აღგა, თმათა წამოზინდა (ასმათს), ყელსა დანა და ა ბ რ ჯ ი ნ ა (239, 4/238,4). GHILRUVHR' ლიტერებით აღნიშნულ ხელნაწერებში იკითხება — „და ა ბ ჯ ი ნ ა“.

უდავოდ ბიჭგი-ს ფონეტიკური ვარიანტია ბიძგი, რომლის სემან-ტიკური გადახრა სრულიად ლოგიკური და კანონზომიერია. ძველ ძეგ-ლებში, გასაგები მიზეზის გამო, არც ეს სიტყვა ჩანს. საბასთან C) ხელნაწერებში დასტურდება: „მიბიძგავ მკრავ“. დ. ჩუბინაწვილი აზუსტებს განმარტებას და ილუსტრაციაც სრულად მოჰყავს: „ბიძგი

26 პ. ჯ ა ჩ ე ზ ი ლ ა ძ ე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, 1975 (ტექსტში: პ. გაჩეჩი).

27 გ. შ ა რ ა შ ი ძ ე, გურული ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, 1938 (ტექსტში: გ. შარაშ).

28 პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, გურული დიალექტი, I, ტექსტები, ლექსიკონის მასალები, 1977 (ტექსტში: პ. ჯაჯა).

29 გ. რ. ბ ე რ ი ძ ე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, 1991 (ტექსტ-ში: გრ. ბერ.).

წაკერა толчѣк, ბიძგა (ვს)... წაკერავ, дать толчѣк, прогнать в толчки, ქილ. 292, გასაძებელსა ხელსა, მიბიძგავ მკერდსა, толчком в грудь прогонишь меня“.

ეს სიტყვა მეგრულში ქართულიდან ჩანს ნასესხები. ი. ყიფშიძე წერს: „ვ. ბიძგ: ბიძგაფი толкать... ვუბიძგუანქ, გიბიძგუანქ... აორ. ვუბიძგე“ (ყიფშ., მეგრ.). ი. ყიფშიძის მიერ იმავე ლექსაკონში მეორე სტატიად შეტანილი ბიძგ- აშკარად მიუთითებს, რომ იგი მოდის ბიძგ-იდან: „2. ბიძგ- ბიძგუა. მაბიძგუუ ძვალი у меня кости застряла в горле, აორ. ქვ-მაბიძგუ ძვალქვ...“ „ქვ-მაბიძგუ ძვალქ“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „გამებიძგა ძვალი“, „გამეხირა ძვალი“. შდრ. სვან.: ლა-ხობაჯგუ „უბიძგა, ხელი შეუწყო, დაეხმარა“, ე. ი. შეებიძგა, შეე-ბიძგა.

ქეცლის მიხედვით ბ ი ძ გ ი არის: „1. ხელის წაკერა // ერთბაში შექერა, შერყევა რისამე. მიწისძვრის ბიძგები. 2. გადატ. იმპულსი. ძ ბიძგს აძლევს (ბიძგი მისცა) იმპულსს აძლევს, ხელს უწყობს“.

რაც ახლა გადატანით მნიშვნელობად მიიჩნევა, ის არას აშოსავალი მნიშვნელობა: ბიძგს მისცემს ნიშნავს: ბიძგს შეუყენებს, ბიძგს შეუღვამს, გაამაგრებს, დაეხმარება. ამასვე ნიშნავს ბიძგს მისცემს — შეეხი-დება, დაეხმარება. აქედან — იმპულსს მისცემს. შეადარეთ ხელს წაუ-კრავს და ბიძგს აძლევს, რომელნიც სინონიმებია ასეთი გავებით: „იმ-პულსს მისცემს“, „ხელს შეუწყობს“. აქედან გაჩნდა მეორე მნიშვნე-ლობა: „ბიძგება... ხელის წაკერა, ჯიკაფი“ (ქეგლ), „უბიძგება-ს 1. ხელს, მხარს წაპკრავს“, თუმცა პირვანდელი მნიშვნელობაც შემორჩა ზმნას: იქვე. მეორე მნიშვნელობად მოყვანილია: „ბიძგს აძლევს, აქეზებს, ხელს უწყობს“.

საკვლევი ძირი ა-განხმოვანებითაც ვებულება ქართულურ ენებას და მათს დიალექტებში, მაგრამ მათზე აქ ველარ შეეჩერდებით³⁰.

ამ ძირის ო-ხმოვნიან ვარიანტებიც დასტურდება ქართველურ ენებში. ი. ყიფშიძე წერს: „ბოგა ბოგირი, ბოგირი пол в хлсвах: мостик из брусев через реки и канавы (у Цагарелии МЭ, II, с. 41 ბოგა „ясли“, вследствие неправильного, по крайней мере семасноло-гической, отежествления его с г. ბაგა)“ (ყიფშ., მეგრ.). შეიძლება ცა-გარლისეული ასნა ექვექვე დასაყენებელი არც იყოს. ქართულს მონა-ცემები ამას უკერნ მხარს (იხ. ქვემოთ).

ი. ყიფშიძეს იქვე უწერია: „ბოგ: ბოგევა. ბოგუа проложитъ, пролежать мость...“ (იქვე). სვანურშიაც ბოგ არის ხიღი. ბოგირი. ქართულში ასეთი ვითარებაა: საბასთვის ბოგა არის „მცირე კილი“.

³⁰ მხედველობაში გვაქვს ბაგა, ბაჯი, ბარჯი, ბარჯი... ფუძეები.

ნ. და დ. ჩუბინაშვილთათვის — „მცირე ხიდი მიწადაყრილი“. აქა-
რულში ბოგა ბოგებისაგან, ბიგებისაგან ანუ ბაგებისაგან გაკეთ-
ბული თაროა, ბოგა-ზვინი — ბოგებზე დადგმული ზვინი, ბოგა-სკა —
ბოგებზე დადგმული სკა (შ. ნიჟარ.). გურულში ბოგა ხიდსაც ეწო-
დება³¹ (პ. ჯაფ.). საჭონლის ბაგასაც (ს. ჟღ.) და ხისიატაკიან, ე. ი.
ბოგებისიატაკიან, ბოსელსაც³². მეგრულში დადასტურებული ბოგირა
ქართულში დასტურდება იმავე მნიშვნელობით (საბა, ჩუბინაშვილები,
ს. ჟღ.), ხოლო იმავე მეგრულში დადასტურებული ბოგილ-ი გვხვდება
აქარულში (შ. ნიჟარ.), ხოლო იმერულში „ბოგა, ბოგირი საცალფეხო
ხიდი, პატარა ხიდი“-ა (დიალექტ. I)³³.

ბოგ-ილ- და ბოგ-ირ- ფუძეთა გარდა ქართულში გვაქვს ფუძე
ბოგ-ინ-ი. საბა წერს: „გაბოგინება დამკვიდრებასავით“-ო. ი. ჯყო-
ნია წერს: „ბოგინება ყოფნა, ჭაჭანი, ჭაჭანება“ და მოჰყავს ერთ-ერთი
ასეთი გამონათქვამი: „სული კიდევ მიდგია, ვ ბო გ ი ნ ო ბ ლეთის
მადლით“ (ი. ჯყ.). ქველის მიხედვით ბოგინობს ნიშნავს: „ძლივ-ძლიო-
ბით, გაქირვებით ძლებს, არსებობს, სული უდგას, ჭაჭანება“. ამ ძირთა
იგივეობაზე მიუთითებს ბოგინ-ის იმერული ვარიანტი ბოუინ-ი (იმა-
ვე მნიშვნელობით), რაც აშკარად ბოჯინ-იდან მოდის, იმერულივე
„ბოჯგინება ორკაპა ჯონზე — ბარჯზე (ბოჯგზე) დაყრენობა...“ (ჭ.
ძოწ.), სვანური იბოჯგავწლ — ძლივსძლიობით არის, ძლივს დაღის;
ფეხზე მდგომი ავადმყოფია.

IV. ბოძი—ბოძალი; მებოძირი

ჩვენ აქ აღარ განვიხილავთ ო-განზოვანების მთელ რიგ ფონეტი-
კურ ვარიანტებს ბიგა-ს, ბაგა-ს, ბოგა-ს სემანტიკით³⁴, მაგრამ ერთ
მათგანზე მაინც უნდა შეეჩერდეთ. ეს გახლავთ სიტყვა ბოძ-ი. ეს
სიტყვა უძველეს ქართულ ძეგლებში არ დასტურდება, როგორც ჩანს,
იმიტომ, რომ ამ ძეგლთა აბსოლუტური უმრავლესობა ნათარგნნი სა-
ღეთისმსახურო ძეგლებია, რომლებშიაც დღევანდელი ბოძ-ს ადგი-
ლას იზმარებოდა უცხოენოვანი სუფიტი, რომელსაც თან ერთგვარი
მითიური ელფერიც ახლდა (მღრ. ს უ ე ტ ი ნ ა თ ლ ი ს ა მ, ს უ ე ტ ი

³¹ ს. ჟღენტი, გურული კილო, 1936 (ტექსტში: ს. ჟღ.).

³² ალ. ლლონტი, გურული ფოლკლორი, I, 1937 (ტექსტში: ალ. ლღ.).

³³ ქართლურში ბოგირა-ს ეძახიან თავნება, თავწვერა, ხეპრე, გაუთლელ აღ-
მიანს (თ. რაზიკ, „ივერია“, № 128, 1900, ქართლ. ლექსიკ.). შთაში ასეთ კაცს
გაქილულ-ს ეძახიან.

³⁴ მკვლევრობაში გვაქვს იმავე სემანტიკის მქონე ფორმები: ბოჯგოია, ბოჯიჯ-
გ, ბოჯინჯგალი, ბორჯი, ბორჯა, ბორჯგოია, ბორჯღი/ბორჯღალი/
ბორჯღლღლი, ბოჯღალი, ბურჯღლი, ბოჯოჯღი, ბოჯგიტა/ე, ბოჯ-
ღატა/ე-ა, ბოქკიტა/ე, -ა და მისთანანი.

ცხოველი), რაც შემდგომ სავრო ლიტერატურაშიაც კი გადავიდა: სუეტი თაღრუბლისა და ეტყოდა მათ (ფს. 98.7). მათ სამთა შეიღნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა (ვეფხ. 1408,2/1409,2), შღრ. იქვე: „ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შეეუტაკე“ (561,2/558,2). ამიტომ სიტყვა ბოძმა მისი ზღაპანდელი მნიშვნელობით („ერთი ბოლოთი მიწაში ჩათხრილი სწორი ძელი, შენობის საყრდენი“, ქეგლ) ძალიან გვიან დაიმკვიდრა ადგილი. საბაასთვისაც კი ბოძი არის „მცირე სვეტი“, „მცირე სვეტი, ეითარ მისაცემელი“, „მომცრო სვეტი“. როგორც ვხედავთ, ეს ბიგასეული და ბიჯგისეული მნიშვნელობაა.

ბოძი რომ ძალიან ადრე წარმოქმნილი სიტყვაა, ეს დასტურდება მისი მეორე, გადატანითი მნიშვნელობით შემონახულ ბოძ-ბოძება, საბოძვარ... სიტყვებით. საბას განმარტებით ბოძი არის „საბოძ(ვ)არი“, „მინაცემი“. ჩუქება-სთან საბა წერს: „... ბოძი არს პატრონმა რა თვის(ს)ა ყმასა თვისითა კელითა მისცეს რამე“. ნ. ჩუბინაშვილი: „ბოძება უფროსისაგან უმცროსისადმი მიცემა, ხოლო უმცროსისაგან უაღრესთადმი ითქმის მირთმევა და ამად ვუბოძებ ი პირსა შინა ძვირად იხმარების, თუ არა ფრიად უაღრესთაგან, жаловатъ, пожаловатъ“. ამასვე წერს დ. ჩუბინაშვილი. „საბოძვარი უაღრესთაგან მისაცემ(ელი)“ (საბა), „უაღრესთაგან საჩუქარი... подарок, вещь жалованная“ (ნ. ჩუბ.).

ძლიერს, უაღრესს შეუძლია უძლურს, უდარესს დაეხმაროს. შეეხიდოს, ბიგასა, ბოგასა და ბოძსავით შეუდგეს, გაამაგროს. ამიტომ არის ბოძის შემომოყვანილი გადატანითი ახსნაც სწორი უამ სიტყვათა (ბიგა, ბოგა, ბოძ-...) ერთობაც სარწმუნო. „უმცროსისაგან უაღრესთადმი ითქმის მირთმევა“ და ამიტომაც სტუმარს თუ უფროსს ვეუბნებით „მიირთვი“-ო; მიიბოძე ან იბოძე რომ გვეთქვა, შეუტრაცხოფას მივაყენებდით: ამიტომევა მოკლავლუბული ფორმა „მიბოძე“ (და არა: „მომართვი“).

ძველ ქართულსა და „ვეფხისტყაოსანში“ განსახილველი სიტყვა ნაირ-ნაირი ფორმებით გვხვდება: „ნიჟითა და ბოძითა განგამდიდრანე“ (II—341, 694): „მისცეს ოქრობეჰედი განძისა ორმოცდა ოთხოსა დრაჰენისაჲ ჩიმიშკის ბოძებული იოვანესდა“ (ი.—ე. 22.19). „მას საბოძვარი უბოძა. მისი ყველაი დავოსა“ (584.4/682.4). „დედის მუცლით რა გამომყვა? მბოძებია თქვენგან მეო“ (1168,4).

სოლომონის იგავებში არის ერთი ადგილი, რომელშიაც განბოძება გამოყოფის, გადახრის, განზე გასვლის მნიშვნელობით ჩანს ნახმარი: „და განგაბოძონ შენ გზისაგან წრფელისა და უცხო ყონ სიმართლისაგან გონებისა“ (2,16). რუსულში: которых дорог

კრივის. ქვემოთ უფრო ნათელი გახდება განზომება სიტყვის მნიშვნელობა.

ბოძად, როგორც წესი, ისეთ ხეს ირჩევენ, რომლის ერთობლივი სწორი ტანი ზემოთ ორ (ან სამ) ტოტად იყოფა. ტოტებს ისე გადააკრიან, რომ ამ განშტოებაში ჩაჯდეს სახურავის თავზე ან სხვა ძელო, რომლის საყრდენიც ეს ბოძია. ამდენად, ბოძი, როგორც წესი, ორწვერია, წვერგაორმაგებულია. ამიტომაც ისარს, რომელსაც წვერზე წამოცნული მახვილი გახსნილი მკერატელივით ორპირი აქვს. ბოძალი ეწოდება. რომლის ხეცურული სინონიმიც ფოცხ-მაკრატელა გახლავთ: „თუშებმ მესროლეს ისარი, ფოცხ-მაკრატელა ფრთიანი“ (ხევს. პოეზ. 543,17)³⁵.

ბოძალი დასტურდება „ვისრამიანსა“ და „ამირან-დარეჯანიანში“: „სიხარულისა განძი ვართ, მაგრა მტერისა თუალთა — ბოძალი ისარი“ (ვისრ. 123,13); „ამირან დარეჯანისძემან ამოილო მშუილდი, გარდაუცუა და შესტყორცა ისარი ბოძალი და წარკუეოა თავი მან გუელსა“ (ამირან. 97,4).

საბა განმარტავს: „ბოძალი ისარი ორპირი“, „ისარ“-თან კი მას უწერია: „ისარი ქეიბურის მსგავსი პირ-დიდი და განპებული არს ბოძალი“. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით დასტურდება დიალექტებში და გურულში იგი ბორძალი-ს სახითაც გვხვდება (ს. ელ.).

ფშაურში გვაქვს დ- ჩართული ფორმა ბოძალი (შდრ. ცული და ცულდი³⁶) და მისი მნიშვნელობაც გადახრილია. „ბოძალი თოფის მსგავსად სასხლეტი მშვილდ-ისარი“ (თ. რაზიკ.). „კონდახიანი მშვილდი. ჩვენს მამა-პაპას მშვილდ-ისარი, ბოძალი ჰქონია თოფაუ“ (ვაჟა). მხედარმა გამოუზუნუნა ისარი ბოძალით (ვაჟა)³⁷. „მშვილდ-ისრის კონდახი, რომელზედაც ისარი ძევს და რომელნიაც სასხლეტ-ბორბალია გაკეთებული“ (ა. შან. თხზ. 1).

ქეგლის მიხედვით ბოძალი არის: „ძვ. ორწვერა ისარი. ამირანმა ბოძალი ჰკრა, ძვალში გაჰვრა, ვითა რბილნი (ხალხ.)... 2. (ლეჩხ. იმერ. გურ.) ორკაბი ხე. ჰკვას ახარხინებდნენ; კვირისტავი ძლიერ ას-

35 ამ კომპოზიციის პირველი კომპონენტიც ზემოხსენებულ ბოჭლ-, ბოჩხა- (ბოჩხალა აჭარულსა და სვანურში) ფუძეთა ფონეტიკური კვანთა: ფოცხი კბილებიანი, ტოტებიანი სამეურნეო იარაღია, ხოლო ფოცხკი ეწეურში არის „კაეზიანი სარევი ფაფულის გასაქნელად“ (ქეგლ.). შდრ. „გუფხიტყაოსნის“ ჩანართი სტროფიდან: „გიმრისა ტევრსა მოქფოცხელა ბროლია საფოცხელია“ (1623,4). შდრ.: „ფუცხი რკინის ფოცხი, вилы, рпани“ (დ. ჩუბინ.). -ქელთა აწუნდა ფოცხ სამპირი და ჩაყვის იგი სიავსა“ (0,1, მეფე, 2,14).

36 თუმცა ნესპოლა აქ მშვილდ-თან ანალოგიაც გვქვოდეს.

37 ვაჟა-ფშაველას მკერატელის ლექსიკონი, შეადგინა ალექსი კინკარაძემ 1969 (ტექსტები: ვაჟას შტ. ლექსიკ.).

წიეს, მუშტი დასრიალდა ბოძალიდან (ნ. ლორთქ.). ფრიალ საყურადღებოა ეს მეორე მნიშვნელობა. რაჭულსა და ლეჩხუმურში ბოძალი არის: „საბოძე ხე, ხის თავზე ორი ტოტია, ორაქეს თანაბარი სიმსხო აქვს“³⁸. იმერული: „ბოძალ-ი 1. ისარი... 2. ხის ტოტთა გასაყარი“ (პ. გაჩეჩ.). რაჭულ-ლეჩხუმურ-იმერული მნიშვნელობა ბოძალი-სა („ხის ტოტთა გასაყარი“) სრულიად აშკარას ხელის ბოძისა და ბოძალის ურთიერთმიმართებას. ამას გარდა, გურულში დასტურდება სიტყვა ორბოძალი, რაც გ. შარაშიძის განმარტებით „მწერია ორტოტყუდიანი, კუდუბზალაი“ (გ. შარაშ.). ისიც ცხადია, რომ განმარტების ტექსტში ნახმარი სიტყვა კუდუბზალაი ფონეტიკური ვარიანტია კუდ ბოძალი-სა³⁹.

უთუოდ ბოძ-ძირს (განშტოებულის, გაყოფილის, ბოძალის სემანტიკის წინ წამოწევით) ემყარება ძველი ქართული ძეგლებიდან ცნობილი სიტყვა მებოძირი (დიალ. ნებოძირი): მე-ბოძ-ირ-ი „წარედით მე ბოძირებსა გზათასა“ (C მთ. 29,9): пойдёте на распутиях... „ეძინა მე ბოძირთა ზედა ყოელისა გზისათა“ (J ეს. 51,20). საბა წერს: „მებოძირი სადა გზანი შეიყრებიან მრავლად“, „ჯვარედინი გზა“. ნ. ჩუბინაშვილი: „მებოძირი, ნებოძირი ჯვარედინი გზა, სადაც მრავალნი გზანი ერთად შეჰყრებიან... исходише путей. перекресток, распутие“. ქეგლი: „მებოძირ-ი ძვ. იგივეა, რაც გზაჯვარედინი...“

გზაჯვარედინი-ს ხევსურული სინონიმია გზასაყარი, ხოლო გურულ-იმერული — გზაბოძალი, რაც ქეგლში ასეა ახსნილი: „იგივეა, რაც გზაჯვარედინი. ჩვენ გზაბოძალში დაგიცლით (ნ. ლორთქ.)“. ამათი სვანური სინონიმია ხემბოძალ („სამბოძალი“): „სემბოძალ შუკვეი — გზაჯვარედინზე“.

ა- და ამ რიგის სხვა წერილებს ორი ძირითადი მიზანი აქვს: 1. CრC ძირთა დიდს უმრავლესობაში რ მეორეულია, იგი სინკოპირებული ხმოვნის ადგილას ჩნდება. სხვაგვარი წარმომავლობის CრC ძირები ცალკე იქნება განხილული. 2. ქართულში სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების შედეგად (ხმოვანთა მონაცვლეობა, მატათეზისი, უკანაენისმიერთა აფრიკატიზაცია, კომპლექსთა წარმოქმნა...) ერთი ძირისგან ათეულობით ფუძე წარმოიქმნება. ეს ფუძეები ფორმალე-

38 მ. ალავეიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, 1951 (ტექსტში: მ. ალავეპირსიტყვა): შ. ძიძიგური. მთარაქული. „ძიძიანი ქართული ზოგადპოლოგიიდან“ 1954 (ტექსტში: შ. ძიძ., რაჭ.).

39 აქ აღარ განვიხილავთ სიტყვებს: ბოძდღალი, ბოძწყალი, ბოძწყნელი (ბოძდწყნელი), ბოძდძარი (ბოძდძა), ბოძიკო (ბოძდქიკო), ბოძკინტი//ბოწყინტი (ბოძგტიტ), ბოწიწკობა (—ბოწყინტობა), ფიწალი და სხვ.

რადაც და სემანტიკურადაც ზოგჯერ ძალიან არიან დაშორებულნი ამოსავალ ფორმა-შინაარსს, მაგრამ ჩაღრმავებული კვლევით ძალიან ბუნებრივად დაიყვანება ხოლმე ახალი ფუძე ძველზე. აქ საქმეს აიოლებს სხვა ქართველური ენების მონაცემთა მოშეკლება.

გ. კლიმოვს ცალკე აქვს განხილული ჩვენ მიერ ბიჯ- ძირიდან წარმოქმნილად ნავარაუდევი ბიჯ-ი და მეგრული ბიჯგ-ი და მათ ქართულ-ზანური ეპოქისდროინდელად ვარაუდობს⁴⁰. გ. კლამოვმა ცალკე სტატიად განიხილა სრულიად აშკარად ბიჯ-იდან მომდინარე კაუზნატიური ფორმა ბჟენ-//ბჟინ-, მეგრ. ბიჯგ- და სვან. ბჟგენ-, რომელთაც ასეთი კვალიფიკაცია მისცა: „ფუძე შეიძლება რეკონსტრუირებულ იქნას საერთო-ქართველური ეპოქისათვის“⁴¹. ბჟენ-ვერანაირად ვერ იქნება ბიჯ-ზე უადრესი და არც მათს ცალ-ცალკე განზილვას აქვს რაიმე გამართლება. ის კი ფაქტია, რომ მეგრულსა და სვანურში ერთი სემანტიკა ორგვარი ფორმით არის გადმოცემული: მეგრ. ბიჯ-ი//ბიჯგ-ი (იხ. ზემოთ), სვან. ლჷ-ბჟგენ-ე „გამაგრებული, გაბიჯგული“: კჷშხარ აბჟენ — „ფეხებს ბიჯგავს, ფეხებს ამაგრებს“. „იბაჯგე — „იყრდნობს, იმაგრებს“. ხებაჯგი — „ეყრდნობა“, ლამბაჯგ — „შემეყრდენი, დაამაგრე“. ბაჯგ-ფორმა ქართულშიაც დასტურდება.

გ. აზვლელიანმა ქართული ბოძი („საყრდენი“) ისურვიდან ნასესხებად მიიჩნია (ოსურში ბოძ = „თხა“), შეადარა რა ის რუსულ. КОЗЫБ-ს („მეეტლის სკამი“) და ნხКИИ-ს („ხიდის ბიჯგები“)⁴². ეს თვალსაზრისი გაიზიარა მ. ანდრონიკაშვილმა და საანალოგიო მასალად დაუმატა „ქართ. ჯ ო რ ა, ო ს. ხ ა რ ა გ მუსიკალურ ინსტრუმენტებში სიმთა დასაყრდენი პატარა ხის ნაკერი“⁴³.

ხევსურულში სიმთა ამ დასაყრდენს ვაცი ეწოდება და, თუ სესხებაზე მიდგებოდა საქმე, უფრო ის შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ნასესხებად. მაგრამ ვაცა/ე. -ა ვ. ბერიძის განმარტებით არის „მთავარი ბოძი, რომელზედაც დადგმულია სახლის თავი“, ხოლო გურულში ეგვე სიტყვა არის „სახლის სახურავის მწვერვალი და მთავარი ბოძი. რომელზედაც კავები იყრიან თავს“ (ს. ელ.). გერმანულში Bock არა „ვაცი“ და „ბიჯგი“. როგორც ჩანს, აქ შედარება შეიძლება მხოლოდ ტიპოლოგიურ დონეზე.

⁴⁰ Климов Г., Этимологический словарь картвельских языков, 1964, с. 57.

⁴¹ იქვე, გვ. 57.

⁴² Ахведиаши Г., Сборник избранных работ по осетинскому языку, кн. I, 1960, с. 205.

⁴³ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966, გვ. 80-81.

ვაცმა, ბოტმა იცის ფეხების გაბიჯვით, გა-ბოტ-ებით დადგმა, ისე დადგმა, როგორც კოფოს, ხარაჩოსა და ჯოჯინას დგამენ. შეადარეთ ქართული დიალექტების მონაცემები: „გაბოტება ფეხების შორს გაბრჯენა. წარმოქმნილია ბოტი-საგან, რაც მამალ თხას ნიშნავს“⁴⁴. ქიზიურის: „გაბოტვა (ნაწარმოებია ბოტი სიტყვისაგან) გადატ. გაკერება, გაჯიუტება, თავის ნათქვამის შესრულება. გაიბოტა და აღარ გადათქვა, თავი სიტყვა ასარულა“⁴⁵. ფშაურის: „გაიბოტიტნებ-ს გაბოტებით, ფეხების განზე გაწევით დადგება. „გამოვარდა ტყიდან ხარი-ირემი ოფლში გაწურული და გაიბოტიტნა შუა შარახე“ (ვაჟა-ფშაველას მც. ლექსიკ.). შდრ. ქართლური ბოგირა ლა გურული გაბოგირებული („უადგილო ადგილას გაშველი, გახირული“, გ. შარაშ.); ქართლური „გაბოჯიჯღებული“ ფეხებ-გამაგრებული, გაბოტილი. ზოგი მოჰქიდავე რო გაჩერდება, მაგრამ დადგება და ძვრას ვერ უზამენ, გაბოჯიჯღებულიაო“ (ქართლ. ლექსიკ.).

როგორც ჩანს, ვიზუალური აღქმის შედეგია გერმანული Boek: რუს. КОЗЫ, ქართული ვაცი, ბოძი და მისი ფონეტიკური კარიანტი-ბიც. სხვაობა ერთია: ვაცის ფეხები ერთი სხეულიდან გამოდის, ქვევით და განზე მიემართება, ბოძის ერთი სხეულიდან გამოსული ორი ტოტი კი ზევით არის ამართული. ორივე სამაგრის, საყრდენის როლს ასრულებს. მ. ფასმერი თვლის, რომ ჩეხური kozel პოლონური kiozior და რუსული КОЗЫ (ბიჯვის მნიშვნელობით) გერმანული Boek-ის კალკებია. არა გვეგონია, რომ ქართული ვაცი, დათვი ან პულაური რისაჟე კალკი იყოს. ასევე მიუღებელია ქართული ბოძი-ს ოსურიდან ნასესობა.

გ. ახვლედიანის ზემოაღნიშნულმა ეტიმოლოგიამ ანდრონიკაშვილს მეორე ქართული ბოძი („საბოძვარი, საჩუქარი“) გააბსენა და იგი დაუკავშირა ოსურ სიტყვას buz/boz „მადლიერი, მადლი“ და სხვ.⁴⁶ თუ ჩვენი ზემომოყვანილი მსჯელობა გასაზიარებელია, ვერც ამ სიტყვის მ. ანდრონიკაშვილისეულ ახსნას ვირწმუნებთ.

ბოძალი-ს ნ. მარისეული ეტიმოლოგია ასეთია: იგი რუსული стрела-ს სამ ქართულ შესატყვისს — ისარი, კოდალი, ბოძალი — ასე შლის: ი-სარ-, კო-დალ-, ბო-ძალ-. ი-, კო- და ბო- დიფერენციალურად ითვლებიან, ხოლო -სარ-, -დალ- და -ძალ- ოთხ ელე-

44 შ. ძიძიგური, ნ. კეცხოველი, პ. ხუბუტია, ქართლურ-სლ. ლექსიკონი მასალა (დაბეჭდილია რამდენიმე თაბახი).

45 სტ. მენთეშაშვილი, ქიზიური ლექსიკონი, 1942 (ტექსტში: სტ. მენ-თეშ.).

46 მ. ანდრონიკაშვილი, იქვე, გვ. 81.

მენტოვან ერთ-ერთიდან (A) მომდინარედ მიიჩნევიან: „სარ (resp. სალ)—ზალ—ჯალ—დალ“⁴⁷. აქ კომენტარი ნამდვილად ზედმეტია.

А. Л. ЧИНЧАРАУЛИ

К ГЕНЕЗИСУ КОМПЛЕКСА SRC В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. В грузинском ბიკ-ი ბიკ-ი || ბიგ-ი ბიგ-ი („плесень“) + -ე → ბე ბე || (ბე რე). Для разделения комплекса ბე ბე//ბე რე между согласных вставляется сонант რ: ბრე ბრე || პრე პრე („плесень вина“).

2. ბიგ-ი/ა ბიგ-ი/ა („палка, подпорка“) + -ე → ბე ბე (сван. ლი-ბე-ე li-bg-e „подкрепить“, ა-ბე-ე a-bg-e „крепит он его“). И тут между ბ б и გ g вставляется сонант რ: ბრე ბრე („рослый, статный, крепыш“).

3. Вследствие аффрикатизации, в корне ბიგ- ბიგ- ауслатный გ g → ჯ ჯ: ბიჯ- ბიჯ („подпорка“, „шаг“). В отыменном глаголе ა-ბიჯ-ენ-ს a-biǰ-en-s („опирает на что-либо“, „наступает ногой“) редуплируется гласный основы ი i: ა-ბიჯ-ენ-ს a-biǰ-en-s. Между согласных и тут вставляется сонант რ: ა-ბრჯ-ენ-ს a-brǰ-en-s („упирает/палку, нож.../“).

4. В рассмотренных основах происходят и другого рода фонетико-семантические изменения:

ა) ბიკ- ბიკ-//ბიგ- ბიგ („плесень“) → ბიბიკ-ი ბიბიკ-ი („плесень“, „корка“),

ბ) ბიგ-ი ბიგ-ი („палка, подпорка“) → ბიბიგ-ი ბიბიგ-ი („толчѣк“, „стимул“).

გ) фонетический вариант корня ბიგ- с огласовкой ო o — ბიგ- ბიგ („палка“, „мостик из палок“) → ბიბიგ-ი ბიბიგ-ი („подпорка, столб“),

დ) столб, как правило, в одном направлении (кверху) раздваивается; поэтому стрела, с раздвоенным наконечником называется ბიბიგ-ი ბიბიგ-ი bi-bi-g-i, а распутье, перекрѣсток — ბიბიგ-ი ბიბიგ-ი bi-bi-g-i.

⁴⁷ Марр Н. Я. В тупике ли история материальной культуры, — Известия ГАИМК, вып. 67, 1933, с. 128—129.

3. შენგელია

ქართვალური ეტიმოლოგიები

III. წყარო

„წყარო“ ძირძველი ქართული სიტყვაა, ძველ ქართულშივე გაერცელებული:

„განქმა წყარო ღი“.

„ეძიებნ წყაროსა წყალთასა“.

„რომლისა საუნჯენი, ვითარცა წყარონი, უხვად აღმოცენდნენ“¹.

საბა სიტყვა წყალ-ს რომ განმარტავს, აღნიშნავს: „წყალი ეწოდების ზღვათა, ტბათა, წყაროთა, ჭურღმულთა, წვიმათა და თოვლთა ნაღობთა“².

წყარო კი საბას მიერ ასეა განმარტებული: „ზღვათა და მდინარეთაგან განვლიან სოროთა ქვეყანისათა და ზღვისა სიმწარესა ქვეყანა დასწურავს და ვითართა ადგილთა განვლიან წყარონა, კეთილთა ანუ ცუდთა, ეგევითარნი იდინებიან გემოთა...“ შემდეგ ჩამოთვლილია წყაროს სახეები: ფშა, ჭურღმული, ქვევი, მდინარე, დანჩქერო, ჩანჩქერი, გოჩგოჩანა, ლუბრმა, მონიო, მორევი, ზვირთი, ქველი, ფონი, ზღვა, სრუტე, ტბა, ტბორე...³ აქ წყაროც ზოგადი მნიშვნელობის მქონედ წარმოგვიდგება და წყლის სემანტიკას უახლოვდება.

ილია აბულაძის ლექსიკონში ასეთი განმარტება ვეაქვს: „წყარო აღმომადინებელი თვალი/ადგილი წყლისა“⁴.

ნიკო ჩუბინაშვილი აღნიშნავს: „წყარო მიწით ანუ კლდით გამომდინარე წყალი“⁵.

¹ მაგალითები მოგვყავს ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი-დან“ (თბ., 1973).

² ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. — თხზულებანი, ტ. IV: (გა. მონაცემად მრამზადა ი. აბულაძემ), თბ., 1966, გვ. 390.

³ იქვე, გვ. 391-392.

⁴ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 553.

⁵ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 456.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ნათქვამია: „წყარო... 1. მიწისქვეშა წყლის ნაკადი, ამოხეთქილი ზედაპირზე; მიწიდან ან კლდიდან გამომდინარე წყალი...“⁶

ამგვარად, ზემოთქმულის მიხედვით ირკვევა რომ წყარო-ს არსებითი ხასიათის სემანტიკური ცვლილება ახალ ქართულში ძველ ქართულთან შედარებით არ მოსვლია.

წყარო სიტყვის არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ მატერიალური კავშირი წყალ სიტყვასთან იმდენად აშკარაა, რომ, ბუნებრივია, ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობა არა გვაქვს.

ინტერესს აღძრავს წყარო სიტყვის აგებულება, მისი ფუძისეული რ-ს მიმართება წყალ სიტყვის ლ ელემენტთან, ამ სიტყვათა ქართველური ენების სათანადო მასალასთან მიმართების საკითხი.

ნ. მარის აზრით, ქართული წყალ- ფუძე ნასესხებია მეგრულ-ქანურში წყარ-ის სახით (ლ-ს რ-ში გადასვლით)⁷.

არნ. ჩიქობავაც ზანურ წყარ-ს ქართულიდან შეთვისებულად მიიჩნევს და ქართული წყალ- ფუძის შესატყვისად ზანურ ჭორ-ს (მეგრ. ჭოროფა „წვიმიანი ამინდი, ავდარი“) განიხილავს⁸.

გ. როგავას აზრით, შესატყვისობა ქართ. ლ: ზან. ლ გვაქვს ხმოვნების შემდეგ, ქართ. ლ: ზან რ კი მაშინ, როდესაც ზანურის შესაბამისი ქართული ფუძე შეკუმშულია⁹.

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის წიგნში ქართული ლ-ს მეგრულ-ქანურ შესატყვისებზე მსჯელობისას ნათქვამია: ა-ს შემდეგ ქართული ლ-ს მეგრულ-ქანურში ეგევე ლ შეესატყვისებო (მაგ., ქართ. შამალი: ზან. მუმული)¹⁰. გამონაკლისად დასახელებულია ქართ. ტყე-შალი: მეგრ. ცოშური; ერთი შეხედვით, ამავე რიგისა ჩანს ქართ. წყალ-ი: მეგრ. წყარ-ი. ამ შემთხვევაში ქართული ლ-ს შესატყვისად ზანური რ-ს ვვიჩვენებს. მეგრულ წყარ-ში რ ქართული წყარო სიტყ-

⁶ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1954, გვ. 1205.

⁷ М а р р Н. Я. Яфетическое к в армянском языке. — Записки Восточного отдела русского археологического общества, т. XIX, вып. 4, СПб, 1909.

⁸ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938, გვ. 182; მ ი ს ი ე ვ ე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 20.

⁹ გ. როგავა, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან (ქარა. ლ: ზან. რ). ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1959, გვ. 6.

¹⁰ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლა-უტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 74.

ვის გავლენით არის მიღებული...¹¹ გ. კლიძიანი წყალ-სა და მის მეგრულ-ქანურ შესატყვისებს ერთ-ერთ ძნელად ასახსნელ ფუძეებად მიიჩნევს. ხმოვნები რომ ერთნაირი გვაქვს, ეს გვაეარაუდებინებს მომდევნო სონორის მეორეულობას ან ამ ფუძის ზანურის მიერ ქართულიდან შეთვისებასაო. ავტორი მეორე თვალსაზრისს უარყოფს იმ მოსაზრებით, რომ ეს იქნებოდა უიშვიათესი შემთხვევა ერთი ენის მიერ მეორე ენიდან ასეთი მნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულის სესხებისა¹². თუმცა ამავე ავტორს სხვა შემთხვევაში ქართული რიცხვითი სახელი ოთხი (ისიც სემანტიკურად განსხვავებული) ინდოევროპული ენებიდან (okto „რვა“) შეთვისებულად მიაჩნია¹³.

სიტყვა წყარო-სთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი დგას: პირველია მისი ფონემური შედგენილობის საკითხი. ო-ს შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არა გვაქვს: ის სუფიქსია.

რაც შეეხება წყალ-სიტყვის შეთვისებას მეგრულ-ქანურის მიერ, ამას ავტორთა მეტი წილი (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი...) იზიარებს, თუმცა სხვადასხვაგვარი დასაბუთებით და ნიუანსებით... მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხმოვნები შესატყვისობას არ გვიჩვენებს (გვაქვს ქართ. ა — ზან. ა, შდრ. რეგულარული შესატყვისობა ქართ. ა: ზან. ო).

ვფიქრობთ, მისაღებია მოსაზრება, რომ მეგრულ რ-ს ამ შემთხვევაში ქართულსავე წყარო-ში წარმოდგენილი რ უდევს საფუძვლად.

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი საკითხი დარჩა გაურკვეველი — რატომ გვაქვს ქართულშივე რ/ლ მონაცვლეობა: წყალ-ი — წყარო. სხვა შემთხვევა ასეთი მონაცვლეობისა თითქოს არ დასტურდება...

ქვემოთ წარმოვადგენთ წყარო სიტყვის ჩვენეულ ანალიზს.

ზემოთ უკვე აღინიშნა ო-ს სუფიქსურობა. ვფიქრობთ, აქ სუფიქსია -არ-იც, მაგრამ ეს არაა წყალ-ში წარმოდგენილი -ალ-ის ვარიანტი, არამედ სხვა სუფიქსია...

წყარო მიღებულია შემდეგნაირად: წყალ- ფუძეს დაერთო -არ სუფიქსი, რომელიც წარმომავლობას, მქონებლობას ვამოხატავდა (შდრ. ჯაგ-ი — ჯაგ-არ-ი, ვით — ვით-არ-ი...).

ეს -არ იგივე სუფიქსი უნდა იყოს, რაც გვაქვს რთული შედგენალობის -ნარ სუფიქსისა (შდრ. მუხ-ნარ-ი, კოპიტ-ნარ-ი, თხილ-ნარ-ი...)¹⁴

¹¹ თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 76-77, 368. 3.

¹² Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, с. 159—160.

¹³ მისივე, Картвельское okto „четыре“—индоевропейское okto.—კრებ. Этимология, 1975, М., 1977, с. 162—163.

¹⁴ ამ სუფიქსების შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, -ონ სუფიქსი მეგრულში. — ტფილისის სახ. უნივერსიტეტის მოამბე, ტფილისი, 1986, ტ. VI, გვ. 305-311.

და -იერ/-იარ სუფიქსში (მდრ. ღონ-იერ-ი/ღიალ. ღონ-იარ-ი, გონ-იერ-ი/ღიალ. გონ-იარ-ი...).

ეგევე სუფიქსი პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების დროსაც არის გამოყენებული: ნა—არ, ხა—არ (ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-სომხ-არ-ი, ნა-ფეტვ-არ-ი... სა-ბუღ-არ-ი, სკ-წინდ-არ-ი, სა-ჩივ-არ-ი...)¹⁵, მ—არ (მ-ტბევე-არ-ი, მ-წყევე-არ-ი, მ-თავე-არ-ი...)¹⁶.

-არ სუფიქსის დართვამ, ბუნებრივია, წყალ- ფუძის შეკუმშვა გამოიწვია: *წყალ-არ- > *წყლ-არ- (მდრ. წყალ-ი, წყლ-იან-ი, წყლ-ის-ა... წყალ- ფუძიდანვეა მიღებული წყლ-ულ-ი). შემდეგ დაერთო -ო სუფიქსი ო-ზე დაბოლოებული სხვა სახელების ანალოგიით (ჩრდილ-ო, ახლ-ო, ღვინ-ო, ფართ-ო...), ხოლო ლ დაიკარგა: *წყლ-არ- > *წყლ-არ-ო > წყ-არ-ო.

წყარო-ს ამოსავალი სემანტიკა უნდა ყოფილიყო „წყლიანი ადგილი, წყლის შემცველი ადგილი, წყლები...“

თუ ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობას მივიღებთ, მაშინ მოიხსნება ის დაბრკოლება, რასაც ქართულში წყალ- ფუძის წყარ- (წყარო) ფუძესთან დაკავშირება ქმნიდა ლ—რ მიმართების თვალსაზრისით.

შეიძლება სხვაგვარი ვარაუდის დაშვებაც; წყლის აღმნიშვნელ წყ ძირზე -ალ და -არ სუფიქსები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაერთო და მივიღეთ, ერთი მხრივ, წყ-ალ, მეორე მხრივ წყ-არ- (წყ-არ-ო). ეს მოსაზრება დამატებით დასაბუთებას საჭიროებს.

ქართული წყარ- ფუძის შესატყვისია მეგრული წყორ-, რომელიც ზმნურ ფუძეშია დადასტურებული „განელების“ მნიშვნელობით: წყორ-უნ-ს „ანელებს (ცხელ წყალს ცივით)“.

В. Г. ШЕНГЕЛИА

КАРТВЕЛЬСКИЕ ЭТИМОЛОГИИ

III. წყარო ცვაგო „ключ, родник, источник“

Резюме

Связь корневой части грузинского წყარო ცვაგო „ключ, родник, источник“ с грузинским же словом წყალ-ი ცვალ-ი „вода“ не вызывает сомнения (ო о выделяется в качестве суффиксального

15 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 134-135.
16 ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 35, 70, 79.

элемента). Занское წყარ-ი сqaг-ი „вода“ считается заимствованным из грузинского языка.

Требует объяснения наличие в грузинском основы с ႁ ႁ— წყარ-сqaг-, наряду с основной с ႁ ႁ— წყალ сqaლ. При этом следует учесть, что чередование ႁ ႁ / ႁ ႁ не является характерным для грузинского языка.

По нашему мнению, основа წყარ-сqaг- получена путем присоединения суффикса -არ-аг к основе წყალ- сqaლ- (с редукцией гласного): *წყალ-არ- сqaლ-аг->*წყლ-არ сqaლ-аг- (срв. ჯაგ-ი ჯაგ-ი „колючий куст“— ჯაგ-არ-ი ჯაგ-არ-ი „щетина“): В дальнейшем к основе присоединяется суффикс -ო-ო (по аналогии с другими словами на ႁ ႁ) и элемент ႁ ႁ основы теряется: *წყლ-არ-ი сqaლ-аг-ი>*წყლ-არ-ო сqaლ-აგ-ო>წყარო сqaგო...

Можно представить и иную трактовку: слово წყარო сqaგო образовано от корня წყ-сqa-, обозначающего „воду“, при помощи суффикса -არ-аг. წყ-არ- сqa- (წყ-არ-ო сqa-აგ-ო).

С грузинской -სისტის წყარ- სqaგ- связывается мегрельская წყარ სqaგ, которая имеется в глагольной основе: წყარ- სqaგ- სqaგ-ის-ს „разбавляет горячую воду“.

ა. სუხიოვილი

ქართველური ლექსიკონი

1. ზანური ღურ- ფუძის ქართული შესატყვისისათვის*

გარდაუვალი დინამიკური უგვარო ზმნები ან „უნიშნო ვნებიითე-ბი“, მცირერიცხოვანია როგორც ქართულში, ასევე ზანურში. უმეტეს შემთხვევაში ამ ტიპის ფუძეები ქართულისა და ზანურისათვის საერთოა:

ძვ. ქართ.	ტფ-ებ-ის	ქან.	ტუბ-უნ,	მეგრ.	ტიბ-უ/ნ/
	ჭმ-ებ-ის		————		ხომ-უ/ნ/, ხუმ-უ/ნ/
	ქრ-ებ-ის		————		ნქირ-უ-ნ/ნ/, ი-ნქირ-უ/ნ/
					„ცივდება“
	წყდ-ებ-ის		————		ქყორდ-უნ
	შრ-ებ-ის		სკირ-უნ/სკურ-უნ		სქირ-უნ და ა. შ.

ეს ფაქტიც ადასტურებს მოსაზრებას ამ ტიპის ზმნათა ფუძეების სიძველის შესახებ (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე, გ. მაკავარიანი, თ. გამყრელიძე...).

ზანურში ღურ-უნ „კვდება“ გარდაუვალი უგვარო დინამიკური ზმნაა, „უნიშნო ვნებითა“: ქან. კოჩი ღურუნ „კაცი კვდება“: კოჩი დოღურუ „კაცი მოკვდა“..., მეგრ. ლეხი ღურუ/ნ/ „ავაღმყოფი კვდება“, მალურუუ „მომაკვდავი“, მოღურუუ „დასუსტებული, დაბეჩავებული“...!

შესაძლებლად მიგვაჩნია ზანურის ღურ- ფუძეს დაუკავშიროთ ქართული ღრება „კვდება, ხმება“². ქართული ენის განმარტებით ლექს-

* წაკითხულია თსუ-ს სტუდენტთა 27-ე სამეცნიერო კონფერენციაზე, 1964 წ. (იხ. თეზისები). ხელმძღვ. დოც. ე. კ. ოსიძე. იბეჭდება სათანადო ცვლილებით.

¹ არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 350-351.

² სპეციალურ ლიტერატურაში ზანური ღურ- ფუძის შესატყვისად მიიჩნეულია სვანური ღარა „სიკვილი“, იხ. არნ. ჩიქობავა, შედ. ლექსიკ., გვ. 350-351; ღურ ფუძეს ე. დიუმეზილი აკავშირებს ქართ. კვ-დ ფუძესთან და ამ სირის შე-

სიკონში ეს ერთეული ამგვარადაა განმარტებული: ღრებ-ა (დაღრა, დამღრალა) ძვ. და კუთხ. (გურ.) გრდუფ. ვნებ. იხ. ჰენება. ვარდი ჰნებოდა, ღრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა (რუსთაველი).

ღრობა, დაღრობა გავრცელებულია ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: ღრობა, დაღრობა (გურ.) ჰენობა; დაღრა — დაჰენა (ა. ლლონტი); დაღრობა (იმერ., გურ.) — დაჰენობა; დამღნარო, დამღრალო — დამჰენარი.

მნიშვნელობათა სხვაობას დასაკავშირებელ ზანურ ლურ- „კედო-მა“ და ქართ. ღრ- „ჰენობა, ხმობა“ ფუძეებს შორის მისამართი ობიექტები განაპირობებს. ზანურში ეს ფუძე სულიერ არსებებს — ადამიანს ან ცხოველს მიემართება, ქართულში — მცენარეებს. მისამართი ობიექტების მიხედვით სიტყვის მნიშვნელობის ამგვარი ცვლა ენაში უჩვეულო არ არის. შდრ. იგივე ჰენება-ა (ქეგლ. VIII)... სინედლე აკლდება, სინორჩეს კარგავს (იოქმის მცენარეზე)... // ფიგურ. ავად როდი ვარ, როდი ვწევარ, ისე, ფეხზე ვჰენები (ჭ. ლომთ.). იხ. აგრეთვე ძვ. ქართული: „სული თესი დაიმდაბლა მარხვიანა, ხოლო კორცნი შრომითა და აჰენენა“ (მ. ცხ. 58-21). „იხილნა ძუძენი მისნი შე მჰენარნი, ვითარცა ორნი ფურცელნი (პაჭ. I, 85-86). დიალექტებიდანაც დავასახელებთ ერთ ნიმუშს: დაჰანცულო... ძალიან მსხმოიარე ნაყოფი (ს. ულ.). შდრ.: დაჰანცული... ჰანცამოცულია, ჰანცაწყვეტილი, დაღლილი (ქეგლ). მნიშვნელობას ცვლის და სემანტიკურ პარალელიზმს წარმოქმნის სიტყვის მეტაფორული გამოყენება; მაგ.: /და/ნელეზ- ფუძის სიტყვა დაანელეზს ქეგლ-ში ასეა დახასიათებული: 1. დაჰრობს, დაშრეტს, ჩაჰრობს... 2. გადატ. გაჰრობს, მოსპობს, გაანადგურებს, დაღუპავს...

მეორე ნომრით აღნიშნული შინაარსი არის არა დამოუკიდებელი მნიშვნელობა, არამედ სიტყვის მეტაფორული გამოყენება³, ამ ფუ-

სიტყვისებს კავასიურ ენათა სამყაროში ეძებს. იხ. Georges Dumezil, Recherches Comparatives sur le Verbe Caucasiens I. Les suffixes de temps dans les langues caucasiennes II. Les éléments préradicaux du verbe autres que les préverbes et les indices de personnes ou de classes. Paris, 1933. გვ. 67-68. „სული პარადან რომ გამოვა“, კიტი კვდება ანუ მგერულად — „ღოღურუ“, ღარცა — წარმოგული უნდა იყოს ზმნა „ღერა“-საგან, ე. ი. დაღვარა, სთხედ იქცა — თ. სახოკია, მრცელეზბულის ეულტი სამეგრელოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიკისთვის, III, 1940; ზ. სარჭველაძე ლურ- ფუძის შესატყვისის ძე. ქართულში დადაცტრებულ ღულ- ფუძეში ხედავს. ვფიქრობთ, რომ ამ ფუძის იშვიათობა (სამად-სამი შენებევა) ახელეებს მისი სემანტიკის დადგენას. იხ. ზ. სარჭველაძე, ზოგი სერბო-ქრთველური ღმ-სემის ეტიმოლოგიისათვის. — მაცნე, ენისა და ლიტერატურის სტრია, 1960, № 4, გვ. 117-118.

3 ბ. ფოჩხუა, პოლისემიის საკითხისათვის. — ივე, XII, 1962, გვ. 133.

ძის მნიშვნელობის სემანტიკური ცვლილება — „დაშრება, დაღუპვა“ — ანალოგიურია ჩვენთვის საინტერესო სემანტიკური გადაწყვეისა: „შკნობა, ხმობა, სიკვდილი“.

მსგავსი სემანტიკური ანალოგიები სხვა ენებშიც ვვაქვს; მაგ.: შპარს. ხოშქ 1. ხმელი, გამხმარი, დამქვანარი. 2. გვალვიანი, ვამოფრტული. 3. უნაყოფო, წმინდა, გამომშრალი. შოღან- („გახ.ღიმა“) ზმნასთან ხმარებული — ხოშქშოღან ან ბეჯაი (ადგილზე) ხოშქშოღან — ნიშნავს გაოგნებას, გაშტერებას გაოცებისაგან და ა. შ.⁴, Вянуть დალის ლექსიკონის მიხედვით მცენარეთა მისამართით ხმარებული განიმარტება როგორც Увядать, блекнуть, сохнуть, желкнуть, აღმიანის მისამართით კი — хилеть, падать силами, дряхлет или болеть⁵ შდრ. ევეეу вянуть უკავშირდება ზემოგერმანულ swenden-ს „нстреблять“⁶.

ეს სემანტიკური პარალელები გვაფიქრებინებს, რომ ამოსაყალი მნიშვნელობა ქართულ ღრება-ს უნდა ჰქონდეს დაცული.

ღრება ფორმა, როგორც უკვე ითქვა, სტრუქტურულადაც შეესატყვისება ზან. ღურუნ-ს. ამ ზმნას აწმყოში აქვს „უნიშნო ვნებიითისათვის“ დამახასიათებელი -ები დაბოლოება (შდრ., თბ-ებ-ა, ჭრ-ებ-ა), უწყვეტელში — -ოდ სუფიქსი (ღრებ-ოდ-ა)⁷: უგვარო ზმნებისთვის ნიშანდობლივი სუბიექტური მიმღეობის ფორმა — და-შ-ღრ-ალ-ი⁸: დამღრალი ნეშოს საამო სუნი და ხეების ჩრდილები გულს მიფონებდნენ (დ. შენგ.); ტკაცუნებს შემღრალი ნეშო (პანტ. ჩხიკვ.)... მოქმედებითი გვარის ფორმათა წარმოება ემყარება უგვარო ფორმას: ღრება — აღრობს (შდრ. მასდარი: ღრობა, დაღრობა). შრება — აშრობს...

ქართულ-ზანური ფუძეების სტრუქტურული ერთობა მათი სიძველის ნიშანია. ამდენად, ის ფაქტი, რომ ძველი ქართულის ტექსტებში ღრება ფორმა არა ვვაქვს დადასტურებული, ვითარებას არ ცელის.

საკვლევია ფუძისეული ხმოვნის საკითხი ქართულში და მიმართება ზანურთან.

ვ. თოფურიას გარკვეული აქვს, რომ ქართული „უნიშნო ვნები-თის“ ფუძეში, როგორც წესი, -ე- ხმოვანი გვევლინება, რომელიც

⁴ Персидско-русский словарь (в двух томах). Под редакцией Рубинчика Ю. А. М., 1970.

⁵ Даль В. Толковый словарь живого великорусского языка. М., 1981.

⁶ Фасмер М. Этимологический словарь русского языка. М., 1, 1964.

⁷ იხ. ეკ. თსიძე, ერთი ტიპის ზმნათა აწმყოს ფუძის აგებულებისათვის ქართულში. — ქესს, ტ. III, გვ. 16.

⁸ ეკ. თსიძე, თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, ივე. — IV, გვ. 77;

რედუცირდება აწმყოში და ჩვეულებრივ ნამყო ძირითადის პირველ-
სა და მეორე პირშია წარმოდგენილი:⁹

ძვ. ქართ. ღვ-ებ-ი-ს — აღ-ღვ (ბრძ.)

შურ-ებ-ი-ს — და-შურ

კუდ-ებ-ი-ს — მო-ჰყუედ და ა. შ.

ამის მიხედვით ქართულში ღრება ზმნისათვის ღერ- ფუჟ აღღვ-
ბოდა, რომელსაც ქართულ-ზანური ხმოვანთშესატყვისობის კანონით
ზანურში *ღარ უნდა მოეცა, გვაქვს კი ღურ-, შესატყვისობათა ამგვა-
რი დარღვევა ქართ. ე: მეგრ. ჰან. ო/ჟ/ი განსაკუთრებ:თ ხშირად
სწორედ „უნიწნო ვნებითების“ ფუძეებთან დასტურდება: ქართ. გა-
ვ-წყერ-ი: მეგრ. გო-ვ-ჰყორ-ი. ძვ. ქართ. გა-ნ-ვ-ქემ: მეგრ გო-ვ-
ხომ-ი, ქართ. გან-ვ-ტეფ: ჰან. გო-პ-ტუშ-ი, მეგრ. გო-ვ-ტინ-ი...¹⁰

ამგვარად, განზოგანების თავისებურებითაც ქართ. ღრ-ებ-ა: ზან.
ღურ-უ-ნ ამ რიგში დგება.

ქართულ-ზანური ე:ო/უ, ი/ ბგერათფარდობის ახსნის ორი ცდა არ-
სებობს და ქართ. ღრ-ებ-ა: ზან. ღურ-უ-ნ დაკავშირებას არცერთი
მათგანი არ გამორიცხავს:

1. მეგრ.-ჰან. ო ასახვეს არა საერთო-ქართულურ *ე განზოგანე-
ბას, რომელიც კანონზომიერად არის წარმოდგენილი ქართულში ე-ს
სახით. არამედ ბარალელურად არსებულ ა განზოგანებას, მაგ.: ჰან.
ღორღოჯი ს.-ქართვ. *ღარღად, ძვ. ქართ. ღერღედ-ი... (მღრ.: გა-
ვ-ჰერ-ი//გა-ვ-ჰარ-ი (გურ.), ხევს ნა-ჰარ-ი; გა-ვ-ცერ-ი, მაგრამ ნა-
ცარ-ი)¹¹.

ამ თვალსაზრისის მიხედვით ამოსავალი ზან. ღურ- ფუძისათვის
უნდა ყოფილიყო *ღარ-, რომელსაც ზანურში *ღორ- ფუჟ უნდა
მოეცა. ამ ახსნის მიღების შემთხვევაში ე-ს უ-დ დავიწროვებ:ს მი-
ზეზია მოსაძებნი (*ღორ > ღურ), მაგრამ ამის შესაბამე ქვემოთ გვენ-
ნება მსჯელობა.

2. ე:ო ბგერათფარდობა მხოლოდ სახელებში ექვემდებარება ფო-
ნოლოგიურ ინტერპრეტაციას. ზმნებში ის სცილდება ფონოლოგიის
ფარგლებს და მორფოლოგიურ პრობლემებს უკავშირდება. ამ თვალ-
საზრისით უგვარო დინამიკურ ზმნათა მეგრულ-ჰანურ ფუძეებში არ-
სებული ვოკალიზმი მეორეული წარმომავლობისაა, წარმოქმნილი

⁹ ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა, III ტომის ვნებითის წარმოება ქართულში. — სმამ. ტ. III, № 9, 1942, გვ. 967-968.

¹⁰ თ. გამყრელიძე, გ. მაკავეარიანი, სონანტო სისტემა და აბლაუტი ქართულურ ენებში, თბ., 1965, გვ. 158-159.

¹¹ გ. მაკავეარიანი, ხმოვანთა შესატყვისობების ისტორიიდან ქართულურ ენებში, თსუ შრ., ტ. 69, 1958, გვ. 265-276; თ. გამყრელიძე, გ. მაკავეარიანი, სონანტო სისტემა და აბლაუტი ქართულურ ენებში, გვ. 234.

მარცვლოვან სონანტთა ვოკალიზაციის შედეგად¹². ე. ი. ღურ<*ღრ-
ვოკალიზმის არასტაბილურობა ზანურში (ო, უ, ი) ამგვარი ახსნის
შემთხვევაში ნებისმიერი ხმოვნის არჩევის შესაძლებლობას იძლევა.

არსებობს ერთი საკონტროლო საშუალება, რომელიც ჩვენთვის
საინტერესო ფუძის ამოსავალი სტრუქტურის დადგენაში გვეხმარება:

როგორც ვ. თოფურიას აქვს შენიშნული, ზანურა უნიშნო
ენებითის ფუძეში -უ- ხმოვანი ზოგ ზმნაში (უპირატესად მკვრულში
და ქანურის ხოფურ კილოკავში) აბლაუტით ი-ს გვაძლევს¹³.

გ. როგავამ ახსნა, რომ ფონეტიკური პროცესი უ//ო>გ>ი გარ-
კვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში (კერძოდ, არალაბიალური ანანზმო-
ნების შემდეგ, ინტერკონსონანტურ პოზიციაში) ხორციელდება და
იგი სისტემურ ხასიათს ატარებს (ამასთან, უფრო ხშირია შემთხვევა
უ-ს აბლაუტისა). უ//ო-ს შეცვლა გ ხმოვნით ზანურის ზოციერტ კი-
ლოკავში ზოგადი ხასიათის ფონეტიკური პროცესია და გამოწვეულია
უ//ო-ს წარმოებისათვის საჭირო ბაგეებისა და ენის აქტიურობის მო-
ღუწებით: ჰკუდი>ჰკგდი „მჭადი“, დაჩხური>დაჩხგრი „ცეცსლი“,
ოზუმუ>ოზგმუ „ზომვა“, ოკკორუ>ოკკგრუ „ქრა“...¹⁴

უ მკვრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში და ქანუ-
რის ხოფურ კილოკავში უცვლელად შემოინახება, თუ მას წინ უძღვის
რომელიმე ლაბიალური ბგერა (მუშა „მამა“, ბული „ბაღი“, ფუჭა
„ფური“, პუხა „კუზიანი“...). ამას გარდა, თუ აფიქსისეული -უ და-
ერთვის ლაბიალიზებული კომპლექსებისაგან (ძვ, ცვ, წვ, გვ, ქვ, კვ...)
შემდგარ ზმნის ძირისეულ ნაწილს, ლაბიალური ელემენტი ვ გაუჩი-
ნარდება. ხოლო სუფიქსისეული -უ უცვლელად გვრჩება: შუნც<
<*შვ-უნ-ს „სვამს“, შდრ. გე-შვ-ი „შე-სვ-ი“, ჰუნ-ც<*ჰვ-უნ-ს
„წვავს“, ძვ. ქართ. წუავს, შდრ. დო-ჰვ-ი „დაწვი“ და სხვა¹⁵.

ჩვენს საკვლევ ღურ- ფუძეს ხმოვნის აბლაუტი არ ახასიათებს;
ე. ი. უ>გ>ი პროცესი აქ არ ხდება:

ზუგდ.-სამურზ. ირო ღურელი რდი დო ამგდლა გვალო დო-
მიღურია „მუდამ მკვდარი იყავი, მაგრამ დღეს სულ მო-
მიკვდიო“¹⁶.

ზანურში და მის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში უ-ს
უცვლელად შემოინახვის ფაქტი ლაბიალურ კომპლექსებთან (შუნც<

¹² თ. გამყრელიძე, გ. მაკავარიანი, სონანტთა სისტემა და ალა-
უტი, გვ. 236-238.

¹³ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 967-968.

¹⁴ გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ.,
1962, გვ. 11.

¹⁵ გ. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 14-15.

¹⁶ ი. ყიფშიძე, მკვრული ტექსტები.

<*შე-უნ-ს: ქართ. სუ-ამ-ს, ჭუნც<*ჭე-უნ-ს: ქართ. წე-ავ-ს...) პრინციპული მნიშვნელობისაა. ამის შედეგად შესაძლებელი ხდება ზანურში და რიგ შემთხვევაში სხვა ქართველური ენის ფუძეში გაუჩინარებული ვ/უ/ ბგერის აღდგენა, ე. ი. იმ შემთხვევაში, როცა ზანურის კილოკავებში არ ხორციელდება აბლაუტი უ>გ. ივარაუდება, რომ უ ხმოვნის წინამავალ თანხმოვანს ისტორიულად ახლდა ვ ლაბიალური ელემენტი; ეს ვ ელემენტი შერწყმული ჩანს უ ხმოვანთან, რამაც თავის მხრივ განსაზღვრა უ ხმოვნის შემონახვა¹⁷.

უ ხმოვნის წინა თანხმოვანთან ლაბიალური ელემენტის აღდგენას ხელს უწყობს აგრეთვე თვითონ უ ხმოვანი, რომელიც ო-საგან არის მიღებული. ზანურში უგვარო დინამიკური ზმნების ფუძეში კანონზომიერად ყოველთვის ო ხმოვანია წარმოდგენილი: ხომ-უნ „სმება“, ჭეორდუნ „წყდება“..., ხოლო ო-ს უ-ში გადასვლა ჩორციელდება მაშინ, როცა მეზობლად ივარაუდება ბაგისმიერი ბგერა (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ს. ჟღენტი, ტ. გუდავა...) ბაგისმიერების გაუღენით ო-ს უ-ში გადასვლა (დავიწროება) საერთოდ დამახასიათებელია შევრული-სათვის (და ჭანურისთვისაც): ქართ. დგ-ამ-ს: მეგრ. დგ-უნ-ს, ქართ. დამე: მეგრ. ღუმე, ღომა...¹⁸

ამ ფაქტების გათვალისწინებით ზანური ღურ- ფუძის ამოსავალ-სტრუქტურა *ღვურ- სახით აღდგება, ეს კი, თავის მხრივ, ქართულ-სათვის *ღურ (*ღურ) ფუძეს ვარაუდობს ამოსავლად. ღრება ზმნაში უკანაენისმიერი ღ-ს თანმზლები ლაბიალური ელემენტი შეიცვლება დაკარგულად ჩაითვალოს. საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში ღრებოდა ფორმის პარალელურად ღვრებოდა ფორმაც დასტურდება: „ვარდი ჭნებოდა, ღვრებოდა...“. ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ კომენტატორები ამ ზმნას განსხვავებულად განმარტავენ¹⁹, მაგრამ აქ არსებითია, რომ ერთი და იმავე ფუძის ლაბია-

17 გ. რ. ო. გ. ა. ვ. ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 51-52.

18 ტ. გ. უ. დ. ა. ვ. ა., ბაგისმიერი თანხმოვნები ჩქაშიერთა წინ მეგრულში — საენათ-მეცნიერო კრებული. ეძღვნება გივი მაქავარიანის ხსოვნას დაბადების 50 წლის-თავზე, თბ., 1979, გვ. 82.

19 დ. კ. ა. რ. ი. ვ. ე. ლ. ი., „მოამბეში“ (1904 წ. № 3, გვ. 21-22) დაბეჭდულ წერილში „ვეფხისტყაოსნის რეცენზიის გამო“ შენიშნავს: „... სტრიქონს — ვარდი ჭნებოდა, ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა — ჩვენ დავერთეთ შენიშვნა: „ქართველიშვილის გამოცემაში არის ღვრებოდა, სხვებში კი ღვრებოდა. ეს ზმნა სწარმოებს სიტყვისაგან ღვარი და ნიშნავს ღვარით გავსებას, მოფენას... ჩვენი განმარტება არ მოსწონს ბ-ნს დავითაშვილს და თითონ ასე მარტავს: „ჩვენის აზრით, ფესვი სიტყვისა არის ღრე და არა ღვარი. აქ ესეთი აზრია: ვარდი ანუ ლოყები სჭნებოდა, სიგამხდრისაგან შეიკუმუნა, უსწორ-მასწარო ღრუს დაემსგავსა. ამ სიტყვის გადაკეთება უმარტებულა... აქვე, დ. კარაქაშვილი იმორწმებს დ. ჩუბინაშვილსა და თეიმურაზ ბატონიშვილს. დ. ჩუბინაშვილი: ღ-

ლური და არალაბიალური ვარიანტები დასტურდება, რაც ქართული-სათვის უცხო არ ჩანს.

ღრ-ებ-ა (||ღვრება) ზმნას უნდა უკავშირდებოდეს ქართულისავე ღვრება/დაღვრება... მოღუშვა, დაღონება, მოწყენა, უგუნებობა... (ქეგლ VII). საბასთან ეს ფორმა ლაბიალური ვ-ს გარეშე გეაქვს ღრომა/დაღრომა „მცირედ წყენა“, დაღრომა... დავპფიქრდები, ვა-думаться; დაღრომილი... задумчивый, печальный ქილ. 60 (ღ. ჩუბ.); ყორანმა ქორს დაღრომა შეატყო და უთხრა (ქილ.). სემანტიკური დაბრკოლება ღრომა „დაქცნობა“ და ღრომა/ღვრება „მცირედ მოწყენა“²⁰ ფუძეთა დაკავშირებისათვის არ უნდა გვექონდეს. რეკონსტრუირებულ *ღუერ- ფუძეს ღვრება²¹ შეესაბამება. ფუძე გართულებულია -ემ ელემენტით, რომელმაც ე ხმოვანი ამოაგდო: *ღვერ-ემ-ს > ღვრ-ემ-ს (შდრ. თვლ-ემ-ს, ფუძიდან — თვალ-).

ღერ- და ღუერ- ერთი და იმავე ფუძის ლაბიალური და არალაბიალური ვარიანტების ანალოგიური მონაცვლეობა სემანტიკურად იდენტურ ძირებში ქართულში სხვა შემთხვევებშიც დასტურდება: შუერ- (და-ვ-შუერ, დაშურა — „მუშაობისაგან დაღლა, დაქანცვა“ — მასდარის „შრომა“ < *შუერომა) და შერ- (შრება, დაშრა — მასდარის „შრომა“)²². სემანტიკური განსხვავება ამ ფუძეებს შორის მეორეულია, ისევე, როგორც ღრომა „დაქცნობა, გახშობა“ და ღრომა „მცირედ მოწყენა“ ფუძეებს შორის²³.

ყება ცრემლის ღვრით ვესებოდა (ვკღვრები, ვკღვერ... დავიღვრე-ბი, — .ииса. ვეფხ. 848 იხ. მისი: ქართულ-რუსული ლექსიკონი). თე. მ. უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი: „ღვრებოდა“, ე. ი. როგორცაა წყლის მიმდინარეობა-საგან ნაღვრევი გაკეთდება, ლოყები ეგრეთ ტირილისაგან ღვარის საღინარისა მსგავსად შექმნოდა...“

²⁰ საყურადღებოა, რომ დიალექტებში „მოწყენა“ მცენარეების მიმართ ზმარებული, გადატანითი მნიშვნელობით „დაქცნობას“ აღნიშნავს.

²¹ რ. ერკერტი გვაწვდის ღურამა „კვდომა, სიკვდილი“ მასდარის ფორმას. იხ. R. Erkert, die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895, გვ. 199 (ამ დაქტზე მიუთითებს ლ. ნადარეიშვილი წერილში „მასდარის წარმოების შესახებ ქანერში“. — იყვ, XVII, 1970, გვ. 137).

²² თ. გამყრელიძე, სიბილანტა შესაბამისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959, გვ. 63.

²³ ღრომა-ს დიალექტური ვარიანტები დაღრომა, ღნობა შესაძლოა ღერ- ძი-რის რედუქციასიით იყოს წარმოქმნილი. „ვეარაუდობთ, რომ ხდება რედუქცი-კაცია ღერ- ძირისა, რომელიც დამოუკიდებლად უნდა გვექონდეს შენახული ფუძე-ში ღრომა „ქცნობა“, დაღრომა „მცირედ მოწყენა“. — ფ. ერთელიშვილი, ზმნის ფორმებს ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულ-ში, თბ., 1970, გვ. 280-281.

ლაბიალური ვ ელემენტის არსებობას უგვარო დინამიკურ ზმანათა ფუძეში მასდარის -ობ და -ომ სუფიქსებიც ადასტურებს (ღრ-ობ-ა, ღრ-ომ-ა): $ობ < *ვ-ებ$, $ომ < *ვ-ებ^{24}$.

ყოველივე ამის შემდეგ ზან. ღურ-ურ-ნ „კვდება“ და ქართ. ღრ-ებ-ა „ჰქნება, ხმება“ ფორმების დაკავშირება რეალური გვეჩვენებს. დინამიკური ზმნის აღდგენილი ფუძე *ღურ იქნება (მღრ. ღალრომა, დაღერემა). მაგრამ ამოსავალი ფუძისა და ამოსავალი სემანტიკის საკითხი მაინც არ არის გარკვეული. ამის მიზეზია ქართული და ზანურ-ი ვოკალიზმის შეუსაბამობა უგვარო დინამიკურ ზმანთა ფუძეებში ქართველური ხმოვანთმესატყვისობის წესთან. ამ შეუსაბამობის ახსნა მხოლოდ მარცვლოვან სონანტთა განსხვავებული ვოკალიზაციით გარკვეულ ეპეებს აღძრავს. ერთი და იგივე ფაქტი არამარტო სახელედასა და ზმნებში, არამედ თვით ზმნებშიც განსხვავებულად იხსნება; ფუძეებში, სადაც სონანტი არა გვაქვს, აქცესიური კომპლექსის დასაქლევად ზანურში ანაპტიქსური ხმოვნების განვითარება ივარაუდება²⁵. სწორედ ამ წინააღმდეგობის ახსნის არაერთგვაროვნების ასაცილებლად იქნა წამოყენებული მოსაზრება საერთო-ქართველურში მარცვლოვანი არასონორების, ან, ზოგადად, მარცვლოვანი ფონემების (სონორები, ფრიკატივები, ხშულები) არსებობის შესახებ (ანერკევილი ლინგვისტის აღნიშნული მოსაზრებათა გათვალისწინებათა)²⁶.

ამ თეორიული დაშვების აკადემიკობაზე მსჯელობა მომავალი კვლევის საქმეა. ჩვენთვის კი ამჟამად ფაქტი ის არის, რომ ქართველური ხმოვანთმესატყვისობის წესი ზანურ ღურუნ და ქართულ ღრება უგვარო დინამიკური ფორმების დაკავშირებისას ვ ხმოვანი *ღურ- ფუძის პარალელურად, ისე როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევაში, ა ხმოვიან *ღურ- ფუძესაც აღვადგენინებ (მღრ. ვა-ვ-ცერ, ნა-ცარ...), ხოლო ქართული ე / < *ა / -ს შესატყვისი გასმოვანების არაერთგვარობას (ო, უ, ჯ, ი) ზანურში გარკვეულ პიზიციებზე განაპირობებს (ვ. თოფურია, გ. როგავა)²⁷.

²⁴ G. Deeters. das Kharthwelische Verbum, Leipzig, 1930. გვ. 126, 218; ვ. ოსიძე, ერთი ტიპის ზმანთა აწმყოს ფუძის აგებულებისათვის ქართულში, — ქეს, ტ. III, 1963, გვ. 16, 18.

²⁵ გ. შაქავერიანი, საერთო-ქართველური კონსონანტურა სისტემა, თბ., 1965.

²⁶ რ. ასათიანი, მარცვლოვანი თანხმოვნები საერთო-ქართველურში. — ჟეანმარდი, III, 1983, გვ. 10 და შემდ.

²⁷ წერილი გადაცემული იყო, როდესაც გამოქვეყნდა ქართველოლოგიური ჟურნალის «გეორგიკას» მორიგი ნომერი (1987, 10). აქ დაიბეჭდა ზ. სარჯველიძის გამოკვლევა ქართველური ლექსიკის შესახებ. ქართ. ღრ-ობ-ა, და-მ-ღრ-აღ-ი დაკავშირებულია მგვრ. უღრ-აფ-ა//უღრაფა «დაქცნობა» და სვან. მა-ღრ-ა «დამქცნარი» სიტყვებთან (გვ. 21). მგვრულში, ავტორის აზრით, ანლაუტში ე ბგერა განვი-

2. ქართ. ცონ-ე-ა: მეგრ. ჩუნ-აფ-ა

ცონა ძველ ქართულში დაზარებას ნიშნავს²⁸: „არცა მოვაწყინებ და არცა მცონის“ (მ. სწ. 88,29); „არა გუცონის მოხრობად“ (ლიმ. 105,31); „არცა მოვიწყინოთ და არცა დავიცონოთ ყოფად ამას“ (მ. სწ. 32,13)... გარდაუვალი სტატიური ფორმიდან იწარმოება მასდარი სი-ცონ-ილ-ი, რაც ილ. აბულაძის ლექსიკონის მიხედვით განმარტებულია როგორც სიზარმაცე, მშიშრობა, დაზარება: მოაწიის კაცსა ზედა სიცონილი და მოწყინებად (მ. სწ. 19,32); სუბიექტური მიმღეობის ფორმაა მ-ცონ-არ-ი, მ-ცონ-არ-ე „ზარმაცი, გაუბედავი“: „იქმენ, ვითარცა ქინკველი მცონარო“ (M, იგ, სოლ. 6,6), „მიზეზობნ მცონარი“ (O, იგ, სოლ. 22,13), „სწრაფასა ნუ მცონარე ხარ“ (პრომ. 12,11)“; უ-ცონ-ი „დაუზარებელი“: „უყუეთუ უცონ იყო“ (O, იგ, სოლ. 6,11); უცონელად „დაუყვინებლივ, მოუწყინებლად“: შეუდევით უცონელად მარხვასა და ლოცვასა (მ. სწ. 271,26). საბას „სიტყვის კონაში“ ცონვა განმარტებულია როგორც „დაზარება“ და, შესაბამისად, მცონარი — „დაზარებული“, სიცონილი — „დაზარებულობა“. „სიტყვის კონაში“ საყურადღებოა მცონარება სიტყვის განმარტება: „მცონარება არს შიში მომავლისა მოქმედებისა, რომელ არს დაზარება...“ საბასთვის შიში გვიარის მნიშვნელობის ცნებაა, ხოლო მცონარება შიშის ერთ-ერთი სახეობა: იხ. შიში... „ხოლო შიშიცა განიყოფების ექვსად: მცონარებად, კდემულებად, სირცხვილად, განკვირვებად, განცვიფრებად და ულონოებად. მცონარება ვიდრემე არს შიში ყოფადრსა მოქმედებისა...

თარბულია (ფიორ- ფუძე დასტურდება გერულ დიალექტშიც). უნდა აღინიშნოს, რომ სვან. შალრა — მიმღეობის ფორმას ამოსავალი ზმნური ერთეული არ ეძებნება (მდრ. ლი-ღრ-ე დმოცილება). საყურადღებოა, რომ შალრა სვანურში ხმელ წიწ-ვოვან ხეს, ზეზეურად გამხმარს ან მოქრილს ნიშნავს. სვანოაულო სემანტიკურ გადასვლას დაქკნობა, გახმობა > სიკვდილი კარგად ესადავება შემდეგი სტრიქონები რ. ერისთავის ლექსიდან „უვაილს“: „სიკვდილი გვაქკნობს ვით შენ მზე და მოგვემს გახრწნილებასა“. ანალოგიური სემანტიკური ცვლილების რეალურობისათვის მდრ. ხუნძური: ზაყ „მზე“ — ზაყვაზე „გაშრობა“, „გასმობა“; უღიური: ბელ „მზე“ — ბელსუნ „ყურება“, ბელუნა „უყურა“... „ეკონა“ და სხვა.

დადესტნური ენების „მზის“ აღმნიშვნელი ძირი მოიძიება ძველი ქართულის ბლუარ-ფუძეში („მზიანეთი“, „სამხრეთი“). იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 77-78, მისივე ეტიმოლოგია ძველი ქართული ტერმინებისა „ბლუარი“, „სამხარი“. — იკე, V, 1953.

²⁸ ეომოწმებთ ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ (მასალები) მიხედვით, თბ., 1973.

თანამედროვე ქართულში ცონ- ფუძის ზმნური ფორმები არ დასტურდება; შემოგვრჩა მხოლოდ მიმღეობის ფორმები მცონარი, მცონარე, მცონარა და მისგან ნაწარმოები მცონარება, მცონარეობა, მცონარობა — მნიშვნელობით „ზარმაცი, უქმი, არაფრის გაკეთებელი, მუქთახორა“.

მაშინვე მოჰკვლენ, არ ზოგვენ, რისთვისა ხართო მ ც ო ნ ა რ ი! (ვაჟა); ყველა შენსავით მ ც ო ნ ა რ ა და ბედოვლათი ნუ გგონია (ი. გულის); ჩვენს სოფელში იყო ერთი კაცი მ ც ო ნ ა რ ე და ძილის მოყვარული (რ. გვეტ.); ადვილად გამდიდრებულნი მიეცნენ მ ც ო ნ ა რ ე ბ ა ს ა (აკაკი)...²⁹ ზმნური ფორმა ცონვა ქართულ ენის განმარტებით ლექსიკონში დამოწმებულია საბაზე მითითებით: ცონვა... ძვ. „დაზარება“ (საბა). ცონვა, მცონარ- ფორმები დიალექტურ ლექსიკონებშიც არ არის დამოწმებული. მცონარა მიმღეობური ფორმა ხატოვან გამოთქმებში გვხვდება: „მ ც ო ნ ა რ ა უქმის ძალზე გახელდებაო“; „მ ც ო ნ ა რ ა ადგა, სახლი დაწვიაო“...³⁰ ამგვარად, მცონარ-ფორმა სხვადასხვა დაბოლოებით, ამჟამად, სალიტერატურო ქართულის ფაქტი ჩანს.

ქართ. მცონარ- „ზარმაცი“ მიმღეობის ფორმას უკავშირებენ ჰანურ (ლაზურ) მ-ჩინ-ოჯ-ს, რაც „მაკეს“ ნიშნავს³¹. ჰანური მიძლეობის ფორმიდან იწარმოება ზმნები და ნაზმნარი სახელები: იმჩინოჟენ „დამაკდება“, დიმჩინოჟუ „დამაკდა“... ფონეტიკური თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა, ლაზური ჩინ- კანონზომიერი შესატყვისია ქართული ცონ- ფუძისა (აეტორი ქართულ-ზანურ არქეტიპად ცონ- ფუძეს აღადგენს). ხმოვანთშესატყვისობისათვის ქართ. ცოლ- : ზან. ჩილ-, ქართ. ზომ- : ზან. ზიმ-, ქართ. წონ- : ჰან. (ხოფ) წინ- და სხვ. ქართული მიმღეობის მ- პრეფიქსსა და -არ სუფიქსს (მ-ცონ-არ-) ასევე კანონზომიერად შეესატყვისება ჰანური მ- პრეფიქსი და -ოჯ სუფიქსი (მ-ჩინ-ოჯ), შდრ. ქართ. მ-თხოვ-არ : ზან. მა-თხ-ოჯ... სემანტიკური გადასვლაც ზ ა რ - მ ა ც ი > მ ძ ი მ ე. „ფ ე ხ მ ძ ი მ ე“ მისაღები; შდრ. ჰან. მოკა „მძიმე“, მეგრული ძიმე (ქართ. მძიმე „ფეხმძიმე“. ამ სემანტიკური გადასვლის საბუთიანობას ამაგრებს პარალელები სხვა ენებიდან³².

29 დამოწმებები მოგვყავს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მეხედვით.

30 ზალხური სიბრძნე, ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანები. თბ., 1965.

31 გ. კ ა რ თ ზ ი ა. რამდენიმე საერთო-ქართველური ფუძისათვის ქართულსა და მეგრულ-ლაზურში. II, აქარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, 198რ, გვ. 11-13.

32 გ. კ ა რ თ ზ ი ა, დასახ. წერილი, გვ. 12-13.

ქართული მ-ცონ-არ მიმღეობის შესატყვისი ქანური მ-ჩინ-ოჯ-ი „მაკე“ თავისთავად გულისხმობს ამოსავალი ზმნური ფუძის რეალურობას და მოძიებას ზანურში. ხოლო ის სემანტიკური დაცილება, რაც ქართული და ქანური მიმღეობის მნიშვნელობებს შორის გვაქვს (ზ ა რ მ ა ც ი — მ ა კ ე), გვაფიქრებინებს სავარაუდო ზმნური ფუძის სემანტიკურ სხვაობას ქართულთან მიმართებით.

ქართული ცონ- ფუძის ფარდად გვესახება მეგრული ჩუნ-აფ-ა, ი. ყიფშიძის განმარტებით: შუშება, печь, сушить, ვოჩუნ-უხანქ, აორ. დგოჩუნეე; ვჩუნდგქ „сушусь“, აორ. ვჩუნდი; ჩუნაფირი „высушенные“, უჩუნაფუ „невысушенный, недопеченный“³³; ჩუნაფა „მოშუშვა“, ჩუნაფილი ღუმი „მოშუშული ღომი“, გალატ. ჩუნაფილი კოჩი „უფერული, ფერმკრთალი კაცი“ (მ. ციკოლია)³⁴.

ქართ. ო-ს მეგრულ-ქანურში ო, უ/ი ხმოვნები შეესაბამება: ქართ. ცხოვნება : მეგრ. ჩხონაფა, ქართ. ცოცვა : მეგრ. ჩოჩუა, ქართ. ქორი : ქან. ქური/მჭირი, მეგრ. ქირი...

ქართ. ცონ-ვა : მეგრ. ჩუნ-აფ-ა (ქან. ჩინ-) ო : უ/ი ხმოვანთფარდობის კიდევ ერთი ნიმუში იქნება.

რადგან ო ხმოვნის შემცველი საერთოქართველური ლექსიკური ერთეულების რაოდენობა მცირეა³⁵, ამიტომ დანამდვილებით ჭირს. თქმა, მეგრ. ჩუნ- ფუძის უ ხმოვანი ზანური ი-ს რეფლექსია (ე. ო. ჩუნ- < *ჩონ-)³⁶, თუ ქართული ო-ს პირდაპირი შესატყვისა (საკითხი შეიძლება ამგვარადაც დადგეს)³⁷.

საკმაოდ რთულია დასაკავშირებელი ქართულ-მეგრული ფუძეების სემანტიკური სხვაობის საკითხი — ქართ. ცონ-ვა „სიზარმაე...“ : მეგრ. ჩუნ-აფ-ა „მოშუშვა, გაშრობა...“

ძველსა და მომდევნო ქართულში ცონ- ფუძიდან ნაწარმოებ ფორმებს „სიზარმაცის“ პარალელურად, მნიშვნელობის სხვა ნიუანსებიც ახლავს. ილ. აბულაძე მცონარ- ფორმის განმარტებისას „ზარ-

33. Княпшидзе И. Грамматика мингрельского (шверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб, 1914.

34 ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეგრულის სალექსიკონო ფონი.

35 „ისეთი ო ხმოვნის შემცველი ძირების რაოდენობა, რომელზეც ყველა ქართველურ ენაში მეორდებოდეს და მეტი ან ნაკლები აღმათობით საერთო ქართველური წარმოშობისა იყოს, მცირეა“ — იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაკავეარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

36 ამ თვალსაზრისით საყურადღებოა იმერული ლაჩონდარა//ლაჩანჯარა „სუსტი, განუვითარებელი, ჩამორჩენილი, დაბეჩავეული“ — იხ. მასალევი იმერული ლექსიკონისათვის, II, ქესს, IV.

37 „რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ ს.-ქართვ. /ო/ ფონემა ზანურში უშუალოდ უ ფონემაში გადავიდა (უფრო გვიან უ > ი) /ო/ საფეხურის გავლის გარეშე“ — იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაკავეარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 337.

მაისი“ გვერდით „გაუბედავს“ ასახელებს. შემთხვევითი არ არის რომ საბა მცონარობას განიხილავს, როგორც შიშის ერთ-ერთ სახეს. ცონ-ა ბევრ შემთხვევაში დაყოვნების, უმოქმედობის, გაუბედაობის. უღონობის, უსიცოცხლობისა და ამ რიგის სხვა მნიშვნელობათა ძნელად მოსახელთებელ ნიუანსებს გამოხატავს:

ვინაჲვე უკუშ მებრ ამით ნაწილთა სული მომღოვრდეს, ვინათუ წუთთა მცონარ იქმნეს, განიხრწნების ცხოველი (ბუნ. კაც. 121,6). — ამ კონტექსტში (სული) „მომღოვრდეს“ და „მცონარ იქმნეს“ სინონიმური მნიშვნელობისა ჩანს.

მძიმე არიან იგინი სასმენელითა და მცონარ თუალითა, რამეთუ ხედვენ იგინი წყალთა შინა და არა აქუს ქსენება და არცა უცნება, და არცა მეცნიერება მოყუასთა თუსთაჲ (ექუსთა /IX/, 107,32). „მცონარ თუალითა“ — ამ სინტაგმის სემანტიკის განხილვისათვის ძარჯვე ჩანს კომპოზიტი „თვალდამდგარი“ (ქეგლის მიხედვით: თვალდამდგარი... ვისაც თვალი დაუდგა, — თვალდავსებული, დაბრმავებული...).

განსუენებაჲ კორტაჲ ნიადაგი აღსძრავს სიცონილსა და მოატყუებს დაქსნილობას (კაც. აგებ. 169,10);

მცონარეთა უმუელინ და მოწყინეთა შეეწვიენ (მ. სწ. 131,4)³⁸;

მოწყვეთ და ნუ გადრკებით, ნუ შექნილვართ მცონარები (ღღმ. 131,4);

ომში უნდა იყოს... მაშაი არა მცონარე (კაღმ. 1,207,13);

ეს არ კორია, სწორია, რაც სიტყვა გიხზარ ორია,

ჴედ არა-წმიდათ [მ]ცონარი თქმელა, კამბეჩის სკორია;

უქმალ ბეერისა მჴამელი გაუმძლარი ღორია,

ყურ-მძიმე, ლაფში დაფლელი, ზანტი, უღონო ჴორია,

თუ ჩაწეა, ძნელად ადგების, თავშიც რომ სვემო ტორია (გურ. 117,375, 1-5);

ძალ-მოკლებულ არს მცონარი, ვითა მღინარე მღორია (გურ. 375,8);

ხორცს ვესათნოე მცონარებითა,

სულს კი არ გავუევ უკან რებითა (გურ. 255,288);

შენ ეს (სულის განდიღება და ხორცის დამკრობა — მ. ს.) არა ჴვენ

მცონარებითა,

თავი მოლაღე ცუდად რებითა;

შენ გამოუღეჴ ხორცის გემოსა,

ტანთ განიყარკეე, რაც რომ გემოსა (გურ. 309,22).

მცონარ- ფუძის მნიშვნელობის განსხვავებული ნიუანსა ჩანს თემატურად კლასიფიცირებულ ხატოვან გამოთქმებში:

„მცონარა ადგა და ველარ დაჯღაო“. შღრ.:

38 საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ჴართულა ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდი.

ბ ლ ა ნ ტ ე მ ფეხი ასწია, ფეხზე ვერ დადგაო, დადგა და ვე-
ლარ დაქდაო³⁹, იხ. ქეგლ : ბლანტე... 1. დამდგარი, თბილი, მლაშე ჭაო-
ბის გამონაჟონი წყალი... 2. მძიმე, ზანტი, ზარმაცი...

ცონ- ფუძის მნიშვნელობის განსხვავებული ნიუანსები (სიზარ-
მაცე, გაუბედაობა, შეყოვნება, უმოქმედობა, უსიცოცხლობა...) სავა-
რაულო სემანტიკური გადასვლის ალბათობას უფრო სარწმუნოა
ხდის.

მცონარი და გამხმარი//გამშრალი//მომუშუღი სინონიმაა ერთი
რიგის, ან, როგორც ბ. ფოჩხუამ უწოდა სინონიმთა ამ ტიპის მიმდევ-
რობას, ერთი პარადიგმატული ჯაჭვის მონაცეღე სიტყვებად წარმო-
გვიღდება. ეს ურთიერთობა შემდგეს გულისხმობს: რომელიღე განსა-
მარტავი სიტყვის ამხსნელი სიტყვები ერთმანეთთან სინონიჟურ ურ-
თიერთობაში არიან. ამასთან ამხსნელი სიტყვები თავისთავად შეიძ-
ლება მონაწილეობდნენ სხვა სიტყვების განმარტებაში, ე. ი. რამდენ-
ნიღე სინონიჟურ ჯგუფში შედიოღნენ. სხვადასხვა ჯგუფში შემავალი
ამხსნელი სიტყვების მეშვეობით შეიძლება წარმოჩნდეს გარკვეული
სემანტიკური კავშირი ორ განსამარტავ სიტყვას შორის. „ქართული
ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით:

მცონარ-ი... ზ ა რ მ ა ც ი, უქმი...

ზარმაც-ი... ზ ა ნ ტ ი, უქნარა...

ზანტ-ი... ზარმაცი, ნელი, მძიმე, აუჩქარებელი... (შდრ. დონ-
დლო).

დონდლო, დონდღე... დ უ ნ ე, მოშეებული, ზანტი, არამტკიცე,
უფხო...

დუნე... მოშეებული, დაუჭიმავეი, ფომფღე, ბოში // უ ს ი ც ო ხ ც-
ლო, ს უ ს ტ ი...

სუსტი... 1. უღონო...//არაჯანმრთელი, სნეული, ავადმყოფი...
3. თხელი (აგებუღებისა), გ ა მ ხ დ ა რ ი, მ ჳ ლ ე...

მჳღე... -. სიმსუქნეს მოკლებული (ხორცი), 2. გ ა მ ხ დ ა რ ი
(ადამიანი, ცხოვეღი...). ჯავახიშვიღს გამალექსეს,... პირად
მჳღესა, ტანად ხმელსა (დ. გურამ.).

გამხდარი-ი, ხმელ- ფუძის განსამარტავი ერთ-ერთი მნიშვნეღობა-
ცაა, იხ. ხმელ-ი... 1. მ შ რ ა ლ ი, გამხმარი//არარბიღი, მაგარი//არა
ნეღღი, სიცოცხღეს მოკლებული (მცენარე). ხ მ ე ლ წიფღეს წასე-
ღღია სიცოცხღის ნიშანწყალი (ვავა). ქმნა მართღისა სამართღისა ხესა
შეიქს ხ მ ე ლ ს ა ნეღღად (რუსთავეღი). 2. საუბ. გამხდარი, მჳღე
ადამიანი...

³⁹ ხალხური სიბრძნე, V. ანღახები, მახეღისტიყვაობა, გამოცანება, 1965,
გვ. 130.

მშრალი... 2. გადატ. უ ს ი ც ო ც ლ ო, გამოფიტული...

„გახმობის“ მნიშვნელობას შეიცავს მოშუშვა ზმნა. იხ. მოშუშავ-ბ...

1. მცირედ მოწვავს ცხიმში (ხახვს, ხორცს, ფქვილს)... 2. მოხალავს, დახალავს...//გახმობს, გადახრუკავს, გადაწვავს... მკათათვის ცხელში ამინდმა მთლად მოშუშა და გააფუჭა ყანები (ა. ჯორჯ.)... მოშუშული-ი... გადამხმარი (სიციხისა ან სიცივისაგან). შემოდგომის სუსხისაგან მოშუშულ მდელოს ველარ ახარებდა მზის სხივი (ე. ბარნ.).

ჩვენ მიერ წარმოდგენილ სინონიმურ სიტყვათა ჯგუფებიდან ამოკრეფილი ამხსნელი სიტყვები ასეთ მწკრივს ქმნის: მცონარი — ზარმაცი — ზანტი — დონდლო — დუნე — სუსტი (უსიცოცხლო — მქლე — გამხდარი — ხმელი) სიცოცხლესმოკლებული — გამხმარი (მოშუშული — მშრალი) უსიცოცხლო.

ეს მწკრივი რალაცნაირად წარმოგვიდგენს სემანტიკურ ურთიერთობას სინონიმურ ერთეულებს შორის და, რადგან ეს ურთიერთობა აშკარაა, ამიტომაც დასაშვებია ჩანს სემანტიკური გადასვლები ამ რიგის ფარგლებში.

უსიცოცხლო, სიცოცხლეს მოკლებული არის ის საერთო მნიშვნელობა, რაც ქართ. ცონ- „სიზარმაცე...“ და მეგრ. ჩუფ- „გაშრობა, გახმობა“ ფუძეთა მნიშვნელობებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ამ სახის სემანტიკური ცვლილებანი სხვა ენებშიც დასტურდება. მაგ.: გერმანულში ზედსართავი სახელი faul ნაყოფის, 'შეშის მსაზღვრელად ხმარებისას ნიშნავს „დამპალს“, ხორცისა და კვერცხის მსაზღვრელად — „მძალეს, აშმორებულს“, ადამიანის მისამართით ხმარებული კი — „ზარმაცს, უსაქმოს, მცონარეს“, faulwerden ნიშნავს „გაზარმაცებას“ და „გაფუჭებას“, faulen „ლბობას“, faulenzeu „ზარმაცობას, უსაქმობას“ და ა. შ.⁴⁰

გასარკვევი რჩება მეგრ. „ჩუნ- „გაშრობა, გახმობა“ და ჭან. ჩინ-ფუძის (მჩინოჯ- „მაკე“) სემანტიკათა მიმართების საკითხი.

«გა-მშრალი-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა, დამოწმებული ქეგლის მხედვით, ჭან. ჩინ- (მჩინოჯ- „მაკე“) ფუძის ამოსავალ სემანტიკას მიგვანიშნებს: გამშრალი-ი... 2. რასაც რძე გამოლეული აქვს, არა მეწველი ძროხა.

მშრალი არამეწველ პირუტყვს ჰქვია დიალექტებში, როგორც ძროხას, ასევე ცხვარსაც: მშრალი — მაგ., მშრალი ცხვარი არამეწველი, როგორც მამალი, ისე დედალი ცხვარი, ქედილობა, ყო-

⁴⁰ Deutsch-russisches Wörterbuch, von Edmund Daum und Werner Schonk, 1962.

ჩობა, ბერწობა და მისთანანი... მშრალი ძროხა არამეწველი, როგორც ხარი, ისე ბერწი ფური... (ქიზიყ.).

საქონელი წველას უკლებს, მშრალი ხდება მაშინ, როცა ის მაკედ არის. შდრ. „ფურმა შეიძლება იყეთილოს, მაგრამ არ დამაკედს. თუ ძროხამ მზის მობრუნების შემდეგ („მზექცევიდე“) წველას უკლო, მაკედ ითვლება, ხოლო თუ უმატა, ბერწად“⁴¹.

„ქარგი ფური „პირიპირ“ მეწველია (ხეეს., ფშ.) „ქელს გაიყოლიებს“ — არ გაშრება ხბოს მოგებად; ხსენი რომ ჩაპოიწველება, მხოლოდ მაშინ ანებებენ-თავს. ჩვეულებრივ ფური ღვინობის თვეში „შრება“, ზოგი კი გიორგობის (ნოემბ.) თვემდე იწველება. გაშრობის წინ ძროხა „იწკინტების“ (ხეეს., ალ. ქინჭ.). იცქინტება, ვაცალჭირდება (ფშ)...⁴²

ვფიქრობთ, რომ სემანტიკური ცვლილების ამგვარი გზა მშრალი (არამეწველი) > მაკე უფრო რეალურად ასახავს საქმის ვითარებას.

შემაჯავებელი განმარტება

ა. ლლონტი — ა. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

გურ. — დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1980.

მ. ცხ. — შამათა ცხორებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოქვეყნდა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1975.

პანტ. ჩხიკვ. — პანტელეიმონ ჩხიკვაძე, თხზულებანი, ტფ., 1938.

პატ. — შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, ქართული პატრიის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანა, XI საუკუნის ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1966. II. ანბანურ-ანონიმური პატერაკები, თბ., 1974, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. დვალმა.

ქილ. — ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეცხრისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, თბ., 1975.

М. С. СУХИШВИЛИ

ИЗ КАРТВЕЛЬСКОЙ ЛЕКСИКИ

Резюме

В статье дана попытка увязать: 1. груз. ღობა ჟგოთა „увядание“ с занской ღურა ჟგ-ა „смерть“, 2. груз. ცონ-ვა სოპ-ვა „лень“ и мегрельское ჩუნ-აფ-ა ჟიპ-არ-ა „печь, сушить“.

41 მ. შაკალათია, შესაქონლობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1985, გვ. 26.

42 იგივე, გვ. 25.

ბ. ზაზაშვილი

ზოგი სვანური რელიგიური ტერმინის წარმოშობისათვის

სვანურ სარწმუნოებრივ წესჩვეულებათა შესწავლისას ვერა ბარა დაველიძე აღნიშნავდა: „ხალხურ დღეობებში მოცემული კულტი წარმოადგენს ჯამს ანუ ნაერთს, ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურების რწმენისა და სარწმუნოებრივი წესებისას, რომლებმაც ისტორიის მანძილზე მრავალგვარი ცვლილება განიცადეს... ამა თუ იმ დღეობის ზოგი წესჩვეულება სრულიად წაიშალა, ზოგმა ისე ძირფესვიანად იცვალა სახე და შინაარსი, რომ მისი პირველადი რაობის მიკვლევა დღეს თითქმის შეუძლებელია, ზოგი შემოინახა ჩვენამდე გაქვავებული ფრაგმენტის თუ რელიქტის სახით, ზოგიც წარმართული რელიგიის სახეცვლილ, მაგრამ საკმაოდ ცხოველ და ნათელ გადმონაშთს წარმოადგენს“¹.

საწესჩვეულებო რიტუალებისა და დღეობების სიმრავლე თავისთავად აისახა ენაში და განაპირობა სვანური რელიგიური ლექსიკის სიმდიდრე. ამ ტერმინთა ენობრივი ანალიზი ხშირ შემთხვევაში გააადვილებს ამა თუ იმ კულტის საწყისების მიკვლევას და ნათელს მოჰყვანს ზოგი რელიგიური ტერმინის განვითარების ისტორიას.

ზოგმა სვანურმა რელიგიურმა ტერმინმა ადრევე მიიქცია მეცნიერთა ყურადღება და საგანგებო კვლევის საგანიც გახდა².

¹ ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალწლის ციკლი, 1939, გვ. VIII.

² М а р р Н. О религиозных верованиях абхазов. — ХВ, IV, 1915, с. 136; А с а е в В. И. Происхождение древнерусского хорс и сванского 3გაგ3 «св. Георгий». — Осетинский язык и фольклор. М.—Л., 1949, 595; ავ. შ ა ნ ი ძ ე, ბერძნული სიტყვა აეზბატის ფორმით სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1, 1957, გვ. 320; ავ. შ ა ნ ი ძ ე, სვანური კულტის ტერმინი ჯგერაგ.—„მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 2, გვ. 115; ა. ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი, წინდა გიორგის ქართული კულტის საკითხისათვის.—საენათმეცნიერო კრებული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1979, გვ. 146.

სვანურ რელიგიურ ლექსიკაში ღმერთების, წმინდანთა, ეკლესია-სალოცაეების, საკულტო დღეობების და რიტუალების სახელწოდებებში, ბერძნული (საერთოქრისტიანული) სახელების გარდა, შეიძლება გამოვყოთ საერთო ქართველური, საკუთრივ სვანური და ზანურ-ქართულიდან ნასესხები მასალა.

ე. წ. საერთოქრისტიანულ ტერმინთა ერთ ნაწილს სვანურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები განუცდია, თუმცა, შესაბამის ქართულ ტერმინებს სემანტიკურად მთლიანად ემთხვევა. განვიხილავთ ზოგ მათგანს:

1. ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას სვანურში ლა-თ-რ-ი, ლი-თ-რ-ური, ლი-თ-რ-ი-ელ (ბზ., ლშხ.), ლი-თ-რ-ი-// //ლი-თ-ვ-რ-ი (ლნტ.) ჰქვია. შდრ. ლი-ტ-ბ-ლ-ი (ბზ.), ლი-ტ-ბ-ლ-ი-ელ (ლნტ.) „ტაბლობა“ (იგულისხმება უფლის ტაბლობა). გამოიყოფა ლი-ი; ლი-ი-ელ; ლი-ური აფიქსები. ფუძეა თოდრ-. ხმოვნის სიგრძე, გრძელხმოვნიან დიალექტებში (თოდრ), ორი ხმოვნის შერწყმის შედეგია. შდრ. ქართ. თევდორე, თოდორე შდრ. აგრეთვე ბერძ. (Θεόδωρος). როგორც ცნობილია, სვანურში ორი ხმოვნის თავმოყრა ხშირად ერთ გრძელ ხმოვანს გვაძლევს. შდრ. სიშაქ ბზ.; ლშხ. < ლნტ. სიაშაქ „ქალიშვილი“, ქვერ ბზ.; ლშხ. < ლნტ. ქვერ „ცივი“ და სხვა. აქვე აღსანიშნავია, რომ სვანურში საკუთარ სახელად გავრცელებულია თედორე, თევდორე, თოდორე ვარიანტები.

2. ქართულ პეტრე-პავლობას სვანურში პერპოლდაშ, პარპოლდაშ (ბზ.) პარპოლაშ/პერპოლაშ (ბქ.), პერპოლდაშ (ლშხ.), პერპოლდაშ (ლნტ.) ჰქვია.

ამ კომპოზიციის ბალსზემოური ფორმა შეიძლება ასე დავშალოთ: პერ-პ-ოლდ-აშ. პეტრე-დან მივიღეთ პერ//პარ, ხოლო პავლე საკუთარი სახელიდან მხოლოდ -პ- შემოგვჩნა. როგორც ჩანს, პავლე ხმოვანფუძიან სახელს დაერთო კნინობითობის -ოლდ სუფიქსი (შდრ. დინოლ < *დინა + ოლდ „გოგონა“; მაროლდ < *მარე + ოლდ „კაცუნა“, „პატარა კაცი“ შდრ. ლნტ. მაროლდ) და სუფიქსისეული სმოვანი დაგრძელდა³. სამეცნიერო ლიტერატურაში -ლდ (წინამძველი ხმოვანთურთ) კნინობითობის სუფიქსის პირვანდელ სახედ არის მიჩნეული, რომლის გამარტივებითაც მიღებულია, ერთი მხრივ, -ლ თანხმოვანი,

³ აღსანიშნავია, რომ სვანური ენის ლაშხურ დიალექტში კნინობითობის სუფიქსისეული ხმოვანი, როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან სახელებთან გრძელა. ბალსზემოურ პოზიციებს განარჩევს: ხმოვანფუძიანებთან სუფიქსისეული ხმოვანი გრძელა, თანხმოვანფუძიანებთან — მოკლე. ვთქვით, ბალსზემოურში ამოსავალი ვითარებაა დატული, თუმცა გარკვეული აღრევა აქაც შეინიშნება.

მეორე მხრივ კი -დ თანხმობენიანი ვარიანტები⁴ (შდრ. ბჭ. პპრ-პ-ოლ-აშ// //პერ-პ-ოლ-აშ) ფუძისეულ და კნინობითის სუფიქსისეულ ხმოვანთა შერწყმით მივიღეთ გრძელი ო<ე+ო (პავლე+ოლდ) შდრ. ლენტეხურში დადასტურებული პავლე სახელის კნინობითი ფორმა პავლოდ// //პავლოდდ. როგორც ჩანს, სწორედ პავლოდ (<პავლეოლდ) ფორმიდან მივიღეთ კომპოზიტის მეორე ნაწილად შემორჩენილი პ+ოლდ.-აშ/-აშ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია. ეს ტერმინი გაქვევებული გენეტივის ფორმაა. პერპოლდაშ-ის ზედმიწევნითი თარგმანი იქნება „პეტრეპავლობის-ა“.

3. სვანური ურწყვ — მარხვა მგლოვიარობის გამო. ლი-ურწყვ-ე/ი — მიცვალებულის სულისათვის ხორცეულისა და რძის პროდუქტების ჭამის აღკვეთა, მარხვა (მიცვალებულის სახელზე). შდრ. ძვ. ქართული „ურწყო — სუფთა, წყალშეურველი: მიიღე სასუმელი ესე ღვინისა ურწყოაჲსა კელისაგან ჩემისა“⁵. და-ურწყვება ყველიერი (საბა). ასევე განმარტავს დაურწყებას დავით ჩუბინაშვილი. წართული ენის განმარტებით ლექსიკონში: „დაურწყება — ძვ. რელიგ. მარხვისა დაწყების წინა დღე, როდესაც უკანასკნელად შეიძლებოდა სახსნილოს (ხორცის, თევზის, ყველის...) ჭამა“. „დაურწყება — (რატ.) მარხვის დაწყების წინა დღე, როდესაც სახსნილოს ჭამა შეიძლებოდა, თუ ორშაბათს მარხვა იწყებოდა, კვირას დაურწყება იყო (დალაქტ. 693). პირურწყობა — (რატ.) მარხვა, როდესაც შესთხოვდნენ ბატონებს აეცდინათ სახადი — ყვავილი (შ. ძიძიგ. 211). შდრ. მეგრ. წყორუა — „შერევა, განელება“, წყორუნს — „ანელბს“, „შეურევეს“. ხოლო ურწყვ — „შეურეველი, შეუნელებელი, სუფთა“.

ქართულში ურწყო ფუძეს უკავშირდება აგრეთვე: საურწყო — რძე, ერბო, ყველი და მისთანანი (საბა); საურწყო, -ვო — რძე, ერბო, კვერცხი და მისთანანი, საყველიერო (დავით ჩუბინაშვილი); სა-ურწყო — ძვ. რელიგ. ყველიერში ნებადართული საკმელი: რძე, ერბო, ყველი, კვერცხი (ქგლ.). შდრ. სვანური საურწყვ (რომელიც სემანტიკურად მთლიანად არ ემთხვევა ქართულ საურწყოს) — „სამარხვო, სამგლოვიარო საკმელი (მხოლოდ მცენარეული საკმელი)“.

ძველი ქართულის ურწყოს — „სუფთა, წყალშეურველი“ — სემანტიკაა ამოსავალი სვანური ურწყვ და მისგან ნაწარმოები ზმნური ფორმებისათვის. ი-ურწყვ-ე — „მარხულობს“; ნა-ურწყვ-ე „ნამარხულევი“; მურწყვ-ე — „ის, ვინც მარხულობს“.

⁴ ზ. ჭუშბურაძე, კნინობითი სახელები სვანურში. — თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, 1977, გვ. 249.

⁵ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბ., 1973.

ქართული ურწყო (> სევანური ურწყე) ფუძე დაუმკვიდრებია სევანურს ერთ-ერთი მარხვის, კერძოდ, მიცვალებულის სულისათვის ხორცეულის და, საერთოდ, სახსნილოს ჭამის ალკეთის აღსანიშნავად.

4. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი უცხო წარმოშობის ტერმინის შესახებ სევანურში. მთელ სევანურში გავრცელებულია მონათელის აღმნიშვნელ ტერმინად ლი-პრისტ-ე „მონათელა“, ა-პრისტ-ე „ნათლავს“, გადატანით „კქუას არიგებს“, „კქუაზე მოჰყავს“, ახო-პრისტ-ა „მოუნათლავს“; მგ-პრისტ-ე — „მომნათლავი“. უ-პრისტ-ა „მოუნათლავი“, „ებრაელი“ და სხვა. ყველა ამ სიტყვებში გამოიყოფა პრისტ-ფუძე. როგორც ვიცით, ეს ფუძე სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება. მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „სევანურ ენაში საკმაოდ მოიპოვება ბერძნულიდან ნასესხებო სიტყვები, რომელთაგანაც ზოგი (უმცირესი ნაწილი) უმეშვეოდ უნდა მოპოვანარეობდეს ბერძნულიდან“⁶. პრისტ- ფუძე შეიძლება დაუკავშიროთ ბერძნულ სიტყვას πρῆσταις — „მეთაურობა, ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა, ზრუნვა, დაცვა...“ საყურადღებოა აგრეთვე გერმანულ ენაში არსებული Prister — მღვდელი; ქურუმი და ინგლისური priest — [prist] — 1. მღვდელი, ეკლესიის მსახური, 2. ქურუმი. აშკარაა სევანური პრისტ- ფუძის ამ ენებში არსებულ ფუძეებთან კავშირი. თვით პრისტ- ფუძის სევანური სემანტიკაც წარს უქერს ამ ვარაუდს. მონათელა, ნათლობა, სწორედ მღვდლის (სევან. ბაპ) მოვალეობაა.

სევანურ რელიგიურ ლექსიკაში, როგორც ზემოთ ითქვა, გვაქვს ისეთი ტერმინებიც, რომლებიც საკუთრივ სევანურად უნდა იქნეს მიჩნეული.

5. ხაწკვენალ. სოფელ ფაყში ლამარიას სახელობის ეკლესიაში აღდგომიდან ექვსი კვირის შემდეგ იმართებოდა რელიგიური დღესასწაული ხაწკვენალ. ამ დღესასწაულის ძირითადი რიტუალი იყო ეკლესიიდან ხატის გამოსვენება, გამობრძანება, ანუ სევანურად ხატი ლისკვჯინე: ხატს ახვასკვეჩნოლდ ლაქვამხენქა ი ეჩის ხეკჯრალდად — „სალოცავიდან ხატს გამოვასვენებდით და იმას ვევედრებოდათ“.

ლენტეხურ ხაწკვენალს მნიშვნელობით ემთხვევა სხვა დიალექტების ხატი ლისკვჯინალ ბზ., ხატი ლისკვჯინე ლზს. „ხატის გამოსვენება, გამობრძანება“, რომელიც სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულის ერთ-ერთი შემადგენელი და აუცილებელი რიტუალი იყო. რომელიც, როგორც ირკვევა, ლენტეხურ და ჩოლურულ დიალექტებში თვით დღეობის სახელწოდებად ქცეულა. ჩოლურულში გვაქვს ამ

⁶ აკ. შანიძე, ბერძნული სიტყვა აუზბატივის ფორმით სევანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1, 1957, ზგ. 320.

ტერმინის ხატსკვეჩნალ ფორმა, ხოლო სოფლებში საყდარსა და დგ-
რაში ხაწკვეჩნალ. ამოსავალი ფორმა ბალსზემოურში არსებული ხა-
ტიში ლისკვიჩნალ. ლაშხურ დიალექტში გავრცელებულია ხატი ლი-
კვიჩნალ. ჩოლურულში კი დაკარგულია, როგორც ნათესაობითი
ბრუნვის ნიშანი, ისე მასდარის ლი- პრეფიქსი და ქვეულია კოპპო-
ზიტად, რამაც განაპირობა ტ-ხშულისა და ს-ნაპრალოვანის ერთად
მოხვედრა. „ხშულისა და ნაპრალოვანი თანხმოვნის შეერთებას შე-
უძლია მოგვეცეს აფრიკატი (ათსამეტი > ცამეტი)“⁷. შდრ. სვა-
ნური ჯადეს, ჯადეს > ბზ. ჯადეს||ჯაჲ „გქონდეს“. ასევე ჩოლურულ
ხატსკვეჩნალ ფორმიდან მივიღეთ, იგივე ჩოლურულში დადასტურებუ-
ლი ხაწკვეჩნალ. ხოლო ლენტეხურში ფონეტიკური ცვლილება უფ-
რო შორს წასულა, ჯ-ც დაიკარგა და ხაწკვეჩნალ ფორმა დამკვიდრდა.

ამრიგად, ზს. ხატიშ ლისკვიჩნალ > ლშხ. ხატი ლისკვიჩნალ ჩო-
ლურ. ხატსკვეჩნალ/ხაწკვეჩნალ > ლტ. ხაწკვეჩნალ.

5. ლწრის რელიგიური დღესასწაულია, რომელიც იანვარში ან
თებერვლის პირველ ნახევარში იმართებოდა ლაშხეთის უკმში, მა-
შენა ფუსნაბუას დიას „სამყაროს ბატონის, მაჰალპურთის“
სახელზე აგებულ ეკლესიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ სალოცავ მაშე-
ნა-ს ძირითადი დღესასწაული სწორედ ლწრის იყო და გამოჩნეულა-
დაც აღინიშნებოდა. ამ დღეობას იხდიდა ლაღე მეღას სახელით
ცნობილი სოფლები (ჩინარეში. ლაშხარაში და ახალშენი). ლწრის
დღეს, ხალხის თქმით, მაშენა (უზუნაესი), ფუსნაბუას დია
(სამყაროს ბატონი) მოუწოდებდა, ეძახდა ხალხს სალოცავად. ვფიქ-
რობთ. ხალხურ ეტიმოლოგიას მხარს უჭერს თვით ამ დღესასწაულის
სახელწოდება. ლწ-რ-ი მასდარული წარმოების სიტყვაა, სადაც გამო-
იყოფა -რ- ძირი, რომელიც უკავშირდება ზემოსვანურ ჰერ, ქვემო-
სვანურ ერ//აერ — „ხმა“ სიტყვას. შდრ. მისგან ნაწარმოები ზს. ლი-
ჰერ-ალ; ლტ. ლი-ერ-ალ — „ხმიანობა, ძახილი“. შდრ. ლტ. ან-აერ-
ე — „მოუხმო, დაუძახა“. ჰერ (ზს.) „ხმა“ აქედან ლი-ჰრი (ბქ.) > ლწ-
ჰრი (ლშხ.) „მიხმობა, თხოვნა“ ერთმანეთს დაუკავშირა მაქსიმე ქალ-
დანმა⁸.

ლწრის დღესასწაულის სახელწოდებაში ა აღარ იმის. პრეფიქ-
სული ხმოვნის სიგრძე დაკარგული ჰე (<ჰერ) კომპონენტის კომპენ-
საციაა. შდრ. ზს. ჰასუშ „ასული, ქალიშვილი“ და ლშხ. ლან-ასუშა
„ქალიშვილები, ასულები“.

⁷ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, 1956, გვ. 98.

⁸ მ. ქალდანი, მ-ტას გენეზისისათვის სვანურში — ქარაველურ ენათა
სტრუქტურის საკითხები, 1959, გვ. 94.

ПРОИСХОЖДЕНИЕ НЕКОТОРЫХ РЕЛИГИОЗНЫХ
ТЕРМИНОВ В СВАНСКОМ

Резюме

В статье выявлено происхождение и этимология некоторых религиозных терминов сванского языка:

1. ლი-თბღრ-ი li-tḡdr-i „Феодорова суббота“.
2. პერ-პ-ბღღ-აჰ per-p-ḡḡd-äḡ „Праздник Петра-Павла“
3. ურწყულ (ლი-ურწყვე-ე) urçqul (li-urçqw-e) „поститься“.
4. ლი-პრისტ-ე li-prist-e „крещение“.
5. ლი-რ-ი lî-r-i „позвать, вызвать“.
6. ხაჭკენაი (←ხატი ლისკკინე) xäçkwenäi (←xäti lisçkine) „вынос иконы (крестный ход)“.

ბატკან- და მწეპარ- ფუძეთა ისტორიისათვის*

ამა თუ იმ ენის ლექსიკის ისტორიის კვლევისას სხვა ენის მონაცემებსაც აქვს მნიშვნელობა. მსესხებელმა ენამ ზოგჯერ სიტყვის ისეთი ფორმაც შეიძლება შემოინახოს, რომელიც გამსესხებელ ენას აღარ მოეპოვება და თეორიულადღა თუ არის დასაშვები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა აფხაზური ენის მონაცემები ზოგი ქართულ-ქართველური ფუძის ისტორიის დასადგენად.

აფხაზურსა და ქართველურ ენებს ძველთაგანვე ჰქონდათ მკიდრო ურთიერთობა, რაც უპირველეს ყოვლისა ლექსიკის ურთიერთსესხებითაც გამოიხატება. თეორიულად მოსალოდნელია, რომ აფხაზურ ენას შემოენახა ზოგი ქართველური ფუძის ისეთი არქაული ფორმა, რომელიც დღეს აღარ დასტურდება არც ერთ ქართველურ ენაში. ასეთ შემთხვევაში აფხაზური ენის მონაცემებს გარკვეული მნიშვნელობა ექნება ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვისაც, რადგან ქართული ლექსიკის დიდი ნაწილი აფხაზურს ნასესხებო აქვს ზეპირი გზით უშუალოდ ქართული ენის დასავლური კილოებიდან. ამ გზით ნასესხები ფუძეები აფხაზურში გამოუვლენიათ პ. ჭარაიას, ნ. მარს, ქ. ლომთათიძეს და სხვა მკვლევრებს.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ქართული ენის დასავლურ კილოთაგან აფხაზურში ნასესხებ ორ ფუძეს, რომლებიც აფხაზურში უფრო არქაული ფორმით არიან წარმოდგენილი, ვიდრე თვით ქართულსა და მის დიალექტებში.

1. ივ. ჯავახიშვილი ქართული ბატკან- ფუძის თიკან-, ციკან-, ბატკ-, ბატია, ბატ-, ტიკან- ფუძეებთან შედარებისას დაასკენიდა, რომ ბატკან- ფუძეში გამოსაყოფია გრამატიკული კლასის ბა- პრეფიქსი,

* წაითხულია მოხსენებად ქ. სოხუმში 1986 წლის 25 სექტემბერს VIII რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის შედგენის პრინციპებსა და დიალექტოლოგიასა და ენის ისტორიის ზოგად საკითხებს. იხ. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1986, გვ. 14.

ზოლო ძირი არის - ტიკ-! არნ. ჩიქობავა იმავე ფუძის განსილვისას აღნიშნავდა: „ბატკანი, როგორც ეს ივ. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა გა- არკვია, შემდგარია ბა-თიკან-ისაგან. ბა-ს დართვისას ფუძე შეიკუმშა (ი-ს რედუქცია!) და მივიღეთ ბა-თყ-ან-ი: -თყ- კომპლექსი, როგორც უჩვეულო ქართულისათვის, შეიცვალა -ტყ- კომპლექსით. სხვაგვარად ეს პროცესი არ წარმოიღვინება, რამდენადაც ცხადია, რომ თიკან-→ →ტიკან- (და არა პირუქუ!)“². იგივე თვალსაზრისი ავტორს გამეორე- ბული აქვს სხვაგანაც³.

ე. ლომთაძის ვარაუდით ბატკან- ფუძეში გამოსაყოფია კ ძირი. ამ ვარაუდამდე მიჰყავს ავტორი ქართული მასალის შედარებას ახ- ლომონათესავე დაღესტნის ენათა მასალასთან. ამრიგად ე. ლომთაძის აზრით ბატკან- — *ბა-თიკ-ან- — *ბა-დი-კ-ან-⁴.

მაშასადამე. მკვლევრებს ისტორიულად სამი სავარაუდო ფორმა აქვთ გამოყოფილი: *ბა-ტიკ-ან-, *ბა-თიკ-ან- და *ბა-დი-კ-ან-. ამ სამი ფორმიდან რეალურად არცერთი არ დასტურდება არც ძველ ქარ- თულ წერილობით ძეგლებში, არც რომელსამე ქართველურ ენაში და არც ქართული ენის დიალექტებში. მაგრამ ბატკან- ფუძის ისტო- რიისათვის საყურადღებო მონაცემები დაუცავს აფხაზურ ენას. კერ- ძოდ, აფხაზური ენის აბჟუურ დიალექტში, რომელიც ტერიტორიუ- ლად უშუალოდ ემიჯნება ქართველურ ენებს, ზაფხულის დასაწყისში დაბადებულ თხის ნაშიერს ა-ბათკან ეწოდება. „...საინტერესოა ის მნიშვნელობა, რომელიც ა ბ ა თ კ ა ნ ს ბზიფურ დიალექტში მიუღია. იქ „აბათკან“ ზედსართავ სახელადაა გამოყენებული საერთოდ ნორ- ჩისათვის. ნორჩ ბალახზე ამბობენ მაგალითად: „აპასკ'ჯნ ბათკან“ და სხვ.“⁵

ვ. კვარცია ამ ლექსემის შესახებ წერს, რომ იგი ძირითადად გავრცელებულია აბჯუაში და ნასესხები უნდა იყოს ქართული ენიდან. იქვე ავტორი სვამს საკითხს, ხომ არ მიუთითებს აფხაზური მასალა იმაზე. რომ ქართულშიც ბატკანი თიკანს აღნიშნავდაო⁶.

¹ ივ. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ზუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937, გვ. 191-192, 613.

² არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938, გვ. 85.

³ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 15.

⁴ ე. ლომთაძე, ზოგი საერთო ძირიანი ფუძე იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, ტ. VII, თბ., 1955, გვ. 430.

⁵ ქ. ლომთათიძე, ერთეულის კატეგორია და მისი მაწარმოებლები აფხა- ზურში. ენიშნის მოამბე, ტ. X, თბ., 1941, გვ. 202.

⁶ Кварчия В. Е., Животноводческая (пастушеская) лексика в аб- хазском языке, Сухуми, 1981, с. 79.

აფხაზური ა-ბათკან სიტყვა რომ ქართულიდან არის ნასესხები, ამაზე მისი გავრცელების არეალიც მიუთითებს. ამ სიტყვის აფხაზური ფორმა (თქ კომპლექსით) ნათელიყოფს, რომ ზემოთ განხილული სამი ვარაუდიდან ყველაზე რეალური არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, რომელიც ამოსავლად *ბათიკან- ფორმას მიიჩნევს.

აფხაზურში ეს სიტყვა უშუალოდ ქართული ენის დასავლურ კილოთაგან (კერძოდ, იმერულ-გურულიდან) უნდა იყოს ზეპირი გზით დამკვიდრებული და სესხების დროს იგი აღნიშნულ კილოებში ალბათ *ბათიკან- ფორმით იყო წარმოდგენილი. მაგრამ ისმის კითხვა: იქნებ თვით აფხაზურში მოხდა ტყ კომპლექსის თქ კომპლექსად ცვლა: *ა-ბატკან→ა-ბათკან?

ჩვენი აზრით, აფხაზურში ტყ→თქ პროცესის დაშვება სავარაუდო არ არის, ვინაიდან ამ ენაში მართალია გვაქვს ძირითადად მორფემათა საზღვარზე წარმოქმნილი თქ კომპლექსი (მაგ.: ა-თ-კ-ა-არა „გამორკვევა, გამორჩევა“...), მაგრამ ქართველურ ენათაგან ნაახსებ ფუძეებში ტყ კომპლექსი უცვლელი რჩება (შდრ. ქართ. ტყეჩი/იტყეცი→აფხ. ა-ტყ-ა(ც...)).

ამრიგად, აფხაზურმა ენამ ა-ბათკან ფორმის სახით შემოინახა ქართული ენის იმერულ და გურულ დიალექტებში ისტორიულად სავარაუდებელი *ბათიკან სახეობა. ფუძეში o ხმოვნის რედუქცია შეესაძლოა მომხდარიყო ქართულშივე, საკუთარ ნიადაგზეც და აფხაზურის მიერ სესხების შემდეგ აფხაზური ენის ინტენსიური მახვილის ზემოქმედებითაც.

საკვლევია *ბათიკან ფუძის ამოსავალი სემანტიკის საკითხიც. მართებული ჩანს ვ. კვარკვიას ვარაუდი, რომ ქართულში ბატკან, თიკან ფუძეები ცხერის ნაშიერის გარდა თხის ნაშიერსაც აღნიშნავდნენ (იბ. ზემოთ). ამაზე აფხაზურის მონაცემთა გარდა ისიც მიუთითებს, რომ ჰანური დიალექტის ხოფურ კილოკავში თიკანი ერთდროულად თხის ნაშიერსაც ეწოდება და ცხერისასაც⁷. გარდა ამისა, ბატკან- ფუძე თვისთვად შეიცავს თიკან- ფუძესაც (ბატკან-—*ბა-თიკან-).

მაშასადამე, იმ დროს, როცა აფხაზური ენის აბუურმა დიალექტმა ა-ბათკან სიტყვა ისესხა, ეს ფუძე ქართული ენის დასავლურ კილოებში წარმოდგენილი იყო *ბათიკან ანდა *ბათიკან ფორმით და, ჰანური დიალექტის ხოფური კილოკავის მსგავსად, აღნიშნავდა როგორც ცხერის, ისე თხის ნაშიერს. რაც შეეხება ბზიფურ დიალექტში წარმოდგენილ ვითარებას. აქ ამ სიტყვამ მთლიანად შეიძინა ახალი მნიშვნელობა გადააზრიალების შედეგად.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 192; არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 85.

2. აფხაზურში მეძებარი ძალის აღსანიშნავად დასტურდება ა-მაწჳარ//ა-მაწჳარ სახელი. აბაზურ ენაში იგივე ფუძე მწვეარ ძალს აღნიშნავს და ლამწჳარ კომპოზიტში შედის, სადაც თავკიდურა ლა-ელემენტი ძალის აღმნიშვნელი ძირია. აბაზურში ლამწჳარ „უპატრონო, მოხეტიალე ძალსაც“ აღნიშნავს.

შ. ინალ-იფას ა-მაწჳარ ფუძე აფხაზური წარმოშობისად მიაჩნია და თარგმნის როგორც „სამსახურის გამწვევ, მომსახურე ძალს“ (при-служивающие силы)⁸, თუმცა ფუძის ლინგვისტურ ანალიზს არ იძლევა. ეს მოსაზრება გაზიარებული აქვს ვ. კვარკვიას, რომელიც იმორწმებს შ. ინალ-იფას ნაშრომს, იქვე მოჰყავს ქართული მწვეარ- ფუძეც და აღნიშნავს, რომ ა-მაწჳარ ფუძე ამგვარად იხსნება აფხაზურ ნიდაგზე: ა-მაწჳ „სამსახური“, უგ „ქმნა“ ზმნის ძირი და -რ მრავლობითობის ატიქსი. იქვე მითითებულია, რომ ძველად აფხაზები იმავე ა-მაწჳარ სიტყვით ბატონის მსახურთაც აღნიშნავდნენო (აჰ იმაწჳარქია)⁹.

აქ წარმოდგენილი ეტიმოლოგია არ არის ბოლომდე თანმიმდევრული: ა) რ სუფიქსი მრავლობითობის აღნიშვნის ფუნქციით მსგავსი ფონემატური სტრუქტურის მქონე არც ერთ სხვა ფუძეში არ გვხვდება აფხაზურში. გარდა ამისა, აუხსნელია რ „სუფიქსის“ წინაშეაღი ა ხმოვნის რაობა; ბ) გაუგებარი რჩება, რა როლი განეკუთვნება დამოწმებულ ქართულ მწვეარ ფუძეს: თუ იგი აფხაზურიდან ნასესხებად მიიჩნევა, მაშინ საიდან გაჩნდა ქართულში ე ხმოვანი, ან რატომ არა გვაქვს *მაწჳარი ფორმა? გ) ასახსნელია ისიც, თუ რატომ ძაინცდა-ძაინც მეძებარ ძალს დაერქვა „სამსახურის გამწვევი“ (ისიც მრავლობით რიცხვში) და არა ეზოს ძალს ან მწყემსურ ნაგაზს; დ) აფხაზურ ენაზე ბატონის მსახურთ აჰ იმაწჳეცცია (მრ. რ.) ჰქვია და არა აჰ იმაწჳარქია. აჰ იმაწჳეცცია ასე იშლება: აჰ „ბატონი“, „მთავარი“, ე- მამაკაცის ქვეკლასის კუთვნილებითი პრეფიქსია, მაწჳ ა-მაწჳ „სამსახური“ სახელის ფუძეა, უგ — „ქმნა“ (აწჳარა) ზმნის ძირი, -უგ მოქმედის აღმნიშვნელი სუფიქსია, ხოლო -ცია ადამიანთა კლასის მრავლობითი რიცხვის სუფიქსი. ამაწჳეცც სიტყვა დამოუკიდებლადაც იხმარება და „მოსამსახურეს“ ნიშნავს. რაც შეეხება აჰ იმაწჳარქია შესიტყვებას, რომელსაც ვ. კვარკვია იმორწმებს, სრულიად აშკარაა, რომ ეს შესიტყვება ზედმიწევნით „ბატონის მწვეარებს“ ნიშნავს და იგი გადატანით, დაცინვით იხმარება ბატონის მსახურთა აღსანიშნავად. ძალის სახელის ამგვარი მნიშვნელობით ხმარება მოულოდნელი არ არის. მართლაც „აფხაზური ენის ლექსიკონსა“ და „აბაზურ-რუსულ

⁸ Инал-ипа Ш. Д., Абхазы (историко-этнографические очерки). Сухуми, 1965, с. 188.

⁹ ვ. კვარკვია, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

„ლექსიკონში“ აღნიშნულია, რომ აფხაზური ამაწჷარ და აბაზურა ლამაწჷარ გადატანით „მოყურიადეს, ჯამუშს“ ნიშნავს¹⁰.

ამრიგად, აღნიშნულ ეტიმოლოგიას მრავალი ნაკლი აქვს და, ამდენადვე, მიუღებელიც არის. აფხ. ა-მაწჷარ//ა-მაწჷარ ფუძეები და აბაზურში წარმოდგენილი -მწაწჷარ ქართულიდან ნასესხები მწევარ-ფუძეა, რომელიც სემანტიკურადაც ფარავს აფხაზურ-აბაზურში წარმოდგენილ ფორმებს. ქართულ და აფხაზურ-აბაზურ ფუძეებს შორის ერთადერთ სხვაობას ქმნის აფხაზურში წარმოდგენილი მ თანხმოვნის მომდევნო ა ხმოვანი, რომლის რაობა ადვილად დგინდება ქართულ ნიადაგზე.

ქართული მწევარ- ფუძე ეტიმოლოგიურად გამკვირვალა: იგი ნაწარმოებია და-წევ-ა ზმნის წევ- ფუძისაგან მ-არ აფიქსთა დართვით. ამ მოდელის ნაზმნარი ფორმები მრავლად დასტურდება ქართულში. მაგალითად: მხატვარი, მღვდარი, მხედარი, მკნევიარი, მძლეკარი, მჩქეფარი, მყეფვარი და ა. შ.¹¹ ქართულშივე მ-არ აფიქსთა ცვერდით გვხვდება მა-არ აფიქსებით ნაწარმოები ნაზმნარი ფორმებიც. მაგალითად: მათხოვარი, მადევარი, მაქებარი, მაძებარი და ა. შ. ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძეს ერთდროულად აქვს როგორც მ-არ აფიქსიანი, ისე მა-არ აფიქსიანი ვარიანტები. მაგალითად: მღვდარი//მადევარი, მქებარი//მაქებარი, მთხოვარი//მათხოვარი და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ მა-არ აფიქსებით ნაწარმოები ვარიანტები უფრო ხშირად დიალექტებში დასტურდება.

აღნიშნულის საფუძველზე ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ქართულ დიალექტებში, კერძოდ, აფხაზურთან ტერიტორიულად ახლოს მდებარე იმერულ და გურულ კილოებში, გარკვეულ პერიოდში მწევარ- ფორმის ნაცვლად ან მის პარალელურად უნდა გვექონოდა *მაწევარ- ფორმაც. სწორედ *მაწევარ ვარიანტი უნდა ესესხა აფხაზურსა და აბაზურ ენებს. აქედან კანონზომიერად მივიღებდით *ამაწაწარ ვარიანტს, ვინაიდან აფხაზურში ქართული ე—ა, ხოლო ქართ. ვ=ჭ ინტენსიური მახვილის მოქმედების შედეგად პროცესი ასე წარიმართებოდა: *ა-მაწაწარ→ა-მაწაწარ→ა-მაწაწარ, ხოლო აბაზურში თავკიდურა ლა ელემენტის ჩართვა მომდევნო ა ხმოვნის რედუქციას გამოიწვევდა: *ლამაწაწარ→*ლამაწაწარ—ლამაწაწარ.

¹⁰ Шьякрыл К. С., Концьярна В. Х. Агсуа бызшаа жәар. Акуа, 1936, с. 435; Абазинско-русский словарь, М., 1967, с. 264.

¹¹ ა. ჯ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1973, გვ. 571.

*მწევარ- ფუძე აფხაზურ-აბაზურში ტაპანთორი დიალექტის გამოყოფის წინ უნდა იყოს ნასესხები, ტაპანთელები კი, როგორც ვარაუდობენ, XIV საუკუნიდან არიან ჩრდილოეთ კავკასიაში¹². შემდგომში *ა-მწაჭარ ფორმიდან მიღებულ იქნა, ერთი მხრივ, აფხაზური ა-მწაჭარ//ა-მწაჭარ, ხოლო, მეორე მხრივ, აბაზ. ლამწაჭარ (*ლა+მწაჭარ) ვარიანტები.

ამრიგად, აფხაზური და აბაზური ენების მონაცემთა ურთიერთშეჭერება, აგრეთვე ამ მონაცემთა ქართულთან შედარება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ XIV საუკუნემდე მაინც ქართული ენის დასავლურ დიალექტებში მწევარ- ფორმის გვერდით *მწევარ- ფორმაც არსებობდა.

საყურადღებოა, რომ იგივე მწევარი ფუძე მეგრული წიარი ფორმით (აჭკერად უკვე მეგრულიდან) ხელახლა იხსენს აფხაზური ენის აბუჟურმა დიალექტმა. ამ გზით ნასესხებმა ა-წიარ ფუძემ შეინარჩუნა თავისი სემანტიკა და იგი „მწევარს“ აღნიშნავს, აქვს აგრეთვე „გამხდარი“-ს მნიშვნელობაც¹³ (შდრ. ქართული შესიტყვება „მწევარივით არის გამხდარი“), ე. ი. ქართ. მწევარი→მეგრ. დიალ. წიარი→აფხ. ა-წიარ. ანალოგიისათვის შდრ.: ქართ. ყვეარი→მეგრ. დიალ. ყიარი→აფხ. ა-ყიარ.

Т. И. ГВАНЦЕЛАДЗЕ

კ ისტორიი გრუზინსკიხ სსჩგვ ბატკან-ი ბაჭკან-ი „ягненок“ II მწევარ-ი მწეარ-ი „борзая“

Резюме

Для изучения грузинской лексики и исторической диалектологии грузинского языка определенное значение могут иметь и данные близкородственных абхазского и абазинского языков. В отдельных случаях эти языки сохранили исторически более древние формы некоторых грузинских основ, представленных ныне в самом грузинском языке в измененном виде.

В этом отношении привлекают внимание основы а-ბაჭკან „კოგზენოკ, როჯენიყი ნაქა ლეტი“ (აბჯუყის დიალექტი აბხაზ. ეზ.) და ა-მაჭყარ//ა-მაჭყარ „პოლუგონყი ბორზაყი“ (აბხაზ. ეზ.), ლა-მაჭყარ- „ბორზაყი“ (აბაზ. ეზ.).

¹² ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ენობისა და განლაგების ზოგადი საკითხის შესახებ, ეურნ. „მნათობი“, 1956, № 12, გვ. 138.

¹³ ვ. კვარკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

В статье высказывается мнение, что названные основы в абхазском и абазинском языках заимствованы устным путем из имеретинского и гурнийского диалектов грузинского языка. На основе данных абхазского и абазинского языков становится возможным восстановить более древние формы современных грузинских основ ბატყან-ი batqan-i „ягненок“ ← *ბათყან-ი *batikān-i и მწვევარ-ი mčevar-i „борзая“ ← // *მაწვევარ-ი *mačevar-i.

6. ზონონალია

1. გუმერ-, გურამ-, გმერ-; 2. გუმბ-, ჟუმბ-, ჟუმბ-, ჟკუმბ- ფუძეთა ისტორიისათვის ქართულში

1. გუმერ-, გურამ-, გმერ-

ძველი ქართულის სამწერლო ძეგლებში „მახვილი იარაღის კერის, ძგერების, დაკრის, „დაწერტის“ მნიშვნელობით გვხვდება გუმერ-// გუმირ-, გურამ-//გურიმ-, გმერ-//გმირ-ფუძიანი ლექსემები.

საბას განმარტებით, გურამა „ჩხუცრა“, გმირვა — „ლახურის კვრა“.

გმერა, გმირვა, გურამა — „მახვილის კურა, განწონება, განგმერა“ (ნ. ჩუბ.).

ამ ფუძეთა კავშირი ერთმანეთთან შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში¹.

გუმერა-სიტყვის წარმომავლობის შესახებ არსებობს შემდეგი მოსაზრებანი: 1. გუმერა -ერ-ითაა ნაწარმოები „ცემის“ აღმნიშვნელი გუმამა სიტყვიდან². 2. გუმერ-//გუმირ- ფუძე კავშირში უნდა იყოს „საომარი იარაღის, შუბის“ აღმნიშვნელ სახელებთან: გუმური→გმური³.

წარმოვადგენთ განსახილველი ფუძის ვარიანტებს სათანადო საილუსტრაციო მასალის მიხედვით: გუმერ-//გუმირ-:

და ჰ გ უ მ ე რ დ ი მათ მახვლითა მათითა (ეზეკ., 23,47);

იკალა მახვლი და ეგულებოდა გან გ უ მ ე რ ა დ თავი თსი (საქ. მოც., 124,9);

რამ დაუდვა სასთუნალ მისა უფალმან? — პური და წეალი და მესს უ გ უ მ ი რ ა გუერდსა მას (სინ. მრ., 128,18);

¹ ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 365; ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970, გვ. 152; ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 325.

² ჰ. ფოტო, ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში, მიმოხილველი, 4-5, თბ., 1968, გვ. 325.

³ ფ. ერთელიშვილი, იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

მისითავე პოროლითა განგუმირა (მეფ., II, 23,20);

და მოვიდეს ოთხნი იგი სტრატოტნი და დაგუმირეს იგო სართმებითა მით, და ეგრეთ დაეცა ქუეყანასა ზედა და აღესრულა (აპოკრ., 19,35);

მიჩუენებდა მე გუმერილსა ლახურითა ახლად-წყლელსა (ციმ. II, 75,25);

მოკულდა ისრით განგუმერილი ბრძოლასა შინა ოცდაათერთმეტ წელ წარმმართველი მეფობისა (ხრონ., 115,3:).

გმერ-//გმირ-:

ალილე დანაკი და განიგმირე თავი შენი (ციმ., I, 231,39);

განიგმირა დანაკითა მით თავი თუსი (ლიმ., 35,20);

იხილოს იგი ყოველმან თუალმან, რომელითა იგი უგმირეს მას (იოვ. გამოცხ., 408);

და მალიად-მსრბოლი ისრითა განუგმირიან (წარტყ. იერუს., იზ, 5).

გურემ-//გურიმ-:

მოისარი ისარსა მას თუსსა, რომლისა განგურემამა ეგულბოდის, მას დაუმართებს (ბას., 102,25);

განრისხნა ურჯულოე იგი და ბრძანა რამთა ლახურითა უგურემდენ გუამსა მისსა (ფილ., 98,18);

მუის განკგურიმნე მგობარნი იგი მათნი (მ. სპ., 128,28);

უბრძანა ორთა ლახუროსანთა გურემამა (ქრისტინ. 195,33);

განაახლა და განკურნა ყოველი იგი ნაგურემი შენი (ასურ., 46,7);

გუმერ-//გუმირ-, გურემ-//გურიმ-, გმერ-//გმირ- ფეძიანი სიტყვები მეტათორული შინაარსითაც დასტურდება:

ქმარი თუ ესუას, ღამით და ღლით სიტყუთა დაგუქერნ (სინ. მრ., 214,17);

აღეგზნა ტრფიალებითა მისითა და სურვილისა მიერ განიგუმირა (გრ. პართ., 20,32);

რამსათუს ესრეთ დაგურემულ ხარ სიყვარულთა ოქროსათა (ბას. კეს. სწ., 105,28);

ძლიერად განკგურიმე ცოდეამ სიმტყიცითა გულსკმის-ყოფისა და კეთილად-მსახურებისამთა (დ. სწ., 367,24);

განგმირა იგი სიტყუთა ღმრთისამთა (ლიმ., 101,21);

... განგურემულ ისრითა მით სიყუარულისა მარისამთა (ტიკ. ანტიოქ., 101,4);

დაგურემულნი ტრფიალებითა საღმრთოთა (ფს.-მაკ., 263,8).

ძველ ქართულში გურემ- ფუძიანი სიტყვები გადატანით გადმო-
სცემს „ტკივილის“ სემანტიკას.

ერთმან ლამემან, და ერთმან მჭურვალეზამან, და გუერდისა გუ-
რე მამან, გინა ღუძლისამან, ან თუ ფირტუსამან, მსწრაფლ წარი-
ტაცის კაცთაგან კაცი იგი, და უჩინო ყვის (ექუს. დღ., 52,15);

ვინაჲცა განიპებოდა გული მისი და მძნეარედ ელპოდა და გ-
ანი გურიმებოდა (ტიმ. ანტიოქ., 51,30).

გვხვდება გვრემ-გურემ- ფუძეც:

რომლითა მარადის განკვერემს ღმერთი სიმართლითა უსა-
მართლოებასა (ეფ. მც., ფსალმ., 786,16);

ახალ ქართულში ზემოაღნიშნულ ფუძეთა გამოყენების შემდეგ
სურათი გვაქვს: „მახვილი იარაღის ძვერებით ჭრის, კვეთის“ შინაარსს.
ძირითადად გმერ-||გმირ- ფუძიანი სიტყვები გამოხატავს:

ან შემყარნე ორნივ ერთად, ან ლახვრითა გავიგმირი (თეიმ.
I, 73,103);

რაც ვისროლოთ ჩვენ ორთავე, კარგ სადავეთ მხეცთა ვგმი-
როთ (არჩ., 204,526);

ოვადმა განგმირა საწერტელითა ცხენი მჟი (კალმ. I.
132,6);

გვერდს ლახვრითა უწყო გმერა (დ. გურამ., 74, 92);

შენ ეცადე განგმერასა მისსა შუბითა (ქ. ცხ., IV, 445,6);

მოისრნენ დიდძალი ფხოველნი და დიდონი. მწკრივად დაწვენ
ოჩანის ციხის სანახებში მკერდგანგმირულნი (ქ. გამსახ.,
დიდ. მარჯ., 80,29).

გმირ- გულ- ფუძესთან შესიტყვებისას გადატანით ნიშნავს „გულს
უკლავს, წყენას, მწვავე ტკივილს მიაყენებს“.

გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა კგმირ-
დეს (ეფეხისტ., 904,2);

მნახველთათვის იყოს ლხინი, ვერ მნახველთა გულსა კგმირ-
რა (ნ. ციც., 176,33);

ვიგრძენ რა უბედურიც ვიყავ და გულში მწვავედ რალაქავ
გამგმირა (ა. ყაზბ., II, 264,6);

გულს გასაგმირად ლახვარი, თვალეზში ცრემლი მემ-
ლევა (ვაჟა, I, 140,16).

სინტაგმა თვალით გაგმირავს კი ქეგლ-ის მიხედვით ნიშნავს:
„მრისხანე თვალეზით შეხედავს, შეაშინებს“.

საკვლევი ფუძის უ-ბრჭგუს მაგიერ შუა საუკუნეების ძეგლებში ვ-ინიანი ფორმა გვხვდება⁴.

ვეფხი მისდა ნაცვლად უწყალოდ გაიგვირემა (საბა, II, 165,23);

ლახვრები გვერდსა უგვირემეს, მკვეთრი, აღმასის ფერია (დ. ქვარ., 198,27).

ახალ ქართულში სინტაგმა მუცელსა ჰგვრემს ნიშნავს „მუცელი სტივია; მუცლის ბუხბუხი აქვს“ (ქეგლ).

მუცელი მგვრემს, ველარ ვითმენ მეტს (მ. ელიოზ., 33,37).

გამოთქმა მუცლის გვრემა გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს „იღუმალ სურვილს“:

მშობლებმა ალლო აიდეს, რო ქეთის მუცლის გვრემა გაახოვება იყო (ს. მგალ., 471,34).

ეჰ, შვილო, ვიცი, რა მუცლის გვრემაც გაქვს (ა. გეწ., 220,11);

ისე შემომაედა ლეღამ. თითქოს უნდოდა ეთქვა. მიგხედი, ჩემო შალვა, რა მუცლის გვრემაც გაქვს, მაგრამ რა ვნახა, ვერაფერს გიშველიო (ი. ურჯუმ., 148,11).

ინგილოური „რჩოლის“ აღმნიშვნელი გრჷმ-||გრჷმ-||გრჷმ- უნდა მომდინარეობდეს გურემ-იდან;

გრჷმა „რჩოლა, გურემა, რკინება“ (ინგ., ჯან.);

დანაგრჷმ „რომელიც ირქინება“. ყოჩ დანაგრჷმიო (ინგ., როსტ.);

ზოგიერთი დანაგრჷმიო, რქენა იცის. მასზე იტყვიან, „ეა ფური დიახ იგრჷმება (ინგ., ასრ.).

როგორც ვხედავთ, ინგილოურმა სიტყვა ძველი ქართულის სემანტიკით შემოინახა.

აქვე უნდა შევეხოთ გმირ-სიტყვას, რომელიც ზოგიერთა მკვლევარის აზრით განხილულ ფუძეებს უკავშირდება⁵.

გმირი „კაცი არს დიდი და საზარელი ტანითა და საქმიანთა მეთი და გარდარეული ძალითა“ (საბა).

გმირი ძველსავე ქართულში გავრცელებული სიტყვაა:

⁴ არნ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, ჩვენი მეცნიერება, № 2-3, თბ., 1923; ს. ედენტო, ლაბილიზებულ თანამოყანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში, ენიშვის მოაშბე, ტ. X, თბ., 1941; გ. როგავა, ქართველურ ენთა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1962, გვ. 103-118.

⁵ ჯ. ფოტო, იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 292; ფ. ერთელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

თავადი იგი ვითარცა სიძე რაჲ გამოვალნ ეზოჲთ თსით, იხარებდეს იგი, ვითარცა გ მ ი რ ი სრბად გზასა (ფსალ., 186);

და დაიძინეს გ მ ი რ თ ა თანა დაცემულთა მახულითა (ეზეკ., 32,27);

რაჲმს გ მ ი რ ი იგი გოლიათ დაამკჷუა (სებ. გაბ., 93,31);

იყო ნაშობთაგანი გ მ ი რ თ ა ხ ს ა (მეფ. II, 21,10);

გ მ ი რ ე ბ რ აჩუნა ძალი (რიფს., 176,5).

ქეგლ-ის მიხედვით გმირი ნიშნავს 1. ბრძოლაში და შრომაში თავდადებულს, მამაცობითა და გამბედაობით გამოჩენილს, სიძნელეთა ვაჟაკურად დამძლევს; 2. ძველი ეპიკური პოემებისა და მითების მთავარ მოქმედ პირს, რომელიც დაჯილდოებული იყო ზეკაცური ძალით; 3. მხატვრული ნაწარმოების მოქმედ პირს, — პერსონაჟს.

ნ. მარი ვარაუდობს, რომ გმირი წარმომოხობით უკავშირდება რუსულ кумир-ს „ტოტემს“, „ღმერთს“ და ეს უკანასკნელი სრული გახმოვანებითაა წარმოდგენილი ოსურ gumir-ში⁶.

ვ. აბაევის აზრით კი кумир, gumir უნდა მომდინარეობდეს კიმერიელთა ძველი სატომო სახელწოდებიდან. აქად. Gimirri, ძვ. ებრ. Gomer⁷.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ გმირი წარმომავლობით უკავშირდება „დასრულებულის“ „სრულყოფილის“ აღმნიშვნელ სირიულ gumirā სიტყვას⁸.

2. მწუბ-||წუმბ-||წუმა-||წკუმა-

ძველ სამწერლო ძეგლებში „უსუფთაო წყალში დაბანის, ამოგორების“ მნიშვნელობით გვხვდება მწუბ- ფუძიანი სიტყვები.

მსგავს არს იგი ძალსა, რომელი მიექცის თსსა ნათხევარსა, ვითარცა ღორი, რომელი იმ წუ ბ ი ს სიმყრალესა მწვრისასა (მ. სწ., 24,15);

ღორი იმ წუ ბ ა საგორელსა მწვრისასა (II ჰეტრე, 2,22 ილ. აბ.);

შავნი ვიყვენით სიშავითა მით ცოდვისაჲთა ა მ ო მ წ უ ბ ე ბ უ ლ ნ ი, ხოლო საკმელად ჩუენდა მოგუეცა, არა რაჲთა ეკამოთ იგი, არამედ რაჲთა დაეთრგუნოთ იგი (Ath — 11,209v);

⁶ Марр Н., Языковая политика яфетической теории и удмуртский язык. Этно- и глоттогония Восточной Европы, т. V, М.—Л., 1935, с. 509.

⁷ Абаев В., Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М.—Л., 1958.

⁸ ჯ. წე რ ე თ ე ლ ი, თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1980.

ნუ კუალად მწერესა შინა აღმოაჩნებთ თავთა თქუენ-
თა, რადთა არა გაყუედროს მოციქულმან უფლისამან პაულე (Ath.—
11,133r);

ნულარა აღმოაჩნებოი მწერესა მას შინა ცოდვისასა ამი-
ერიოგან (A—1105, 162r).

მწუბ- დასტურდება ნწუბ- სახითაც. გამოთქმულია მოსაზრება,
რომ ნწუბ-—წუნბ-—წუმბ-, ხოლო ნ ფუძის ანლაუტში მეტათეზისის-
შედეგი უნდა იყოს⁹.

ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწერისასა (ქ. ცხ. I,
325,14). XI ს. ერთ-ერთ ხელნაწერში დადასტურებულია კონტამინი-
რებული ფორმა წუნმბება:

მაქუნდა ... ტრფილებაჲ განუძლომელი ყოვლადვე მწერესა მას
შინა ცოდვისასა წუნმბებად (A—1104 55r 6). წუმბ-+წუნბ-
—წუნმბა¹⁰.

მოგვიანო საუკუნეების ქართულში გვხვდება წუმპე (<წუმბე)-
საბას „სიტყვის კონაში“ დასტურდება როგორც წუმბე, ისე წუმპე-
სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ 1) ძე-
ქართული წუმბე შესაძლებელია ტუმპო სიტყვის ფონეტიკური სახე-
სხვაობა იყოს¹¹. 2) დასაშვებია წუმპე და ამავე მნიშვნელობის გერ-
მანულ sumpf (ივარაუდება, რომ ამ სიტყვისათვის ამოსაყალიბა ბერძ-
ნული somphos—*suombho) სიტყვებს შორის კავშირი¹².

არამედ იგი უამსა მცირესა მიექცა კუალად წუმპესა (წუნპე-
სა AB) (ქ. ცხ. IV, 229,27);

მე ის გლახა ვარ, შენ რომ წუმპით ამომიყვანე (საბა, I, 121,6);

მერმე უკანის გიტყუეებს, დამპალსა წუმპოსა კაშიგან ჩაგყრის.
(შაჰნამე. II!, 256,25);

მაშინ უყურე, როგორ ეხლანდელი წუმპეების მავივრად-
ჩვენს კარმიდამოზედ რა სუფთა მოედნები იქნება (ა. ფურცელ-
331,19);

აი, ქვევრში რაღაც წუმპე ნაძირალა დამრჩა, მაინც გადა-
საღვრელია და ბარემ შენ ჩასცეცხლო (ილია, 338,11);

ნუმც ენახავ თქვენგან ნურავის.

გვერღზე მწოლარეს წუმპეში (ვაჟა, I, 249,21);

⁹ ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1976, გვ. 165.

¹⁰ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 314.

¹¹ ალ. კინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 26.

¹² გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და შახლობელი აღმოსავ-
ლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 224.

საწუმპეები და საწუმპეში ბანაობს ირემი, რო-
დესაც ცხელა, კვირიკობისთევეშია (ზ. იმერ., ძოწენ.).

წუმპა- ფუძიანი სიტყვები გვხვდება „გაწუწვის“ შინაარსითაც.

თქვენს ადგილს ქრისტიშობისთვიდან იქერს საზიზლარი დედა-
ბერი, ქურქწამოსხმული და ამოწუმპული თეთრი თმა, გაშლი-
ლი, კოქებადის აყრია (აკაკი, VII, 291,28).

(ბავშვები) ერთმანეთს წყალს ასხურებდნენ, ხარხარებდნენ და
გაწუმპული დახტოდნენ წყაროს ირგვლივ (ს. კლდ., 46,14);

ცავ, საპანს ვერ გამუართვამ ბალანას, სულ დუწუმპავს
აქაურობას; ჩავარდა ერთ ტომპოყოში და მთლიანად გეიწუმპა;
ერთი წვერი ძაფიც აღარ ქონდა შრალი, ისე იყო გაწუმპული
(აქარ., ნიუარ);

ისე იყო გაწუმპული, წყალი გადიოდა ყოლიფერში (იმერ.,
გაჩ.). ამავე წუმპა- ფუძეს უკავშირდება ჯავახურში დადასტურებუ-
ლი წუმპალი—წუმპალი „ქუქყიანი წყლის შხეფი“.

სუწუმპლებით არის ტანსაცმელი დასვრილი (ჯავახ., ბერ.).
ინგილოურში წუმპალ||წუმპალ- ფუძეები „წვეთის“ მნიშვნელობას
გადმოსცემს.

ათი წუმპალ მისცა. წუმპა ცოტ-ცოტა წუმპლავს
(ნ. როსტ.);

ერწუმპალ ჩამაყლაბ (მ. ჯან.); წუმპა წუმპალ მოხტო-
მითავ გადავხორწე (ინგ. ასრ.).

ამავე ფუძეში კ-ს ჩართვით უნდა მიგველო წუმპალი „წყლის
წვეთი, შხეფი, წინწყალი“.

წყლიდან წკუმპლები მესხმოდა სახეზე (მესხ., მაისურ.);

წვეიდა წყალზე (=მდინარეზე), ამეიწკუმპლება და
შოვა (იმერ., გაჩ.);

ბავშვები ღვარში იწკუმპლებოდნენ (ვ. მალაქ., 225,8);

თითქმის ყოველთვის მისუსტებული და მიკნავეებული, ვოგო-ბა-
კების საწკუმპლაო, გაზაფხულზე ერთხელ მაინც აღიღლებო-
და, აღელდებოდა, ამქუხარდებოდა (ოთ. ჩხ., I, 60,4).

ზემოთქმულიდან გამომდინარე მწუმპ- ფუძის (1) ფონეტიკური და
(2) სემანტიკური ცვლილებები შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ.

I. 1. მწუმპ—წუმპ/წუნბ/—/წუნმბ/—წუმპ—წყუმპ.

II. 1. ლაფში ამოგორება; 2. ლაფი; 3. დასველება, გაწუმპვა;
4. წყლის წვეთი, შხეფი.

- ილ. აბულ. — ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
- აპოკრ. — ქართული ევრსიები აპოკრიფებისა მოკლებულთა შესახებ, გამოსცა ო. ქურციკიძემ, თბ., 1959.
- აკაი — ა. წყნელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, სბ., 1953.
- აკრ. — არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენაშვილის რედაქციით, თბ., 1936.
- ასურ. — ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1955.
- აპარ., ნიფარ. — შ. ნიფარაძე, ქართული ენის აპარული დიალექტი, ბათუმი, 1971.
- ბახ. — თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი დაწყებისათჳს სოლომონას იგაუთამასა, გამოსცა თ. კუონიამ, ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1965.
- ბახ. კეს. — „სწ“ — ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელაჲეული თარგმანი, გამოსცა ო. ქურციკიძემ, თბ., 1983.
- ბ. გეწ. — ბ. გეწაძე, ყარამან ყანთელაძე, თბ., 1964.
- გრ. პართ. — ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და ამისა შემდგომად წანებაჲ წმიდისა მღვდელმთწამისა გრიგოლ პართეველისაჲ, გამოსცა ლ. მელიქსეიძემ, თბ., 1920.
- დ. გურამ. — დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, კრებული შეადგინა და შესავალი წერილი დაუთმო ს. ცაიშვილმა, ლექსიკონი შედგენილია ი. ე. გიგინეიშვილის მიერ, თბ., 1980.
- დაბ. — წიგნი დაბადებისა, წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ტ. I, ნაკვ. I, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1947.
- დ. სჯ. — დიდი სჯულისკანონი, რედ. ე. გაბიძაშვილი, თბ., 1975.
- ქ. გამსახ. დიდ. მარჯ. — ქ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა, თბ., 1966.
- ეზეკ. — ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ევრსიები, გამოსცა ო. ციტიშვილი, თბ., 1976.
- მ. ელიოზ. — მ. ელიოზიშვილი, პიესები და კინოსცენარები, თბ., 1982.
- ეფ. მც. ფსალმ. — შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, თაჲ ძველი ქართული ენის კათედრის შრ., 11, გამოსცა მ. შანიძემ, თბ., 1968.
- ექუს. დდ. — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კახაძემ, თბ., 1947.
- ვუთა — ვაჟა-ფშაველა, ტ. I, თბ., 1964.
- ვეფხისტ. — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957.
- ზ. იმერ. ძოწ. — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
- თეიმ. I — თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჭაკობიას რედაქციით, თბ., 1934.
- ილია — ილია ქავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1984.
- იმერ., გაჩ. — პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.
- ინგ. ასრ. — ა. ასრათოვი, მასალები ინგილოური დიალექტის ლექსიკონისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, თბ., 1978.
- ინგ. როსტ. — ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1970.

ინგ. ჯან. — შ. ჯანაშვილი, საინგილო, „ძველი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, II, განყ. IV, თბ., 1913.

ოვგ. გამოსც. — გამოცხადება იოვანსის; ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, № 7. გამოსცა ი. ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1961.

კალმ. — იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ქართული პროზა, წიგნი VI, თბ., 1984.

კიმ. — კიმენი, გამოსცა ქ. კეკელიძემ, I, თბ., 1918; II, თბ., 1946.

ს. კლდ. — ს. კლდიაშვილი, დიდი სარკე ბავშვის ოთახში, თბ., 1968.

ლიმ. — იოანე მოსხი, ლომნარი, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1960.

ვ. მალაქ. — ვ. მალაქიაშვილი, თხზულებანი, თბ., 1970.

მ. ცხ. — მამთა ცხოვრებანი, გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1975.

ს. მგალ. — ს. მგალობლიშვილი, რჩეული მოთხრობები, თბ., 1963.

მესხ., მაისურ. — ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან, შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახელ. პედაგ. ინსტ. შრომები, IV, თბ., 1964.

მეფ. II — წიგნი მეორე მეფეთა (ოშკის ბიბლია, ფოტოპირი ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

რიფს. — წამება წმიდისა რიფსიმესი და გაიანესი და მოყუასთა მისთაჲ; სელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბ., 1960.

საბა — ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად, წიგნი I, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1966.

საბა, I, II — ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, გამოსცეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959; ტ. II ალ. ბარამიძისა და ე. შერვაშვილის რედაქციით, თბ., 1962.

სებ. გაბ. — თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სებეროანე კაბალენელ ეპისკოპოსისაჲ, მოციქულთა საქეენებელი, გამოსცა ი. აბულაძემ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1963.

საქ. მოც. — საქმე მოციქულთა, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1950.

სინ. მრ. — სინური მრავალთაჲ, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1959.

ტომ. ანტიოქ. — ტომოთე ანტიოქელი, ქ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, VII, თბ., 1940.

ვ. ურჯუმ. — ვ. ურჯუმელიაშვილი, სამხრეთის ვარსკვლავი, თბ., 1971.

ფილ. — წამება წმიდისა და ნეტარისა ფილეთეოსისი, ქ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1950.

ფს. მაკ. — ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, გამოსცა გ. ნინუამ, თბ., 1982.

ფსალ. — ფსალმუნნი, გამოსცა მზ. შანიძემ, თბ., 1960.

ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V. ა. რ. ჩიქოვასა და ს. კორძაშვილის რედაქციით, თბ., 1958.

ა. ყაზბ. — ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1962.

ა. ფურც. — ა. ფურცელაძე, რჩეული ნაწერები, თბ., 1967.

ქრისტინ. — წამება წმიდისა ქრისტინაჲსი, ქ. კეკელიძე, ეტიუდები... ტ. III, თბ., 1955.

ქ. ცხ. — ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1973.

შანამე — შანამე. ტ. III, გამოსცა დ. კობიძემ, თბ., 1974.

6. ჩუბ. — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, გამოსცა ალ. ლლონტმა, თბ., 1961.

ოთ. ჩხ. — ოთ. ჩხეიძე, ტ. I, თბ., 1961.

6. ციცი. — ნ. ციციშვილი, ბარამგურიანი, ჩვენი საუნჯე, IV, თბ., 1960.

წარტ.-იერუს — წარტუენუა იერუსალშისაჲ, თქმული ნეტარაჲა სტრატოკი მონაზონისაჲ, გამოსცა ნ. შარმა, Тр; кн. IX, СПб., 1909.

ბრონ. — ხრონორაფი გიორგი მონაზონისაჲ, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტფ., 1920.

ჯავახ. ბერ. — გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო შასალა, თბ., 1981.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდების ხელნაწერები: A 1105, Ath. 11.

Н. С. ЧОХОНЕЛИДЗЕ

К ИСТОРИИ ОСНОВ 1. გუმერ-gumer; 2. მწუბ-mčub- В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. Варианты одной исходной основы гუმერ-/გურემ-/გმერ-gumer-/gumer-/gmer- в памятниках древнегрузинской литературы образуют семантическое поле с общим значением „колоть, рубить, резать острым оружием“. В новогрузинском языке значение „колоть, рубить“ преимущественно выражается вариантом გმერ-/გმირ-gmer-/gmir-.

2. В памятниках древнегрузинского языка засвидетельствованы параллельные формы მწუბ-/მწუბ-/წუბ- mčub-/pčub-/čupb-

В новогрузинском языке возникает вариант წუმბ-čupb- „ти-на“, занимающий постепенно доминирующее положение. Результатом фонетической трансформации и семантической ренинтерпретации следует считать литературную форму წუმბლი čuppli „капля“, в то время как исходная форма წუმბლი čuppli „капля“ осталась диалектной.

მ. გვირგვინი

ქართული შვინდი-||შინდი. ფუძის ზანური შესატყვისი*

სახელი შვინდი||შინდი (Cornus mas) ქართველური ენებიდან მხოლოდ ქართულში გვხვდება. სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში შვინდი||შინდი გავრცელებული სიტყვაა. მისგან იწარმოება: შინდიანი, შვინდნარი, შვინდობი, შინდისი, შინდანწლა, შვინდა...

გვევ სიტყვა შინდ ფორმით შეტანილია სულხან-საბა ორბელიანისა და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში, ოღონდ წყარო მითითებული არ არის.

მეგრულსა და სვანურში ქართულიდან არის ნასესხება ეს სიტყვა (მეგრ. შინდი, სვან. შვინდი). მეგრულში ამ მცენარის აღსანიშნავად მიუთითებენ აგრეთვე სიტყვას ბძგირი¹. ეს უკანასკნელი შესაძლოა ქართული ბაძგისა და ჭანური ბაძგარის სახეცვლილი ფორმა იყოს. ჭანურში თურქულიდან შემოსული კიზილქულია გამოყენებული.

ვუიქრობთ, რომ შვინდი||შინდი ძირეული ქართული სიტყვაა და მას სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი ფუძე უნდა ღაეძებნოს. ამის საფუძველს იძლევა ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის ფონეტიკური კანონები.

ცნობილია, რომ ქართულ შიშინა თანხმოვნებს ზანურსა და სვანურში შეესატყვისება შიშინა ან სისინა თანხმოვნები უკანანისმიერი ბგერების განვითარებით. ქართ. შ: მეგრ.-ჭან. შქ, სქ: სვან. შგ, სგ. მაგალითები: ქართ. შ ვ ი დ ი : მეგრ.-ჭან. შ ქ ვ ი თ ი : სვან. ი შ გ ტ ი დ. ქართ. ვ ა შ ლ ი : მეგრ.-ჭან. უ შ ქ უ რ ი — სვან. ტ ი ს გ ტ. ძე. ქართ. მ ო ა შ თ ო ჭ ა ნ. დ ო შ ქ ვ ი დ უ, მეგრ. დ ა შ ქ ვ ი დ უ სვან. ა შ გ ტ ი დ. ქართ. შ ვ ე ლ ი : მეგრ. ს ქ ვ ე რ ი, ჭან. მ ს ქ ვ ე რ ი. ქართ.

* წაკითხულია მოხსენებად ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა მეოთხე რესპუბლიკურ კონფერენციაზე სოხუმში, 1983, იხ. თეზისები.

¹ ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 155.

შვილი: ჭან. სქირი, მეგრ. სქუა. ქართ. შაშვი: მეგრ. ზეჟეი, ჭან. მზესქუ და სხე.

მამასადამე, ამ კანონზომიერების მიხედვით ქართულ შინდ- ფუჟეს მეგრულ-ჭანურში უნდა მოეცა *შქინდ- ან *სქინდ-. ვფიქრობთ. სწორედ ეს სახეობა დადასტურებულია ჭანურ მიკროტოპონიმ სქინდონას² სახით.

ტოპონიმი სქინდონა სქინდ- ფუჟედ და -ონ-ა სუფიქსად უნდა დაიშალოს. პირველი, როგორც აღინიშნა, ქართული შინდ-ის ფარული ფუჟე უნდა იყოს. ხმული თანხმოვნების წინ ნ განვითარებული ჩაას ორსავე ფუჟეში. ნ-ს განვითარება ხმულ-მსკდომთა წინ ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში, მეტადრე ზანურში.

-ონ- მეგრულ-ჭანურში გავრცელებული სუფიქსია; მას იგივე ფუნქცია და მნიშვნელობა აქვს, რაც -იან, -ან, -ოვან-ს ქართულში. რომლებიც რისამე ან ვისიმე ქონებას გამოხატავენ. ეგვე სუფიქსი -აჟ „მატოპონიმებელი“ ელემენტით აღნიშნავს ადგილს, სადაც რაიმე მცენარე ხარობს, მიუთითებს მცენარეთა სიმრავლეზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჭანური: ბინეზონა (=ვენახოვანი ადგილი, ვენახნარი), თხირონა (=თბილოვანი ადგილი, თხილნარი), ლიმხოონა (=გვიმროვანი ადგილი. გვიმრნარი) — ისეთივე წარმოებაა მთლიანად. როგორცაა მეგრული: კუბურონა (=წაბლიანი, წაბლნარი), გვიმრონა (=ადგილი, სადაც გვიმრა იზრდება), კორთონა (ადგილი, სადაც ახლად აყრილი წვრილი ხეები იზრდება)⁴.

ქართულშიც მსგავს შემთხვევაში ასეთივე წარმოება იქნება: მუხიანი, ვაზიანი, ვაშლიანი, კაკლიანი, ფიჭვიანი, პანტიანი, მინდიანი და მისთ.

ამგვარად, ტოპონიმი სქინდონა ნაწარმოებია მცენარეულობისათვის დამახასიათებელი ზანურში გავრცელებული -ონ-ა სუფიქსითა და ქართული შინდიან-ის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს⁵.

² ი. სიხარულიძე, ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები, I, ბათუმი, 1977, გვ. 36.

³ ფ. მაკალათია, ა ხმოვნის მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი ფუნქციონისათვის. — თსუ ფილოლოგიის ფაულტეტის სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1974.

⁴ არნ. ჩიქობავა, -ონ სუფიქსი მეგრულში, თბილისის ენიციკლიტერის შოამბე, თბ., 1926, გვ. 306-307.

⁵ სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ.: გ. კარტოზია, საბილანტთა შესიტყვისობის დარღვევათა ახსნისათვის ქართველურ ენებში, შანე, ენასა და ლიტერატურის სერია, 2, 1984, გვ. 142; ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

О. Х. МЕМИШИШИ

О ЗАНСКОМ ЭКВИВАLENTE ГРУЗИНСКОЙ ОСНОВЫ
შვინდ-švind-„кизил“

Резюме

В работе выявлен занский (чанский) эквивалент грузинской основы შვინდ-švind-„кизил“. Он сохранился в чанском топониме სკინდოპა skindopa, в котором выделяется суффикс -ოპა -opa, характерный для имен, обозначающих растительный мир, სკინდ-škind- же является закономерным соответствием грузинского შვინდ-švind „кизил“.

მ. ჩუხუა

ორი მცენარეული სახელოსათვის ქართვილურ მენავში

1. ქართ. წებარ-: ზან. ჭაფურ-: სენ. ჭაფორ-(—ჭაფხვირ-)

ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ენობრივ სისტემაში მცენარეთა სახელწოდებებს. „არსებითი მნიშვნელობისაა ენდემურ მცენარეთა სახელწოდება. იგი ენის ძირითად ლექსიკას განეკუთვნება და შედარებით — ისტორიული ლექსიკონისათვის სანდო და აუცილებელ მასალას წარმოადგენს ისევე, როგორც ნათესაობის გამომხატველი სახელები, სომატური, ბუნების მოვლენათა და მოქმედების აღმნიშვნელი სახელები“¹.

ქართულ ხოვერა-ს რომ განმარტავს, ალ. მაყაშვილს მოჰყავს სხვა დიალექტური ფორმები მსგავსი სემანტიკით: „ხოვერა“ „Подмаренник трехкогий“, *Colium tricorne* With. კბ., ქართ., სმხ. ხაობალახი, კაუწა, მაკიდელა; გურ. წებარი² (ხაზი ჩვენია — მ. ჩ.).

გურულში დადასტურებული წებარ- შეიძლება სხვა დიალექტშიც დაიძებნოს, მაგრამ ჭერჭერობით გამოქვეყნებულ მასალაში ის არ ჩანს.

ზანურში (resp. მეგრულში) დასტურდება ჭაფურია სიტყვა, რომელიც ერთგვარ ბალახს აღნიშნავს (ცხოველის საკვებია).

იგი ლექსიკონებში არ შეგვხვედრია.

ზანური (resp. მეგრული) ჭაფურ-[ია] პირდაპირ ფონეტიკურ შესატყვისის წარმოადგენს ქართული (resp. გურული) წებარ- ფუძისა. ქართ. წ: ზან. ჭ; ქართ. ე: ზან. ა ბგერათშესატყვისობა ამ ენათათვის კანონზომიერია³.

რაც შეეხება ოპოზიციას ქართ. ა: ზან. უ, მისი ახსნა წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში⁴.

წებარ-/ჭაფურ-[ია] ქართულ-ზანური მონაცემია.

1 ე. თ. ფ. უ. რ. ი. ა., მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართულურ ენებში. — შრომები, III, თბ., 1979, გვ. 245.

2 ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 98.

3 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938.

4 ტ. გულავა, ოს-უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჰანურ) ენაში. — სმმ, ტ. XXV, № 1, 1960, გვ. 119-121.

სევანურში გვაქვს სიტყვა ჭაფორ „სამყურა ბალახი (თამბულა)“, ალ. მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონში მისი ჭაფხვირ ვარიანტიც დასტურდება⁵.

ჭაფორ- გვხვდება სევანურ პოეზიაში: „ჭაფორ ჭიმა ლახეშიშა“, „სამყურა (ბალახი) გიჭამია მთისა“⁶.

დასახელებულ ფორმათაგან ჭაფხვირ ვარიანტი უფრო გაკრცელებულია და, ბუნებრივია, შედარებით გვიანდელიც, მიღებული ჭაფორისაგან ხ-ს განვითარებითა და ო—ვი გადასვლით.

სევანურში ხ სპირანტის განვითარების სხვა ფაქტები ცნობილია (შდრ. ვესკაცხ—ქართ. ვაცყაცი, ხელწიფხ—ქართ. ხელმწიფე⁷...).

ბუნებრივია ზანურ-სევანურ ფორმათა მიმართებაზე მსჯელობა ამის საფუძველს იძლევა მათი მატერიალური და სემანტიკური სიახლოვე: შდრ. სევან. ჭაფორ (—ჭაფხვირ): ზან. ჭაფურ-(ია).

სევანური ჭაფორ (—ჭაფხვირ) ზანურიდან ნასესხები ჩანს. ამას გვევარაუდებინებს ის გარემოება, რომ სევანური თანხმოვნებშიც და ხმოვნებშიც ზანურის მონაცემებს მიჰყვება, ქართული (რესპ. გურული) წებარ-ის შესატყვისად.

სევანური ჭაფორ (—ჭაფხვირ) შეთვისებული უნდა იყოს მაშინ, როდესაც ზანურში ო—უ-ში ჭერ კიდევ არ იყო გადასული (მეგრ. ჭაფურ—*ჭაფორ).

II. ქართ. დიშლა: ზან. ჭიშკილა: სევან. შიშგილ

ქართულში გვხვდება მცენარის სინონიმური სახელწოდებები: ჭიშკილა და ღანძილი. ასეა ისინი წარმოდგენილი საბას ლექსიკონში. კერძოდ, ჭიშკილაზე საბას წერს: „ჭიშკილა (ბალ.) ღანძილი ჯAB CD; ნ. ღანძილი“⁸. „ხოლო ღანძილი სომხურია, ქართულად ჭიშკილა ჰქვიან ZAB [ღანძილი სომხურია, ქართულად ჭიშკილა ეწოდება E]⁹.

რ. ერისთავი ღანძილს ქართულურ-იმერულად მიიჩნევს, ხოლო ჭიშკილას — გურულ-მეგრულად¹⁰.

ალ. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ მიხედვით ირკვევა ამ მცენარის აღწინაშეწველ სახელწოდებათა ხმარების არეალი ქართვე-

⁵ ალ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

⁶ სევანური პოეზია, თბ., 1939, გვ. 185ყ.

⁷ ს. ჯღენტო, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, თბ., 1960, გვ. 92.

⁸ ს.-ს. ორბელიანი, თხზ., ტ. IV², თბ., 1966, გვ. 457.

⁹ იქვე, გვ. 247.

¹⁰ Эрнстов Р., Краткий грузинско-русско-латинский словарь, Тиф-лис, 1884, с. 64.

ლურ ენებსა და დიალექტებში: „ღანძილი Чеснок медвежий, лук медвежий, Чермина, Allium ursinum L. ფ. ზანძილი: ხევს. ღანძელი; „იმ., გურ., მეგრ. ჭიშვილა; ინგ. ღანზილ; სვან. შიშვილ“¹¹.

ჭანურში ეს სიტყვა არ ჩანს.

იმერულ-გურულ-მეგრულ ჭიშვილასთან ფონეტიკურად ახლოს დგას სვანური შიშვილ; იგი სემანტიკითაც იდენტურია ჭიშვილა-ღანძილ-ისა.

შიშვილ და ჭიშვილა სიტყვათა მიმართებაზე ადრეც იყო მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურაში.

ა. ჭკადუა გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ „ქართულში ღანძილს შესაფერისი სახელი უნდა რქმეოდა, მაგრამ არა ჭიშვილა. ჭიშვილა, ჩვენი აზრით, ფონეტიკურად შერყენილი (შ-ს აფრიკატიზაციით, გ-ს გამკვეთრებითა და ა-ს დართვით) შიშვილია, რომელიც, შესაძლებელია, სვანეთის მოსაზღვრე მეგრულის ან იმერულის გზით იყოს გავრცელებული დასავლეთ საქართველოში და იქიდან საბას მიერ საერთო-ქართულად მიჩნეული, რაკი ღანძილი არაქართულიაო“¹² (ზაზო ჩვენია — მ. ჩ.).

ქართულ-ზანური ჭიშვილა არ უნდა იყოს ნასესხები სვანურიდან. არ ჩანს საფუძველი შ→ჭ ფონეტიკური გადასვლა:ა ზანურში (resp. მეგრულში).

ვფიქრობთ, ჭიშვილა ზანური ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა, რომელსაც შესატყვისი მოეპოვება ქართულში.

ჭიშვილას ქართული ეკვივალენტი სალიტერატურო ენაში არ ჩანს. ის დაცული აქვს ხევსურულ დიალექტს.

აღ. კინჭარაული სათიბ ბალახებზე მსჯელობისას ვითვითებდა: „ამათ გარდა თიბავენ ბალახებს: დიყ-ს, ჯბოხასუქა-ს... დიშლა-ს“¹³

ჩამოთვლილ ბალახთა სახელწოდებათაგან ჩვენს ყურადღებას იპყრობს დიშლა. საფიქრებელია, ის იყოს ზანური ჭიშვილა-ს ფონეტიკური შესატყვისი.

ვარაუდი ეყრდნობა ბგერათმესატყვისობის ჩვენებას ქართულსა და ზანურს შორის. დიშლა/ჭიშვილა ფორმათა შეპირისპირებისას ინლაუტში თავს იჩენს სიბილანტთა ოპოზიცია ქართული შ: ზანური შკ, რაც დასტურდება საერთო-ქართველურ მასალაში¹⁴.

11 ა. ჭკადუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

12 ა. ჭკადუა, შიშვილ და ფოშლელ-ის შემკველი ტოპონიმების ისტორია-ეტიმოლოგიისათვის. — კრ. „ტოპონიმია“, ტ. I, თბ., 1976, გვ. 417.

13 ა. ჭკინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 225.

14 არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

ოპოზიცია ზემოხსენებული ფუძეებისა გამოავლენს აგრეთვე ზანურისათვის დამახასიათებელ სრულხმოვანებას (მეგრ. ჭ ი შ კ ი ლ ა).

დიშლა/ჭიშკილა ლექსემათა შეპირისპირებისას წარმოჩნდება ბგერათფარდობა ქართ. დ.: ზან. ჭ ანლაუტში. ამ შემთხვევაშიც, ჩვენი აზრით, ზანური ჭ სიბილანტი მომდინარეობს დ დენტალისაგან: დ—ჭ.

ეს პროცესი პოზიციურია: დ-ს პალატალიზაციისა და ჭ-დ ქცევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პალატალური რიგის ი და ე ხმოვანთა პოსტპოზიცია ფუძეში მომდევნო რომელიმე შიშინა სიბილანტის თანხლებით¹⁵.

როგორც ცნობილია, ეგვევ დ—ჭ პროცესის კვალი ჩანს ძველ ქართულში (ძვ. ქართ. ჭინჭველ—*დინჭველ-, შდრ. ჭან. დიშკუ)¹⁶.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველურ ენათა შორის არსებული ბგერათმესატყვისობის მიხედვით ქართველური ი უცვლელია. ეს ჩანს ჩვენს შეპირისპირებაშიც — დიშლა: ჭიშკილა.

რაც შეეხება მეორე ი-ს, რომელიც ზანური სახეობის ფუძეშია, იგი ქართულშიც უნდა გვექონოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მომდევნო სუფიქსური ა-ს გავლენით ი ამოვარდა: დიშლა—*დიშილა.

ზანურ ჭიშკილა-ში შკ კომპლექსის არსებობა უნდა აიხსნას იმერულ-გურულის გავლენით; მამასადამე, შკ—შქ.

ზანურიდან (resp. მეგრულიდან) სიტყვათა სესხებისას კ ფშინვიერის გამკვეთრება (აბრუპტივიზაცია) დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია იმერულსა და გურულში. შქ—შკ გადასვლის უცილო მაგალითი გვაქვს იმერულ-გურულ ჭაშკუტა სიტყვაში. რომელიც ჭაშკვიდას სახითაა წარმოდგენილი მეგრულში; ე. ი. იმერ.-გურ. ჭაშკუტა — მეგრ. ჭაშკვიდა¹⁷.

მეგრულში რომ ისტორიულად *ჭიშკილა პრაფორმა ნამდვილად უნდა გვექონოდა, ამას სევანურიც უჭერს მხარს, სადაც ინლაუტში შქსაგან მომდინარე შგ დასტურდება. შიშვილ ვარიანტის ჭიშკილა-დან უშუალოდ მომდინარეობა *ჭიშკილა არქეტიპის აღდგენის გარეშე შეუძლებელი ჩანს.

სევანური შიშვილ სხვა მხრივაც არის საინტერესო; ანლაუტში ზანურ ჭ-ს სევანურში სპირანტიზაცია-დეზაფრიკატიზაცია განუტციო,

¹⁵ Рогова Г., К вопросу о позиционной аффрикатизации согласных d и г в картвельских языках. ЕИКЯ, т. XIII, Тб., 1986, с. 30—36.

¹⁶ ა რ ნ. ჩ ი ქ ლ ბ ა ე ა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 139.

¹⁷ ვ. თ. თ. რ. ი. ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. — შრომები III, თბ., 1979, გვ. 122.

რაც აიხსნება სრული რეგრესული დისტანციური ასიმილაციით. ას-
მილატორად შგ- გვევლინება.

შიშგილ ფუძეში ბოლოკიდური სუფიქსი ა მოკვეცილი ჩანს
(შდრ. *ჯიშქილა—შიშგილ-), რაც ბუნებრივი პროცესია სვანურში
სიტყვათა სესხებისას (შდრ. სვან. ზოგ, შეგრ. ზოგა და ქართ. ბაგა...).

М. Дж. ЧУХУА

О ДВУХ НАЗВАНИЯХ РАСТЕНИЙ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

1. Грузинское (resp. гурийское) слово წებარ-ი *čebaḡ-i* „подмаренник трехрогий“ имеет точное соответствие в занском (resp. мегрельском) в виде ქაფურ-ია *čarug-ia*.

წებარ-/ქაფურ- *čebaḡ-/čarug-* относится грузинско-занскому ареалу. Что же касается сванского слова ქაფორ-ჯაროგ-, то оно повторяет занский ქაფურ-ჯარუგ- ср. грузинское წებარ-*čebaḡ-* (ср. звукосоответствие груз. ე e: зан. ა a: сван. ე e, груз. ა a: зан. ო o: сван. ო a).

2. Занское слово ჯიშქილა ← *ჯიშქილა *čišķila* ← *ჭიშქილა „чеснок медвежий“ представляет собой закономерное фонетическое соответствие грузинского (resp. хевсурского) слова დიშლა *dišla*.

Древний вариант мегрельской формы *ჯიშქილა *ჭიშქილა в гурийско-имеретинских диалектах дал ჯიშქილა *čišķila*, в сванском же—შიშგილ *šišgil*.

ა. არაბული

თრგუნ- და თჳრ- (თჳრ-) ზმნურ ფუძეთა ანალიზისათვის ქართულში

(სხვა ქართველურ ენათა მონაცემებთან მიმართებით)

1. თრგუნ-

